ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ

„ᲓᲘᲚᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲗ...“


# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ
3 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ,
2003 ᲬᲔᲚᲘ

№30
(4409)

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1918 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ 1990 ᲬᲔᲚᲡ. ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ.


ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲕᲘᲦᲐᲪ „ᲓᲘᲓᲘ“ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲒᲐᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩვენმა მკითხველმა იცის, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ აღადგინა ტრადიციული ხუთშაბათობები. 30 იანვარს, თვის ბოლო ხუთშაბათს, რედაქციის სტუმარი იყო ქალაქის ახალი მთავარი არქიტექტორი ირაკლი როსტომაშვილი. გაზეთში რამდენჯერმე გამოცხადებული ანონსის დახმარებით, რედაქციას და მთავარ არქიტექტორს მრავალმა თბილისელმა მიმართა შეკითხვით...

ᲘᲮ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲬᲘᲔᲠᲘ

## ქუდზე კაცი მხარდამხარ უნდა ვიდგეთ და ჩინურ კედელს ვაგებდეთ, ჩვენ კი...

ᲗᲣ ათასიდან ერთი შანსი კიდევ არის, ეს შანსი უნდა გამოიყენო, უფრო სწორად, ხელიდან არ უნდა გაუშვა მისი მოსინჯვის შესაძლებლობა.

სწორედ ამ კუთხით შეიძლება შეფასდეს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და პარლამენტის დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტი მოსკოვში. ქართველმა პარლამენტარებმა თავიანთ რუს კოლეგებს უშუალოდ, პირისპირ შეხვედრისას „ცოცხლად“ უთხრეს სათქმელი, განსაკუთრებით, აფხაზეთის საკითხებზე — ამოქმედებული რკინიგზა, პასპორტიზაცია...

მართალია, ამ ვიზიტს არსებითი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ გინდა თუ არა, შედეგს არც არავინ ითვალისწინებდა: აქ მთავარი სწორედ ის იყო, მოჭრით, მიუკიბ-მოუკიბავად იმის თქმა, რომ რასაც რუსეთი სჩადის საქართველოს მიმართ, ეს ფაქტობრივი ანექსიაა, იმ ფიცი-მტკიცის პირწმინდა უარყოფაა, რასაც რუსეთი ყველა გზაჯვარედინზე აცხადებს, — პატივს ვცემ საქართველოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობასო. დაახლოებით ისე, კაცი რომ მოყვრულად ჩაგიხუტებს და თან ზურგში დანას ჩაგცემს.

ჩვენს დელეგაციას რუსულმა მხარემ ყურადღებით მოუსმინა, ოღონდ, მან თურმე... ბევრი რამ არ იცოდა.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.



ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ

## მის აღმატებულებას ჯორჯ ბუშს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ,

სულის სიღრმემდე შემძრა კოსმოსური ხომალდის „კოლუმბიის“ ტრაგედიამ. თქვენთან ერთად ვგლოვობთ მამაცი ასტრონავტების დაღუპვის გამო.

მინდა ამერიკელმა ხალხმა იცოდეს, რომ ამ მძიმე წუთებში საქართველო მის გვერდითაა. მინდა, ასევე, ვანუგეშო დაღუპულთა ოჯახის ყოველი წევრი და ვუთხრა, რომ მათი უმძიმესი დანაკარგი ამაოდ არ ჩაივლის — ის გზას გაუკვალავს სხვა გაბედულ ადამიანებს, რომლებიც კაცობრიობას უკეთეს მომავალს მოუტანენ.

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ,

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ

## ბიჭები, რომლებიც ქუჩაში უკრავენ



ᲘᲡᲘᲜᲘ უკრავენ იქ, სადაც ამის საშუალება აქვთ — თავიანთ შემოქმედებას ხალხს ქუჩაში წარუდგენენ და იმედი აქვთ, რომ მალე ესტრადაზე ვიხილავთ, ანუ იქ, სადაც მათი ადგილია. მანამდე კი თბილისში, ოპერასთან, მიწისქვეშა გადასასვლელში უკრავენ გიტარაზე.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲘ

## რამაზ შიშნიაშვილის ოჯახს

ᲣᲦᲘᲓᲔᲡ გულისტკივილს გამოვთქვამ ბატონი რამაზის გარდაცვალების გამო.

ჩვენგან წავიდა ჭეშმარიტი ინტელიგენტი, პროფესიონალი და სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი, დიდი მიხეილ ჯავახიშვილის ღირსეული მემკვიდრე.

ბატონი რამაზ შიშნიაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.

## ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ Რ. ᲨᲘᲨᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ქართველი სახელმწიფო მოღვაწისა და მოქალაქის, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის რამაზ შიშნიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა დამკრძალავი კომისია ავთანდილ ჯორბენაძის თავმჯდომარეობით. რამაზ შიშნიაშვილი დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲡ




ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ სახელობის კოსმოსურ ცენტრში პატივი მიაგეს დაღუპული ასტრონავტების ხსოვნას. მემორიალის საფეხურთან ცოცხალ ყვავილებთან ერთად უკვე ალაგია ეკიპაჟის შვიდივე წევრის სტარტისწინა ფოტოები.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ, სადაც ამერიკული კოსმოსური ხომალდის დაღუპვის გამო გლოვაა გამოცხადებული, მეორე ასტრონავტს ამზადებს. იგი, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურის დან ხალუცის თქმით, უახლოეს ხანებში გაფრინდება კოსმოსში.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

ᲐᲨᲨ და დიდმა ბრიტანეთმა დაამთავრეს ერაყთან საომარი გეგმის შემუშავება. საომარი ოპერაცია ერაყში დაიწყება სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქის ტიკრიტის მასირებული დაბომბვით. პირველი რიგის სამიზნეები გახდება ის რაიონებიც, სადაც ცხოვრობენ ან იმყოფებიან ერაყის პრეზიდენტის ოჯახის წევრები.



ᲕᲐᲪᲚᲐᲕ ᲰᲐᲕᲔᲚᲛᲐ მოიხსნა ჩეხეთის პრეზიდენტის უფლებამოსილება და განაცხადა, რომ არასდროს არ მიიღებს მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში.



ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 30, ორშაბათი, 3 თებერვალი, 2003 წელი.

## თვალსაწიერი

# ქუდზე კაცი მხარდამხარ უნდა ვიდგეთ და ჩინურ კედელს ვაზებდეთ, ჩვენ კი...

(პირველი გვერდიდან)

სხვათა შორის, ახლახან კიევში გამართულ დსთ ქვეყნების ხელმძღვანელთა სამიტზე ედუარდ შევარდნაძე-ვლადიმერ პუტინის შეხვედრისასაც გაირკვა, რომ რუსეთის პრეზიდენტმაც თურმე არსებითად არ იცოდა, კერძოდ, რაში იყო საქმე, რას ვედავებოდით და ვითხოვდით. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მას აუხსნა, რომ „კერძო სტრუქტურის“ მიერ სოჭი-სოხუმის „რაღაც ოთხვაგონიანი“ საგარეუბნო მატარებლის ამოქმედება, ფაქტობრივად, საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაა, ხოლო ხელაღებით რუსეთის მოქალაქეობის „ბოძება“ სულაც არ არის თვით იმ მოქალაქეთა პირადი საქმე და გადასაწყვეტი. თუ აფხაზეთის მცხოვრებთ დედაბუდიანად მაინცდამაინც რუსეთის მოქალაქეობა სურთ, გადასახლდნენ სმოლენსკში ან ჩიტაში და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ისე, ერთი ჩვენც ვიკითხოთ, მთელი ჩეჩნეთი დიდპატარიანად რომ აღმდგარია, არ გვინდა რუსეთის მოქალაქეობაო, რუსეთი რატომ ეხვევა დანაზე, როგორ თუ არ გინდაო? და მაინც, ეს ახსნა-განმარტებითი საუბარი მაინც შედეგიანი იყო. პუტინმა ხომ განაცხადა, თითქოს მას სხვაგვარი ინფორმაცია ჰქონდა, ჰოდა, ახლა რაკილა გაერკვა, მან რაღაც უნდა მოიმოქმედოს. მერეც ხომ ველარ იტყვის, სხვანაირად ვიცოდიო. თორემ იმის დიდი ეჭვი არსებობს, რომ აფხაზეთში პასპორტიზაციის დაწყება და სარკინიგზო მონაკვეთის გახსნა თვით პრეზიდენტ პუტინის სანქციითა და ხელმძღვანელობით მოხდა...

ასე შემოგვიგდებს ხოლმე ახალ-ახალ დაბრკოლებებს რუსეთი. ატყდება ხმაური, გადავლახავთ ამ დაბრკოლებას (ან ვერ გადავლახავთ), მერე ამ პატარა „გამარჯვებით“ გულს მოვიოხებთ (თუ ვერ „გავიმარჯვებთ“), ამ ხმაურში ემოციებისა და ზედმეტი ენერგიისაგან დავიცლებით, მერე ახალი ვარიანტი წამოიჭრება და ა.შ.

ამასობაში წლები გადის, აფხაზეთის დაბრუნების საკითხი სულ უფრო იქით და იქით იწევს და „ეფარება გორასა“. „აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ დე ფაქტო არსებობას განაგრძობს და თუ ასე გაგრძელდა, იქნებ ბოლოს „დე იურეს“ დროც დადგეს. ყოველ შემთხვევაში, „ყველა ჩაგრულისა და მაშვრალის დამხმარეს და მეგობარს“ რუსეთს აშკარად აქეთკენ მიჰყავს საქმე. ალბათ ჩაივლის სოჭი-სოხუმის მატარებელიც და პასპორტიზაციის ალიაქოთიც და... რაიმე ახალი დაიწყება.

აი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია შეშფოთებას გამოთქვამს, როგორც კი გაზაფხულდება, ჩეჩენი ტერორისტები პანკისის ხეობაში „შემოიჭრებიანო“. ანუ, მათ ჩვენსკენ შემოდენის ორთავიანი არწივი და მომენტს ხელიდან არ გაუშვებს, თვითონაც შემოჰყვება მდევრადო. არადა, როგორც მინისტრი მიიჩნევს, რუსთა 3-4-ათასიან ჯარს მთლიანად შეუძლია საზღვრის ამ მონაკვეთის დაკეტვა. შეუძლია, მაგრამ მაშინ ათას საბაბსა და ნაკვერჩხალს საიდან გამოგვიჩხრეკს? ჰოდა, კვლავაც ჩვენ გვაკისრებს საზღვრების ისე მჭიდროდ ჩაკეტვას, ჩიტიც რომ ვერ შემოფრინდეს.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ მტერი თუ მტერ-მოყვარე მაშინ მოგერევა და დაგჩაგრავს, როცა შენ თვითონ ხარ მზად იმისათვის, რომ მოგერიონ და დაგჩაგრონ...

არა და არ წყდება ღრენა და კინკლაობა. ისეთი სიტუაციაა, თავი შეგეცოდება: ბაღათურია ნადარეიშვილის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ეპირება; ტრადიციონალისტმა გუბაზ სანიკიძემ ყველაფერი იცის, „ედუარდ შევარდნაძემ კი დღემდე არ იცის, რა უნდა“ აფხაზეთთან დაკავშირებით; თურმე გიორგი სანაიას მკვლელობა ხელისუფლებამ შეუკვეთა...

როცა ბიუჯეტის ჩაგდებისათვის პირდაპირ ჯვაროსნული ომი იყო გამოცხადებული პარლამენტში, სხდომაზე ქრესტომათიული წინადადება წარმოთქვა დეპუტატმა ხათუნა ხოფერიამ: „მოიცათ, ბიუჯეტის ჩაგდება რომ გვინდოდეს, როგორ გგონიათ, მარტო მე ვიქნებოდი დემოკრატებიდან დარბაზში?“ — ნიშნისმოგებით განაცხადა მან, როცა დემოკრატებს შეუძახეს, ბიუჯეტის ჩაგდება გინდათო.

როგორ მოგწონთ? ჩაგდება რომ გვდომოდა, სხდომას დავესწრებოდითო!

მთელი ფრაქცია ფეხს რომ დაკრავს და ისეთი საკითხის განხილვას არ დაესწრება, როგორიც ბიუჯეტის მიღებაა, ეს ქმედება სწორედ საკითხის ჩასაგდებად არ არის გამიზნული?

ერთი სიტყვით, შინაური აშლილობა მკვეთრად არის გამოხატული. გარედან კი ისეთი ლავა გვაქვს მომდგარი, ჩვენ რომ ხვალინდელ დღეზე მართლა ვფიქრობდეთ, ქუდზე კაცი მხარდამხარ უნდა ვიდგეთ და ჩინურ კედელს ვაშენებდეთ. ეეეჰ!..

**ალეკო ასლანიშვილი.**

## დედაქალაქი



როგორც იქნა, დამთავრდა რუსთაველის პროსპექტზე ზვიადისტების ყოველდღიური მჭლე მიტინგები საკუთარი თავისთვის.

დაამთავრებინეს.

პოლიციამ აღადგინა ნორმალური სიტუაცია, ანუ წესრიგი, რომლისთვისაც კარგა ხნის წინათ უნდა ეზრუნა.

ეს ფოტოსურათი გადაღებულია გუშინ, 2003 წლის 2 თებერვალს.

ლევან ლომაძის ფოტო.

## ინფორმაცია

### კონფერენცია თბილისში გაიმართება

ინსულტთან ბრძოლის მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ს, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის, იტალიის, თურქეთის, ისრაელის, რუსეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ექიმები, თბილისში, მაისში გაიმართება.

ამის შესახებ აცნობა პრაიმ-ნიუსს კლინიკური ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიული ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილის დირექტორმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

კონფერენციის ორგანიზატორია ინსულტთან ბრძოლის მსოფლიო საზოგადოება.

პრაიმ-ნიუსი.

## მსოფლიო შტრიხებში

### ტახტი თუ სიყვარული?



„სრულიად შეგნებული მაქვს ჩემი პასუხისმგებლობა გვირგვინისადმი, საზოგადოებისადმი, ესპანელი ხალხის წინაშე, — განაცხადა ესპანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრემ, 35 წლის პრინცმა ფელიპემ, — მაგრამ თვით სახელმწიფოს წინაშე ვალიც კი არ მაიძულებს, ცოლად შევირთო ქალი, რომელიც არ შემიყვარდება“.

### ახალი კანონი და სექსი



ბრიტანეთში მიღებული ერთ-ერთი ახალი კანონი კრძალავს საზოგადოების თვალწინ სექსუალურ ურთიერთობას. თუმც ცოლ-ქმარს ნება ეძლევა, ისიყვარულონ თავიანთ საწოლ ოთახში, ფარდების გაწევა სავალდებულო არ არის მაშინაც კი, თუ კი იციან, რომ მოპირდაპირე სახლიდან ყველაფერი ჩანს.

### ზვიგენის თერმომეტრი

რათა გაარჩიონ თბილი ცივისაგან, ზვიგენები, ვეშაპები და სკაროსები იყენებენ თავს. ახალი დაკვირვებების შედეგად დაასკვნეს, რომ ლორწო, რაც მათ ცხვირზე აქვთ, ტემპერატურის ცვლილების მიხედვით გამოჰყოფს ელექტროდენს, რაც წყლის ამ ბინადართათვის თავისებური თერმომეტრის როლს ასრულებს.



## კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი.**

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს ზაზა შენგელია.**



### ქვეყნისთვის

— უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი კიევში, სადაც შეხვდნენ დსთ წევრი ქვეყნების მეთაურები. განსაკუთრებით გამოვარჩევდი საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრას, რომელიც დაძაბულ და იმავდროულად საქმიან ვითარებაში წარიმართა. ეს შეხვედრა რეგლამენტის რღვევის თვალსაზრისითაც საინტერესო იყო, — რეგლამენტით გათვალისწინებული 30 წუთის ნაცვლად, ის ორსაათნახევრის მანძილზე მიმდინარეობდა, რის გამოც რამდენიმე საათით გადაიდო არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა. რაც მთავარია, ბატონმა ედუარდმა თავისი მოქმნილი დიპლომატიური ნიჭის მეოხებით მთავარ მომენტებზე დაითანხმა ვლადიმერ პუტინი — აუცილებლად უნდა იყოს სინქრონიზებული სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი, რომ მიუღებელია დაწყებული პასპორტიზაციის პროცესი და, შესაბამისად, სამშვიდობოთა მანდატის გაგრძელებას დაედება პრეზიდენტის ვეტო.

### ჩემთვის პირადად

— ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა პრეზიდენტთან ახალგაზრდა ხელოვანების შეხვედრაზე მუშაობამ. გადაცემა, რომელიც 25 იანვარს გავიდა ეთერში, არ იყო დაკავშირებული მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღესთან, რადგან იგი ჩვეულ სტილში — მუდმივად საქმიან პროცესში იყო და ახალგაზრდებთან შეხვედრაზეც ჩვენი ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობამ დაიკავა ძირითადი ადგილი. ვფიქრობ, ამ ექსპერიმენტულმა ტელეპროექტმა გაამართლა.

## ჩვენს გვერდით

# ბიჭები, რომლებიც ქუჩაში უკრავენ

(პირველი გვერდიდან)

ოპერასთან. ესეც ნიშანდობლივია. სიამოვნებთ და უკრავენ — გამვლელ-გამომვლელსაც სიამოვნებს ეს მუსიკა — კლასიკური ჯაზი.

და კიდევ იმიტომ უკრავენ, თან დღეში 5-6 საათის განმავლობაში, რომ ეს შესანიშნავი ტრენინგია — ვარჯიში მსმენელთა წინაშე.

რაც შეეხება ფულს, რომელსაც მოქალაქენი გაიღებენ, იმდენად მოწყალებად არ მიაჩნიათ, რამდენადაც გასამრჯელოდ — ვირტუალური ბილეთების სიმბოლურ ფასად.

თემურ ხაბაზიშვილზე და დავით ლეკაშვილზე მოგიყვებით დღეს, გათბილისელებულ კარგ კახელ ბიჭებზე.

თეიმურაზი წარმოშობით გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურიდან გახლავთ. ოცი წლისაა. 12 წლის იყო, როცა მამამ გიტარაზე დაკვრა ასწავლა, მამა გარდაეცვალა. სწავლა თბილისის საესტრადო სასწავლებელში გააგრძელა, გიტარის სპეციალობით. სამწუხაროდ, თანხის გადაუხდელობის გამო მეოთხე კურსიდან გარიცხეს. უკვე 8 წელიწადია, მიწისქვეშა გადასასვლელში უკრავს. კარგად უკრავს და კიდეც მიიწვიეს რამდენიმე ანსამბლში, მაგრამ შესაფერი ინსტრუმენტის უქონლობის გამო უარი უთხრა. ჰყავს დედა და ძმა კაკო, რომელიც მასთან ერთად უკრავს. ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ, საბურთალოზე. შემოსავალი არცთუ სახარბიელოა, ხან საერთოდ არაფერია.

თემოს მიაჩნია რომ, როგორც წესი, ის ადამიანები აგდებენ კოლოფში ხურდა ფულს, ვინც ხელოვნების ფასი იცის. თუმცა ისეთებიც არიან, ვისაც უბრალოდ გული შესტკივა ჩვენზეო.

ინსტრუმენტი, რომელიც თემოს ანსამბლში დააწყებინებს მუშაობას, ძალიან ძვირი ღირს, დაახლოებით 2000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ასეთი გიტარა რომ ჰქონდეს, საოცნებო სამუშაოს კარებიც გაიღებოდა მისთვის.

დავით ლეკაშვილს პაპუასას ეძახიან. კახეთში, აბა, ვინ დადის თიკუნის გარეშე. 23 წლისაა. გიტარაზე დაკვრა როდის დაიწყო, აღარც ახსოვს, თვითნასწავლია. პაპუასა თავის ორ მეგობართან ერთად სანკტ-პეტერბურგში წასვლაზე და იქ ჯგუფის ჩამოყალიბებაზე ოცნებობს, მაგრამ... კვლავ — ფინანსები.

პაპუასა აფრიკაში, გვინეაში კი არ ცხოვრობს, აგერ — დედოფლისწყაროში, მშობლებიც იქ არიან. ბიჭი სამსახურის საძებნელად ჩამოვიდა თბილისში, მუშაობდა გაზეთ „ახალი ვერსიის“ სტამბაში მბეჭდავად. ხელზე ოპერაციის გაკეთების შემდეგ სამსახური დროებით მიატოვა. თბილისში ჩამოსულს შეხვდა მეგობარი — ლევან მეტრეველი (ვისთან ერთადაც ჩრდილოეთის პალმირაში აპირებს წასვლას), მოეწონა ქუჩაში მუზიცირება და იმ დღიდან ბიჭებთან ერთად არის. თან სტამბაშიც მუშაობდა. პაპუასასათვის დღის ბოლოს აკრეფილი თანხა მეორეხარისხოვანია, მთავარია, ამბობს ის, ადამიანმა აკეთოს ის საქმე, რომელიც გსიამოვნებს შენც და სხვასაც. ადრე სპორტს მისდევდა დედოფლისწყაროში კლუბ „ჩემპიონში“ კიკბოქსინგში ვარჯიშობდა, რაიონის მრავალგზის პრიზიორი და ჩემპიონია. ახლა შეჯიბრებებში დროებით არ მონაწილეობს, თუმცა მაინც ვარჯიშობს, ჯანმრთელობისათვის აუცილებელიაო.

ბიჭები უკრავენ ოპერასთან, მიწისქვეშა გასასვლელში. მოუსმინეთ. თუ მოგეწონებათ, გაიღეთ მოწყალება, გადაიხადეთ „ბილეთის ფული“.

თუ არ გაქვთ, მაინც მოუსმინეთ — ქუჩის ესტრადა იმით არის განსაკუთრებული, რომ უფასოა.

ხოლო ჩვენი რედაქცია, როგორც ხელი გაუწვდება, ისე დაეხმარება მუსიკოსებს, რომლებიც ქუჩაში უკრავენ.

**ლევან ლომაძე.**

ავტორის ფოტო.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დედაქალაქი

# თბილისში ყველა ბენზინგასამართი სადგურის უკან ვიღაც „დიდი“ კაცი დგას

(პირველი გვერდიდან)

საერთო საწუხარის ძირითადი დედააზრი, მათ შორის, ჩვენი ჟურნალისტებისაც, მიწისძვრისგან დაზარალებულთა გულისტკივილი იყო. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა თითქმის არ ეხება დედაქალაქის არქიტექტურის სამსახურს, მაგრამ... ირაკლი როსტომაშვილი, როგორც მთაწმინდა-კრწანისის რაიონის (შეგახსენებთ, მიწისძვრისგან ყველაზე მეტად დაზარალებული რაიონის) ყოფილი გამგებელი, მთელი სიგრძე-სიგანით იცნობს უსახლკაროდ დარჩენილთა პრობლემებს. ამიტომაც მისი პასუხი ლაკონურიც იყო და ზოგადიც:

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო საქალაქო ფონდმა, მართალია, ქალაქგარეთ ასობით ბინა შეიძინა და მესამე კატეგორიის, ანუ საცხოვრებლად უვარგისი სახლების მეპატრონეები (ვინც თანხმობა განაცხადა გარეუბნებში წასვლაზე) დროებით დააკმაყოფილა, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია.



თანხების სიმწირის გამო ვერ ხერხდება არა მხოლოდ ცალკეული დანგრეული უბნების განაშენიანების დაწყება, არამედ თვით ქალაქის ახალი გენერალური გეგმის შედგენაც კი. თბილისის ხუთივე რაიონში, აღრიცხვაზე მყოფმა მოქალაქეებმა უნდა მიმართონ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო რაიონულ შტაბებს. ყველა პრობლემა მათ უნდა გადაგიწყვიტონ...

ბუნებრივია, მთავარი არქიტექტორის ამ პასუხმა უბინაოდ დარჩენილი ან უმწვავეს, ავარიულ ბინაში მცხოვრები თბილისელები ვერ დააკმაყოფილა, მაგრამ რას იზამთ, მოთხოვნა ძალიან დიდია, თანხები კი, მართლაც, არ გვყოფნის!

**ჩვენი რედაქცია კიდევ ერთხელ დაუბრუნდება სტიქიით დაზარალებულთა პრობლემებს და რაიონულ გამგეობებს, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო რაიონულ შტაბებს დაბეჯითებით თხოვს მეტი ყურადღება მიაქციონ ასე გაწამებულ თანამოქალაქეებს.**

* * *

ახლა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, სადღეისო-საგანგებო გასაჭირს დავუბრუნდეთ, — მაინც, რას ფიქრობენ თბილისელები ასე მომრავლებულ „კანონიერ უკანონო“ მშენებლობებზე და რას უპასუხებს მათ მთავარი არქიტექტორი?

**— თამარაშვილის ქუჩის მცხოვრებნი აღშფოთებას ვერ მალავენ, სკვერისა და ტროტუარის ხარჯზე, იქ კიდევ ერთ ბენზინგასამართ სადგურს აშენებენ, რამდენიმე ხე უკვე მოჭრეს, ჩვენს პროტესტს შედეგი არ მოაქვს... იქნებ, მთავარი არქიტექტორი დაგვეხმაროსო!**

— თამარაშვილის ქუჩაზე, სამწუხაროდ, კიდევ ერთ ბენზინგასამართ სადგურს აშენებს კომპანია „კანარგო“. პროექტი დამტკიცებული და გაცემულია. ამ ობიექტზე საგანგებოდ მივედით ქალაქის მთავარი არქიტექტორი და ვიცე-პრეზიდენტი გიორგი კარბელაშვილი. შემკვეთი კატეგორიულად გავაფრთხილეთ, რომ პროექტის მასშტაბებს არ გადააჭარბოს... პირადად ჩემთვის, ბულვარის შევიწროების ხარჯზე ბენზინგასამართი სადგურის აშენება აბსოლუტურად მიუღებელია. მაინც, ვის სჭირდება ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე ამდენი საშიში, საწვავით გაძეძგილი ნაგებობა?.. უახლოეს ხანში მივაღწიე იმას, რომ ყველა ბენზინგასამართ სადგურს ჰქონდეს ევროპული სტანდარტის მქონე დამცავი სისტემები. ეს „სიამოვნება“ ათეულ ათასობით დოლარი ღირს და ბევრს აღარ გაუჩნდება სურვილი საწვავის ბიზნესში ჩართვისა, მით უფრო ახლის მშენებლობისა... აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სწორედ ამ დღეებში, საბურთალოს ქუჩაზე, ავკრძალეთ ახალი ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა, გაჭრილი ორმოც ამოვავსებინეთ... ადრე გაცემულ უკანონო, ქალაქისთვის მიუღებელ პროექტებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ დავბლოკავთ. ეს კი, ურთულესი პროცესია. აუცილებელზე აუცილებელია თბილისის შემოვლით გზის მშენებლობა, ზუსტად ისე, როგორც ეს ძველ გენგეგმაშია განსაზღვრული. აი, მაშინ ქალაქში აღარ შემოვა სატვირთო მანქანები, კახეთისკენ, აზერბაიჯანისკენ, სომხეთისკენ მიმავალი ტრანსპორტის ქარავანი და პირიქით... აქ, ცენტრში, ბენზინგასამართ სადგურებს იმის ნახევარი კლიენტი არ ეყოლება, რაც ახლა ჰყავს. ბუნებრივია, ახალი სადგურები კი არა, ძველებიც ველარ იმუშავებს. ხალხსაც ეშველება და ქუჩებსაც... არქიტექტურის სამსახურში უკვე შევქმენით მორიტორინგის ჯგუფი. ეს ჯგუფი ყველაფერს შეამოწმებს და თბილისელებს გააცნობს... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა „პატივსაცემი“, როგორი თანამდებობის ხალხი დგას ამ ბენზინგასამართი სადგურების, კაზინოების, სუპერმარკეტების, სამარშრუტო ტაქსების უკან. ჩამოყალიბდა „მოჯადოებული წრე“, არავინ პრინციპულად განმკითხავი არ არის, კანონს არად დაგიდევენ და სხვადასხვა ხმაში მღერიან — „მე ვარ და ჩემი ნაბადი!..“ ასე რომ, ეს უდიდესი მორალურ-ზნეობრივი პრობლემაც არის.

**— ბატონო ირაკლი, აი, თუნდაც იმის აღკვეთას რა განსაკუთრებული პრინციპულობა სჭირდება, რაც დიღმის მასივში, მტკვრის სანაპიროზე ხდება, — აშენებენ ათას წვრილმან ობიექტს, ნარჩენებს, მიწას, ღორღს მტკვრის კალაპოტში ყრიან. თანაც, იმდენს ყრიან, რომ ლამის მდინარის კალაპოტი ამოავსონ!**

— ამას მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს ახლახან დაქვემდებარებულმა არქმშენინსპექციამ უნდა მიხედოს...

**— გასაგებია, მაგრამ ხალხს არ აინტერესებს კონკრეტულად რომელმა ორგანიზაციამ უნდა აღკვეთოს ესა თუ ის უმსგავსობა — სამინისტროს თუ მერიის სამსახურებმა. აი, თამარ მეფის ხიდთან, საყვავილესა და ტუალეტის ადგილზე კიდევ ერთი „რაღაც უკანონო“ ხომ შენდება?, მერიის ხელმძღვანელობამ თვითონ გაიკვირვა, — მართლაც არ ვიცით, ვინ რას აშენებსო და ამ მშენებლობას აუცილებლად შევწყვეტთო!.. ეს იყო ორი-სამი თვის წინათ. იქ, ყველასთვის „ინკოგნიტო“ მშენებლობაზე კი, სართული სართულს ემატება და ემატება!**

— როგორც ჩანს, იმ მშენებლობის უკანაც ისეთი ვინმე დგას (თანაც, სახელდახელოდ დამტკიცებული პროექტით), მერიის ხელმძღვანელები რომ ვერ უმკლავდებიან. სხვაგვარად ამას ვერ ახსნი. დაახლოებით იგივე პროცესია 9 აპრილის ბაღის ერთ კუთხეში გაჩაღებულ მშენებლობაზე, — სიტყვიერად უმაღლეს დონეზე დაიგმო იქ მრავალსართულიანი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვი.

**— ჩვენი გაზეთის მკითხველი ჯემალ ამირანაშვილი ითხოვს განმარტებას, შეიძლება თუ არა აშენების შემდეგ ნაგებობის პროექტი შეითანხმოს მთავარმა არქიტექტორმა? ან კიდევ, უკანონოდ, პროექტის დარღვევით აშენებული ესა თუ ის ობიექტი შესაძლებელია თუ არა გადაეცეს სახელმწიფოს?**

— აგების შემდეგ პროექტის შეთანხმებას კანონი, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს. მსგავსი რამ არსად ხდება... თუმცაღა, „ლოკომოტივის“ უნიკალური სტადიონის, ასეთი სტრატეგიული ობიექტის აგება უკვე დამთავრდა, პროექტი კი, ჯერჯერობით, დამტკიცებული არ არის.

**— ეს იმიტომაც ხომ არ ხდება, რომ არქიტექტურის საქალაქო სამსახურში ძალიან ჭიანურდება პროექტების შექმნა და დამტკიცება, მით უფრო, როცა პროექტს დამატებით, „ლევად“ დამფინანსებელი არა ჰყავს?**

— ალბათ, ესეც იყო. პროექტის დამტკიცებას, გეთანხმებით, თავისი განსაზღვრული ვადა აქვს. მას ასე იოლად ვერ დააჩქარებ, მაგრამ ძალიან დაგვიანებაც არ შეიძლება, მით უფრო დღევანდელი მშენებლობის ბუმის პირობებში... რაც შეეხება უკანონოდ აშენებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემას, ეს კანონმა უნდა უზრუნველყოს. თუ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა არ დამუშავდა, კერძო კაპიტალის პირობებში ამას ვერ გააკეთებ.

**— ინგოროყვას ქუჩის №18 სახლის მცხოვრებნი გთხოვენ, იქვე, №16-ში არსებული საბავშვო ბაღის ან ბოლომდე გამაგრება-გარემონტებას, ან დანგრევას. იქაურობა ნაგავსაყრელად იქცაო...**

— საბავშვო ბაღის დანგრევის ან გამაგრების საკითხს მერიის შესაბამისი სამსახურები გადაწყვეტენ. ეს ჩვენ არ გვეხება... იქაურობა ნაგავსაყრელად გადაიქცაო, ეს თვით უბნის მცხოვრებლების ნამუსზე იყოს. ის, რაც ქალაქის ცალკეულ უბნებში და სადარბაზოებში ხდება, ჩვენი საერთო სირცხვილია. დედაქალაქს, საკუთარ სახლს, ეზოს, სადარბაზოს მოვლა-პატრონობა სჭირდება. მართალი იყო ჩვენი ცნობილი არქიტექტორ-ურბანისტი, პროფესორი ლადო ვარდოსანიძე, ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რომ წერდა, პატრიოტიზმი სადარბაზოთი იწყებაო!..

**— მაინც, რამდენი საჩოთირო, ქალაქისთვის მიუღებელი ახალი ობიექტია დღევანდელ თბილისში?**

— დაახლოებით 300. ეს იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ 300 ფულიანი „დიდი“ კაცი ებრძვის ქალაქის იერსახეს, ებრძვის ტრადიციებს, კანონიერებას, დედაქალაქში ცხოვრების ჯანსაღ მორალსა და წესს.

**— ისე, ხომ მაინც სასიამოვნოა, რომ ამდენი რამ შენდება...**

— რა თქმა უნდა. ჩვენ მომხრე ვართ კარგის აშენების, დახვეწილი პროექტით, ძლიერი სამშენებლო მასალებით აშენების, თორემ, ასე სად წავალთ... რა თქმა უნდა, ბევრი რომ შენდება და ეს ძალიან კარგია. 2002 წელს თბილისში აშენდა 350 000 კვ. მეტრის ფართი. მშენებლობაზე დასაქმებულია მინიმუმ 30 000 კაცი. თუ მათი ოჯახის წევრებსაც დავთვლით, ეს არის 100.000 ადამიანი, რომელიც სამშენებლო ბიზნესით ირჩენს თავს. არის სხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, — მშენებლობიდან შემოსული თანხები რომ ნორმალურად ირიცხებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტში, წელიწადში ქვეყნის მთავარი ქისა 70 მილიონი დოლარით შეივსებოდა... სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

**— ბატონო ირაკლი, ჩვენი რედაქცია აპირებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ პრობლემებს, რაზეც დღეს გვქონდა საუბარი.**

— მხოლოდ მისასალმებელია ასეთი ჩანაფიქრი. ვითანამშრომლოთ უფრო აქტიურად, ჩვენ მზად ვართ ამისთვის, თქვენ, ჟურნალისტები უნდა დაგვეხმაროთ იმ ყოვლისშემძლე, „დიდი“ ქართველების გამოვლენაში, რომლებიც უკანონობას სჩადიან და ქალაქის იერსახეს, მის დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს არღვევენ...

**სპარტაკ ქოზულია.**

## ფინანსები

# ომის დეკლარირების გარეშეც მისი მოლოდინი უკვე ძვირად დაუჯდათ საფინანსო ბაზრებს

გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლისკენაც მიმართული იყო მთელი მსოფლიოს როგორც პოლიტიკური, ისე საფინანსო სამყაროს ყურადღება, გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლა კონგრესის წინაშე. ნაციის მიმართ ყოველწლიური ტრადიციული მიმართვა პრეზიდენტმა ბუშმა ეკონომიკით დაიწყო. ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ ძირითადად საშუალებად შეერთებული შტატების პრეზიდენტი მცირე კომპანიების ზრდას და გადასახადების შემცირებას მიიჩნევს. თეთრი სახლის ლიდერის შეფასებით, ამერიკული ეკონომიკა იზრდება, ნელ-ნელა გამოდის რა რეცესიიდან, მაგრამ ზრდის ტემპი არასაკმარისია: — „ჩვენ გვჭირდება ისეთი ეკონომიკური ზრდა, რომელიც მისცემს სამუშაოს ყველას, ვისაც ეს სჭირდება.“ კონგრესმა აპლოდისმენტებით მიიღო ბუშის წინადადება ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ხარჯების შემცირების შესახებ.

პოლიტიკურ ნაწილში თეთრი სახლის ლიდერმა ძირითადი აქცენტი ტერორიზმთან ბრძოლის თემაზე გააკეთა. ყველაზე დიდ საშიშროებას მისი შეფასებით, ის რეჟიმები წარმოადგენენ, რომლებიც ხელს უწყობენ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შექმნას. ამ რეჟიმებს მსგავსი იარაღის გამოყენება შანტაჟისათვის, ტერორისა და მასობრივი განადგურებისთვის სჭირდებათ. ამასთან, მათ შეუძლიათ ეს იარაღი გადასცენ თავიანთ მოკავშირე ტერორისტებს, რომლებიც მას ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე გამოიყენებენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კონტექსტში ბუშმა სამი ქვეყანა ირანი, ჩრდილოეთ კორეა და ერაყი დაასახელა, მაგრამ ყველაზე მეტი დრო, ცხადია, ერაყს დაუთმო. უწოდა რა სადამ ჰუსეინს უმკაცრესი ტერორისტი, რომელმაც არაერთხელ განახორციელა უპასუხისმგებლო აგრესია და აქვს კავშირი ტერორისტებთან, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხდა, რომ ერაყის ლიდერს აღარ მისცემენ საშუალებას, საფრთხეს წარმოადგენდეს ამერიკისა და მთლიანად კაცობრიობისთვის. ჯორჯ ბუშის შეფასებით, სადამ ჰუსეინს 12 წელი ჰქონდა, რათა შეესრულებინა გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნა და განიარაღებული ყო, მაგრამ ერაყის ლიდერმა სრული იგნონირება გაუკეთა მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნას. თეთრი სახლის ლიდერის თქმით, სადამს, რომელიც არა ერთხელ დაესხა თავს თავის მეზობლებს, სურს დაიპყროს ახლო აღმოსავლეთი და სწორედ ამისათვის სჭირდება მას მასობრივი განადგურების იარაღი. მაგრამ ამერიკა საშუალებას არ მისცემს მკაცრ დიქტატორს, დესტაბილიზაცია გამოიწვიოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეგიონში. თუმცა, ბუშმა განაცხადა რომ მზად არის მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან კონსულტაციაზე, აქვე აშკარად მიანიშნა, რომ თუ ბაღდადი არ განიარაღდება, მას ამერიკა განაიარაღებს. თავის გამოსვლაში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პირდაპირ მიმართა ამერიკელ ჯარისკაცებს მოსალოდნელი გამოცდის შესახებ და აღნიშნა, რომ გადამწყვეტი წუთები ძალიან მალე დადგება.

ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლაზე (იმის გათვალისწინებით, რომ ბუში კონგრესის წინაშე მოხსენებით სამშაბათს საღამოს გამოვიდა), პირველი რეაგირება აზიურმა ბაზრებმა მოახდინეს. ოთხშაბათს დილით დაეცა აზიის ყველა საფონდო ბაზარი, შემდეგ დადგა ევროპული ბირჟების ჯერი და ბოლოს — ამერიკულისა.

ნიუ-იორკის საფონდო ბაზრის გახსნიდან ძალიან მალე ტრადიციული სექტორის ინდექსი Dow Jones-ი თითქმის 144 პუნქტით დაეცა. დაძრული სამხედრო მუქარის შეგრძნებამ ინვესტორებში რეფლექტორული შიში გამოიწვია, თუმცა შემდეგ ბაზრის მონაწილეებმა აღმოაჩინეს, რომ პირველი დღე არ არის, რაც ამ შიშით ცხოვრობენ და შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლამ მხოლოდ დაადასტურა ომის გაზრდილი შესაძლებლობა, რომლის მოლოდინიც უკვე საკმაოდ ძვირი დაუჯდათ ბაზრებს. ასე რომ, აქციების ბაზარმა თავი შეიკავა „გულის წასვლისაგან“, რის შემდეგაც ნელ-ნელა და ჭოჭმანით საფონდო ინდექსებმა დანაკარგების შემცირება დაიწყეს. Dow- 0.27 %-ით გაიზარდა 8110.71 მაჩვენებლამდე, ხოლო Nasdaq-ი 1.28 %-ით 1358.06 პუნქტამდე.

ოთხშაბათს საღამოსვე ცნობილი გახდა სტატიის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ევროპის რვა სახელმწიფოს ლიდერებმა. ისინი მხარს უჭერენ პრეზიდენტ ბუშს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი საშიშროებას წარმოადგენს მსოფლიო საზოგადოებისათვის და მოუწოდებენ ტრანსატლანტიკურ საზოგადოებას ერაყის მიმართ ერთიანი პოზიცია დაიკავონ.




**ის. მე-5 გვ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 30, ორშაბათი, 3 თებერვალი, 2003 წელი.

## მათი პოზიცია

# ათადან – ბაბადან ათაშანგით შობილნი,

## ანუ ამერიკული ღვთისმოსაობის სათავეები

***ამერიკაში 2002 წლის ადამიანებად დაასახელეს სამი კლიმაქსისწინა ასაკის დაუკმაყოფილებელი ქალი. ჩვენში მათ „ჩამშვებებს“ უწოდებდნენ...***




**გასული წლის მიწურულში ამერიკის ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ტაიმმა“ დაარღვია დამკვიდრებული ტრადიცია, და „2002 წლის პერსონის“ წოდება მიანიჭა არა გლობალური მასშტაბის მნიშვნელოვან ფიგურას, არამედ ერთბაშად სამ ყველასთვის უცნობ ქალს, წერენ ევგენი დოდოლევი და მიხეილ ლესკო ჟურნალ „ოგონიოკის“ № 3-ში, და განაგრძობენ:**

სამივე ამერიკელი მანდილოსანი, არსებითად, ჩვეულებრივი დამსმენი იყო: მათ გაბედულად ამხილეს თავიანთი ხელმძღვანელობა მაქინაციებში, და შეშფოთებულ საზოგადოებრიობას აუწყეს, რა არასახარბიელო ამბები ხდებოდა მათს ორგანიზაციებში.

ჟურნალის ყდაზე გამოტანილია წარწერა: The Whistleblowers – სიტყვა-სიტყვით: „მოჭიკჭიკეები“. ჭიკჭიკი კი გუდის პირის მოხსნას, ჩაშვებას ნიშნავს. საქმე ის გახლავთ, რომ **ამერიკულ ღირებულებათა რეესტრში დამსმენი – ეს არის სამაგალითო მოქალაქე, რომელმაც საზოგადოებრიობას შეატყობინა მოსალოდნელი საფრთხე.** ამ სიტყვას არავითარი უარყოფითი დატვირთვა არა აქვს.

### პროტესტანტული ეთიკა

**როდესაც ტელევიზიამ გამოაქვეყნა ყოვლად ელსადაცემი ინფორმაცია, რომ ამერიკული ოცნების სამშობლოში „წლის ადამიანებად“ შერაცხეს სამი მანდილოსანი, რომლებმაც ხელისუფლებთან „ჩაუშვეს“ თავიანთი უფროსობა, მთელი საზოგადოებრიობა საგონებელში ჩავარდა.** არა მარტო იმიტომ, რომ „ხალხის რჩეულთა“ გმირობა ერთობ საეჭვო ეჩვენა, არამედ იმიტომაც, რომ ისინი ყველანი „ერთი ტაფიდან“ აღმოჩნდნენ. „წლის ადამიანი“ გახდა ერთგვარი კრებსითი სახე, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა კლიმაქსისწინა ასაკი, საკუთრივ მდედრობითი სქესი, ძნელი (ღატაკური) ბავშვობა ანანემზში და ახარისხებული მორალი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალი წლის მანძილზე ქვეყანაში ინერგებოდა კორპორაციული სულისკვეთება, მაშინ ამ კდემამოსილი ქალბატონების ქცევა სავსებით შეიძლება, შევადაროთ პავლიკ მოროზოვის გმირულ საქციელს. ამ მანდილოსნებმა, შეიძლება ითქვას, თავიანთი „ოჯახი“-კომპანია ზვარაკად მიიტანეს უზენაესი პროტესტანტული ღირებულებების სამსხვერპლოზე.

კაცმა რომ თქვას, ასეთი „წლის პერსონების“ შერჩევა დღევანდელ ამერიკაში სავსებით კანონზომიერია. ქვეყანა, რომლის იდეოლოგიური საფუძველი მუდამ იყო გარჯისა და სიმდიდრის კულტი, სიმდიდრისა – შრომის გასამრჯელოდ, ახლა გაფაციცებით ცდილობს, განიმტკიცოს შელანძღული ზნეობრივი საფუძველი, და ამისათვის დედაბოძად იყენებს დედა-ქალის სახეს. ეს ხელისუფლების მქონეთათვის მოსახერხებელიც არის და ხელსაყრელიც. ვინაიდან ეს ადამიანური მასალა იმავდროულად ყველაზე იდეალურ ელექტორატად – გონებაშეზღუდულად და ენერგიულად.

განვმარტავთ... დედამიწის ზურგზე არ არის ქვეყანა, სადაც მთელი მოსახლეობა ხალისით მიდიოდეს არჩევნებზე. გამონაკლისს არც ამერიკა შეადგენს. იმ 60 პროცენტთაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, ხმას აძლევს, ნახევარს შეადგენენ აქტიური, მომუშავე ქალები. ჩახვდით? თუკი მათ სწორად დაამუშავებ, ჩათვალე, რომ განაღდებული გაქვს არჩევნებში გამარჯვება. სოციალურად აქტიური კარიერისტები – ეს არის კორპორაციული ამერიკის მობილური, სანიმუშო, და უდავოდ, მოწინავე რაზმი. მათი მთავარი ფრუსტრაციაა გარშემო მყოფთა ყურადღებისა და მოწონების დეფიციტი. სწორედ ამაზე ცდილობენ თამაშს რესპუბლიკელები. და „ტრადიციული ამერიკული ზნეობის“ განახლებაში მათ ფასდაუდებელ დახმარებას უწევს შიდსი.

ამერიკელმა კოლეგებმა (სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ჟურნალისტებმა) ტაიმის რედკოლეგიის არჩევანს არაორდინარული უწოდეს.

### სიწმინდის შარავანდედით

**თავის ერთ-ერთ „ციხის რვეულში“ ედუარდ ლიმონოვი სწორედ ამგვარ ტენდენციებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ შიდსის ეპიდემია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ მორალზე შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში, განაპირობებს სოციალური ქცევის ახალი სტანდარტების გაჩენას.**

„კომუნიზმი, როგორც დოქტრინა, – წერდა სკანდალური ლიტერატორი, – ჩაისახა შუასაუკუნოვან ორგიასტიკულ სექტებში, რომლებიც ქონებისა და ცოლების საერთო კუთვნილებას ქადაგებდნენ. ხოლო კაპიტალიზმი პურიტანულმა ასკეტიზმმა შვა. სინამდვილეში იგი ათაშანგის პირმშოა.

რატომ იყო, რომ ლუთერი სწორედ 1517 წელს გამოვიდა თავისი ასკეტური მოწოდებებით რეფორმაციის შესახებ? იმიტომ, რომ ათაშანგმა სწორედ ამ დროისათვის გამოიკვალა გზა ესპანეთისა და პორტუგალიის ნავსადგურებიდან, სადაც იგი კოლუმბიის მეზღვაურეებმა შეიტანეს 1493-1500 წლებში.

პურიტანული განწყობილებისა და სექტების აყვავება ევროპაში მოდის XVI საუკუნეზე – ევროპაში ათაშანგის ეპიდემიის ხანაზე. საქმე ეხებოდა სიცოცხლეს, ვინაიდან, იმხანად, ათაშანგი, არ იკურნებოდა. სულ სხვაგვარი გახდა ყოველდღიური ცხოვრების იდეალები. ათაშანგით დამფრთხალმა პროტესტანტებმა გაამკაცრეს თავიანთი მორალი და სწორედ მაშინ იშვა შრომის კულტი. ამ ამბის მომსწრეთა თქმით, ათაშანგის ხსენებაც კი შემზარავ შიშს იწვევდა.

ჩრდილოეთ ამერიკაში პროტესტანტმა ასკეტებმა დააარსეს სახელმწიფო შრომის, სათნოებისა და დაგროვების პრინციპებზე – ამერიკის შეერთებული შტატები. საკუთარ თავს ისინი უწოდებდნენ WASP-ს (ეს აბრევიატურა იშიფრება, როგორც White anglosaxon protestant– თეთრკანიანი ანგლოსაქსი პროტესტანტი).

სწორედ ასკეტურმა უკიდურესობამ და ექსტრემისტმა ასკეტებმა შექმნეს კაპიტალიზმი. ამის შესახებ კარგად და არგუმენტირებულად წერდა მაქს ვებერი წიგნებში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ და „პროტესტანტული სექტები და კაპიტალიზმის სულისკვეთება“.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, პირველ დღეებში ჯორჯ ბუში კამერების წინაშე კოხტაობდა მხოლოდ და მხოლოდ პოპულარული ამერიკელი ქადაგებით გარშემორტყმული. ამ მიზანსცენების აზრს მიხვდებოდა მხოლოდ ის, ვინც იცის, რომ შტატებში პოპულარული მღვდელთმსახური ქადაგები ნამდვილი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები არიან. მათი ძვირადღირებული წარმოდგენები თავს უყრის უზარმაზარ აუდიტორიებს, ხოლო შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება ჰოლივუდის უპირველესი ვარსკვლავების ჰონორარებს. ბოროტების იმპერიის საზღვარს მიღმა ამ ყოვლად უსიამო აგიტატორებს არავინ არ იცნობს, ვინაიდან მათს მსმენელ-მაყურებელს შეადგენდნენ არა კოსმოპოლიტიკურად განწყობილი ახალგაზრდები, არამედ ისტერიკას მიდრეკილი დედაკაცები და გაუწონასწორებელი მამაკაცები.

ქადაგების ტევა არ არის საკვირაო US-ეთერებში, და ძალზე დიდია ძალა მათი ბატონობისა პროვინციული Middle class-ის გონებისადმი. სწორედ ამიტომ, 11 სექტემბერს ეს იდეოლოგიური ყავარჯენი შეიყენა ბუშმა. შედეგმაც არ დააყოვნა. პრეზიდენტის რეიტინგმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. ხოლო დროთა განმავლობაში ხელისუფლებამ თანდათან იხილა მოსახლეობისადმი ჩიჩინისა და გამუდმებული მოწოდებების პირველი აღმონაცენი. „წელიწადის პერსონა“ სავსებით შეიძლებოდა, გამხდარიყო ქალბატონი იუნის სტოუნი, რომელმაც დიდის ამბით წამოიწყო დამსმენობის ტრადიცია გასული წლის სექტემბერში.

### პარასკევი, 13 რიცხვი

მსოფლიო საზოგადოებრიობამ ვერც კი შენიშნა, რომ 2002 წლის 13 სექტემბერს ფლორიდის შტატს ტერორისტთა იერიში ემუქრებოდა. საჰაერო სივრცე ნაწილობრივ გადაკეტილი იყო, ვინაიდან მოელოდნენ ნიუ-იორკისაზე გაცილებით უფრო მძლავრ ტერაქტს მაიამიში. საკაბელო ახალი ამბების ტელეარხები სი-ენ-ენი და Fox News-ი მთელი დღის განმავლობაში ეწეოდნენ პირდაპირ რეპორტაჟს მოვლენების ადგილიდან. ეს მოვლენები კი ხდებოდა I-75 ტრასაზე, სადაც გამთენიისას „ჩაავლეს სამ არაბ ტერორისტს“.

პოლიციამ შეძლო, გასულიყო დამნაშავე ცხელ კვალზე შუახნის წესიერი ამერიკელი ქალბატონის წყალობით, რომელიც კაფეტერიაში შესულიყო სასაუზმოდ. მეზობელ მაგიდასთან მან დაინახა სამი ახალგაზრდა მუსლიმანი. რამდენადაც ეს ამბავი ხდებოდა, სამხრეთის შტატში, ჯორჯიაში, სადაც ეროვნულ უმცირესობებს დასანახად ვერ იტანენ, ახალგაზრდები მყისვე იქცნენ good citizen-ის (კარგი მოქალაქის) შეუნელებელი ყურადღების საგნად. იუნის სტოუნმა ყურები ცქვიტა და – „ჰოი, სასწაულო! – გაიგონა, როგორ დათქვა ამ „სამმა არაბმა“ (თანაც, ინგლისურად), აეფეთქებინათ 13 სექტემბერს ქალაქი მაიამი!

გაბედულმა ამერიკელმა ქალმა თვალი გაადევნა ბოროტმოქმედებს, ჩაიწერა მათი მანქანის ნომერი და მყისვე აცნობა ხელისუფალთ არამზადების გარეგნული ნიშნები. გმირმა ქალმა აღწერა სატრანსპორტო საშუალებაც, რომლითაც ტერორისტები ფლორიდის მიმართულებით დაიძრნენ. ჯორჯიას შტატის პოლიციელები დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან მიღებულ ინფორმაციას. მაგრამ ფლორიდელ კოლეგებს მაინც შეატყობინეს, შესაძლოა, თავს დაესხანო ქალაქ-კურორტს, სრულიად ამერიკის ჯანმრთელობის კერას მაიამი-ბიჩს.

საბოლოოდ ცნობებმა მიაღწია ფლორიდის გუბერნატორის (და პრეზიდენტ ბუშის ღვიძლი ძმის) ყურამდე, რომელმაც მაშინვე ფეხზე დააყენა მისდამი დაქვემდებარებული ყველა სამსახური. ასეთი ღონისძიებების წყალობით დამნაშავენი მართლაც ვერსად წაუვიდოდნენ! თუმცა, ისინი იპოვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფასოდ მოინდომეს გასეირნება ფასიან გზაზე და არ გადაიხადეს 75 ცენტი (ამ გადაცდომისათვის გათვალისწინებულია 100 დოლარი ჯარიმა). პოლიციელებმა გააჩერეს დამრღვევი მანქანა, რომელშიც ბედად სწორედ ის ტერორისტები აღმოჩნდნენ! ხოლო მეძებარმა ძაღლმა პოლიციელებს სიგნალი მისცა: ბომბი მოაქვთო! შემდგომი ჩვიდმეტი საათის განმავლობაში ლამის მთელი ამერიკა ფეხზე დადგა, და თითქოს რამდენიმე ნაწილად დაიყოო: ისინი, ვინც თვალს ადევნებდა მოვლენებს რესპუბლიკური არხის Fox News განმარტებითურთ, რეალურად განიცდიდა მორიგ თავდასხმას; იმათ, ვინც Broadcast არხებს უყურებდა, შეიტყვეს, რომ ფლორიდაში ვიღაც დააკავეს; ხოლო იმათ, ვინც ამ დღეს ტელევიზორი არ ჩართო – გაატარეს ჩვეულებრივი პარასკევი, მიუხედავად იმისა, რომ 13 რიცხვი იყო.

შვიდი საათის შემდეგ მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა და დრამაში აშკარად გამოიკვეთა ფარსის ნიშნები. იუნის სტოუნს მობეზრდა ლოდინი, როდის მივიდოდნენ მასთან საკუთარი ფეხით ჟურნალისტები, და თავად დაურეკა ტელეოპერატორებს, სადა ხართ, ჩქარა, ინტერვიუ ჩამომართვითო. რამდენიმე საათის განმავლობაში, ზედიზედ, იგი გულმოდგინედ ყვებოდა ტელეეთერში ტერორისტთა ვითომდა მოსმენილ საუბარს. ამასთან, არ გამორჩენია არც ერთი კოლორიტული დეტალი, მათ შორის, არამზადების ბოროტი ხითხითი.

მაგრამ დღის ბოლოს გამოირკვა, რომ დაკავებული ახალგაზრდები ყოფილან ახლოაღმოსავლური წარმოშობის ჩვეულებრივი მედიკოსი სტუდენტები, რომლებიც მართლაც მიიჩქაროდნენ 13 რიცხვისათვის ფლორიდაში. მაგრამ მიიჩქაროდნენ არა იმიტომ, რომ ტერაქტი მოეწყოთ, არამედ, იმ იმედით, რომ ადგილობრივ ჰოსპიტალში პრაქტიკის დაწყებას ჩაუსწრებდნენ. როდესაც საზოგადოებრიობამ ეს ამბავი შეიტყო, მის სტოუნმა წარბიც არ შეიხარა და განაგრძო: დაკავებული ურჯულოები, ნებისმიერ შემთხვევაში მაინც განეკუთვნებიან Bad citizen (ცუდი მოქალაქეების) თანრიგს, ვინაიდან, გზის სარგებლობის საფასური არ გადაუხდიათო. არ გასულა სულ ორი საათიც, რომ ეს მონაჩმახიც უარყვეს: სტუდენტებს ფული ჩაუშვიათ ავტომატში (რაც ვიდეოჩანაწერმა ცხადყო), უბრალოდ, მრიცხველმა აპარატმა ვერ აღრიცხა. მანქანაში არც ბომბი აღმოჩნდა. პოლიციელების ძაღლი შემცდარა. ხოლო ფლორიდის ბიუჯეტს მოაკლდა ის რამდენიმე მილიონი დოლარი, რომელიც „ანტიტერორისტული“ ოპერაცია დაჯდა.

დღის ბოლოს ინციდენტი მთლიანად ამოიწურა, სტუდენტები გაათავისუფლეს, საალყო წესები გააუქმეს, ხოლო საერთაშორისო აეროპორტში განახლდა ფრენა განრიგის მიხედვით.



**World Com-ის შინაგანმა აუდიტორმა სინტია კუპერმა 2002 წლის მაისში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტული შემოწმების დროს გამოავლინა, რომ მშობლიურმა კამპანიამ დამალა 3,8 მილიარდი დოლარი ზარალი. ფინანსურმა დირექტორმა სკოტ სალივანმა სინტიას სთხოვა, არ ეცნობებინა ინფორმაცია აქციონერებისათვის, და აღუთქვა, რომ დამოუკიდებლად გაერკვეოდა პრობლემებში. მაგრამ ენერგიულმა მანდილოსანმა იგი დააბეზღა მაქს ბობიტთან, World Com-ის აუდიტორთა კომიტეტის თავმჯდომარესთან. ამის შემდეგ სინტიას მეგობარ-კოლეგები სატელევიზიო კამერების წინაშე წარსდგნენ ხელბორკილებით, აქციონერებმა კი დაჰკარგეს სამი მილიარდი დოლარი. დააპატიმრეს, აგრეთვე, აუდიტორი დევიდ მაიერსი, რომელმაც, ისევე, როგორც სინტიამ, იცოდა მაქინაციების ამბავი, მაგრამ არ გაამხილა. World Com-ის 17 ათასი თანამშრომელი უმუშევრად დარჩა.**

იხ. მე-11 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფინანსები

# ომის დეკლარირების გარეშეც მისი მოლოდინი უკვე ძვირად დაუჯდათ საფინანსო ბაზრებს

(მესამე გვერდიდან)

სტატია, რომელსაც ხელს აწერდნენ დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, იტალიის, დანიის, პორტუგალიის, პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის ლიდერები, ხუთშაბათს დაიბეჭდა გაზეთ Times-სა და The Wall Street Journal-ში.

კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე Dow 1.37%-ით გაიზარდა და ვაჭრობის ბოლოსათვის 8053.81 პუნქტი შეადგინა, ხოლო Nasdaq 0.11%-ით დაეცა 1320.91-მაჩვენებლამდე.

გასული კვირის სამშაბათს, დღის პირველ ნახევარში, კონგრესში შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლამდე, შედგა ფინანსთა მინისტრის პოსტზე ჯონ სნოუს კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებული მოსმენა. მომავალმა მინისტრმა მიიღო შესაძლებლობა გაეკეთებინა პირველი სახალხო განცხადება სავალუტო პოლიტიკის შესახებ თავისი პოზიციის თაობაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, სნოუმ განაცხადა, რომ მხარს უჭერს „ძლიერი დოლარის“ პოლიტიკას, რადგან ძლიერი დოლარი შეერთებული შტატების ნაციონალურ ინტერესებს პასუხობს.

ნიუ-იორკის სავალუტო ბაზარზე, კვირის ბოლო ვაჭრობაზე, ევრო/დოლარის კურსი თითქმის 100




პუნქტით დაეცა 1.0821-დან 1.0723-დონემდე, დოლარი/შვეიცარული ფრანკის კურსი თითქმის 130 პუნქტით გაიზარდა 1.3559-დან 1.3692 დონემდე. ფორექსის ანალიტიკოსების შეფასებით, დოლარის კურსს მხარდაჭერა აღმოუჩინა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პარასკევს გამოქვეყნებულმა პოზიტიურმა მონაცემებმა. კერძოდ, შეერთებული შტატების საქმიანი აქტივობის ინდექსმა იანვარში 56.0 შეადგინა, რაც სპეციალისტების მიერ პროგნოზირებულზე ბევრად მეტს წარმოადგენდა. დილერების თქმით დოლარის კურსის ზრდას ხელი შეუწყო იმდღევანდელმა ძირითადი ამერიკული საფონდო ინდექსების ზრდამაც.

პარასკევს, კვირის ბოლო დღეს, შედგა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტომი ბლერის შეხვედრა. ფორექსის ანალიტიკოსების შეფასებით, შეხვედრის შედეგებმა შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს სავალუტო ბაზრებზე დოლარის კურსზე. კერძოდ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 14 თებერვალი, როდესაც ერაყის შეიარაღების შესახებ გაეროს კომისიის მორიგი ანგარიში გამოქვეყნდება, გარდატეხის თარიღი გახდება, რომლის შემდეგაც აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, გადამწყვეტი ზომები იყოს მიღებული.

* * *

**ბოლო** პერიოდში გეოპოლიტიკური დაძაბულობის მატების გამო, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ძვირფასი ლითონების: ოქროსა და პლატინის მწარმოებლებმა და მათმა ძირითადმა მომპოვებელმა ქვეყნებმა ისარგებლეს. ოქროზე აჟიტირებული მოთხოვნის, მასზე ფასების ზრდისა და, შესაბამისად, მისი მწარმოებელი კომპანიების აქციებზე კოტირებების ზრდის გამო, ოქროს უმსხვილესს მწარმოებელ ქვეყანაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ინვესტიციების მსხვილი ნაკადი მიედინება, რის გამოც მსოფლიო საფონდო ბაზრების საყოველთაო შესუსტების პირობებში, სამხრეთ აფრიკის ძირითადმა საბირჟო ინდექსმა პოზიცია მნიშვნელოვნად გაიმყარა.

გასული კვირის ბოლოს **ძვირფასი ლითონების ბაზარზე** ოქროზე ახალი მაქსიმუმი დაფიქსირდა: ერთი უნციის ფასი- 370.35 დოლარით განისაზღვრა. ვერცხლისა და პლატინის ფასმა შესაბამისად უნციაზე 4.87 და 667 დოლარი შეადგინა.

* * *

**ნავთობის ბაზარზე,** გასული კვირის დასაწყისში, ნავთობის ფასი თითქმის დოლარამდე დაეცა, გამოხატა რა ტრეიდერების რეაქცია ერაყის საკითხზე გაეროს ინსპექტორების მიერ მოხსენებების შერეულ ხასიათზე. ორშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 29.87 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 32.29 დოლარამდე დაეცა.

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ორშაბათს ნავთობის ბაზარზე თავისი გავლენა იქონია ვენესუელის ფაქტორმაც, საიდანაც გაფიცვის მასშტაბების შემცირების შესახებ სულ უფრო პოზიტიური სიგნალები მოდის. ნავთობის ფასი გაიზარდა სამშაბათს ერაყის ვიცე-პრეზიდენტის ტარრიკა აზიზას განცხადების შემდეგ, რომლის თქმით, ბაღდადი უფლებას იტოვებს განახორციელოს სამხედრო დარტყმები ქუვეითის წინააღმდეგ, თუ შეერთებული შტატები ერაყში ომს დაიწყებს. ქუვეითზე, რომელიც ოპეკის ერთ-ერთ წამყვანი წევრი ქვეყანაა, მსოფლიო ნავთობის ექსპორტის დაახლოებით 4% მოდის.

როგორც კანადის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში აზიზმა განაცხადა, ქუვეითი წარმოადგენს პლაცდარმს ამერიკული სამხედრო ძალებისათვის და თუ შეერთებული შტატები იქედან დაიწყებს ომს, მაშინ ერაყი საპასუხო დარტყმების უფლებას იტოვებს. ასეთმა განცხადებამ კიდევ ერთხელ გამოიწვია განგაში ბაზარზე. შედეგად, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 30.24 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 32.67 დოლარამდე გაიზარდა.

დღის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 31.02 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 33.63 დოლარამდე გაიზარდა.

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, გაზრდილი სამხედრო მუქარის პირობებში, თუნდაც ომის დეკლარაციის გარეშე ნავთობის ბაზარს საკმაო ნაპერწკალი ჰქონდა, რომ კვლავ აალებულიყო.

ხუთშაბათს ნავთობის ფიუჩერსების ბაზარზე ცენტრალურ თემას კვლავ ერაყში ომის საფრთხე წარმოადგენდა. თეთრი სახლის პრესსამსახურმა და შემდეგ თვით პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამ დღეს განცხადება გააკეთეს, რომლის თანახმადაც ერაყის განიარაღების დიპლომატიური ძალისხმევისათვის არა თვეები, არამედ რამდენიმე კვირა დარჩა.

ამასთან, ბაზრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის რვა სახელმწიფოს ლიდერების განცხადებამ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების მკაცრ პოლიტიკას ერაყის წინააღმდეგ, რომელიც ევროპის ყველა წამყვან გაზეთში დაიბეჭდა. ამერიკის შეერთებული შტატების გარშემო გაერთიანების მოწოდებამ, რომლითაც „ხელისმომწერები“ გამოვიდნენ, პრაქტიკულად სრულად გაფანტა ერაყის საკითხში ბუშის საერთაშორისო იზოლაციის წარმოდგენა.

დღის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 31.21 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 33.85 დოლარამდე გაიზარდა.

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ზრდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არა შემაფერხებელი ფაქტორი, რაც ვენესუელაში ნავთობის მოპოვების მარაგის გაზრდის შესახებ პოზიტიურ ინფორმაციაში გამოიხატა. ვენესუელას სახელმწიფო ნავთობკომპანიის ინფორმაციით, ქვეყანაში ნავთობის მოპოვებამ დღე-ღამეში 1.4 მლნ ბარელს, ანუ გაფიცვამდე პერიოდის მოცულობის თითქმის ნახევარს მიაღწია.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

მსოფლიო შტრიხებში

## ესეც ჩემპიონატია?!

**რიგაში** ამ ჩემპიონატმა უამრავი მონაწილე და მაყურებელი მიიზიდა. „სპორტსმენები“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მობილური ტელეფონების ტყორცნაში. შეჯიბრებაზე დაიშვებოდნენ მხოლოდ მომუშავე „მობილურების“ პატრონები. 300 კაციდან გაიმარჯვა მამაკაცმა, რომელმაც აპარატი 50 მეტრზე გადაისროლა. იგი ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ შარშანდელი რეკორდი ვერ დაამხო. ის კი ეკუთვნის უკრაინის მოქალაქეს, რომლის ტელეფონი 82 მეტრზე „გაფრინდა“, წლევანდელმა გამარჯვებულმა ჯილდოდ ტაილანდში ორკვირიანი მოგზაურობის ორკაციანი საგზური დაიმსახურა.

## ტერმინატორი ბავშვებს შემოელახათ



**სუპერმენი ანრი – სახელგანთქმული სპორტსმენი და მსახიობი არნოლდ შვარცენეგერი, ტერმინატორს რომ ანსახიერებს, ახალი წლის შემდეგ ყავარჯნებით დადის და თეძოზე ძვირადღირებულ ოპერაციას ელოდება.**

ასეთი სერიოზული ტრავმა კინომაყურებელთა კერპმა ლოს-ანჯელესის შემოგარენში, ბავშვთა სახლში მიიღო, როცა სანტა-კლაუსის ქუდ-წვერიანი ათლეტი-მსახიობი საჩუქრების დასარიგებლად ობოლ ნორჩებს ეწვია (მისი სარგო ქურქი ვერ ნახეს). ბავშვებმა მაშინვე იცნეს ის და ერთხმად აყვირდნენ: „გაუმარჯოს ტერმინატორს!“ შვარცენეგერმა ტრადიციული ტომრიდან ტრადიციულივე საჩუქრების ამოლაგება დაიწყო, მაგრამ ბავშვები მისგან პლუშის დათუნა-თოჯინებს კი არა, რაღაც ვაჟკაცურს ელოდნენ. არნოლდმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, თავი მოაბეზრა ნორჩებს მშვიდობაზე, თანხმობაზე საუბრით; ისიც დაამატა, რომ თვით მასაც ძალზე თბილი ხასიათი აქვს. ბავშვებმა ვეღარ მოითმინეს და ყვირილით „ბებერო მხდალო!“ მისცვივდნენ სტუმარს. მათ გიგანტი კაცი წამოაქციეს და ერთი მაგრად მიბეგვეს. ადგილობრივი აღმზრდელები რომ არ გადაჰფარებოდნენ, ტერმინატორის საქმე ძალზე ცუდად იქნებოდა. ის ძლივს წამოაყენეს და პამიდვრებისა და კვერცხების სროლაში მანქანამდე მიაცილეს. ამ ამბის შესახებ თითქმის ყველა გაზეთში შეიტყვეს, რაც შვარცენეგერისათვის საშინელი ანტირეკლამა იყო. ახლა ის სახლში ზის, ოპერაციას ელოდება და იმ დღეს სწყევლის, როცა თოვლის პაპობაზე დასთანხმდა.

## ვალი მუდამ ვალია

**ეს მოხდა 1914 წელს. ამჟამად კურსკში მცხოვრები ანდრეი ვოლკოგონოვის პაპის მამამ ბანქოში დიდძალი ფული მოუგო მემამულე ნიკოლოზ პოპოვს.** წაგებულმა ვალის გადახდა მაშინვე ვერ შესძლო, ამიტომ დაჰპირდა, რომ თანხას თანდათან გადაუხდიდა. მაგრამ მალე ქვეყანა „გადაბრუნდა“, დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, მას რევოლუცია მოჰყვა. მემამულე საფრანგეთში გადასახლდა. თუმცა „სიტყვის კაცობა“ არ დაუკარგავს და თავის შვილებს უანდერძა – მოეძებნათ კრედიტორი და ვალი დაებრუნებინათ. ამას წინათ, 88 წლის შემდეგ, მემკვიდრეებმა შეძლეს მიცვალებულის უკანასკნელი სურვილის შესრულება. კურსკელი კაცი უცებ გამდიდრდა, ვინაიდან დაბრუნებული ვალის თანხა დაახლოებით 4 მილიონი რუბლის ეკვივალენტია.



რამდენიმე სტრიქონით



## აღმოაჩინეს უძველესი რუკა

**არქეოლოგებმა** აღმოაჩინეს მამონტის ეშვის ნატეხი, რომელზეც გამოსახული იყო ორიონის თანავარსკვლავედი. ალბათ, ჩვენი შორეული წინაპრები, 300 000 წლის წინათ ევროპაში რომ ცხოვრობდნენ, „ასტრონომიაში“ ერკვეოდნენ და ეს ფაქტი ეშვზეც აღბეჭდეს.

## ფრთხილად, კომპიუტერია!



**სწავლულთა** გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ კომპიუტერებთან ხანგრძლივმა ჯდომამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლის მოძრაობის შეჩერება და ტრომბი, რაც, მოგეხსენებათ, სიცოცხლისათვის ძალზე საშიშია!

## აკრძალეს შარდის გაყიდვა



**აღმოჩნდა,** რომ ინტერნეტში შარდით ვაჭრობა მოდად იქცა, ბევრი მას იმიტომ იძენს, რათა წარმატებით გაიაროს ანალიზები ნარკოტიკებსა და ქრონიკულ დაავადებებზე. 120 მილილიტრი კრისტალურად სუფთა და ჯანმრთელი შარდი 50 დოლარი ღირს. აშშ არკანზასის ხელისუფალთ სხვა ვერაფერი იღონეს და შარდით ვაჭრობა აკრძალეს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 30, ორშაბათი, 3 თებერვალი, 2003 წელი.

ახალი ნომერი

# მადლიერების გრძნობით განიმსჭვალებით...

გამოიცა ჟურნალ „ომეგას“ ახალი, თებერვლის ნომერი (40), რომელიც კვლავაც მიიზიდავს და დააინტერესებს ქართველ მკითხველს, კვლავაც მოხიბლავს ინტელიგენტური პოზიციით, მრავალფეროვნებით, ხარისხიანობით. ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება შოთა ქავთარაძის წერილით „გზა სულიერებაზე გადის“, რომელშიც აქცენტირებულია „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის, პარლამენტარ ზაზა ოქუაშვილის საქველმოქმედო, მეცენატური საქმიანობა. „ამ სავალალო ჟამს მადლიერების გრძნობით განიმსჭვალებით ბატონ ზაზა ოქრუაშვილის მოღვაწეობით. მისი უშურველი სამსახური ეროვნული ფასეულობებისადმი უცნობი არავისთვის აღარ უნდა იყოს, განგებ თუ არავინ დაიბრმავებს თვალს, უმადურობას თუ არავინ გაუბოროტებია“, – წერს ავტორი.

რუბრიკით „პოლიტიკა“ გამოქვეყნებულია გერჰარდ ზიმონის მოხსენება, რომელიც მან ბერლინში 2001 წლის 24 სექტემბერს წაიკითხა. მასალის სათაურია „რუსეთს გონებით ვერას გაუგებ“... (ქვეყანა და მისი მითები), რომელიც აღიქმება „ჩვენი მწერლობის“ რამდენიმე ბოლოდროინდელი პუბლიკაციის თემატურ გაგრძელებად. „ვესტნიკ ევროპიში“ დაბეჭდილი ეს საინტერესო სტატია რუსულიდან ლევან კაპანაძემ თარგმნა.

„ისტორიაში მრავლად არიან ტრაგიკული ქალები, ნიჭითა და სილამაზით შემკულნი, მაგრამ მაინც უიღბლონი, უპირველესად, სიყვარულში. ასეთი ქალი იყო ლეგენდარული აისედორა დუნკანი“, ამ სიტყვებით იწყება მაია ჯალიაშვილის წერილი „სიყვარული უსიტყვოდ“, რომელიც ეძღვნება აისედორა დუნკანისა და სერგეი ესენინის სიყვარულის ისტორიას.

მიმზიდველია თამთა თაბაგარის სტატია „მობრძანდა თოვლი“, რომლის მუზად ქცეულა ჯემალ კასრაძის მშვენიერი ფოტორეპორტაჟი. მართლაც, ამ „ფოტოების ესთეტიკური ზემოქმედების ძალა სითბოსა და სიცივის, მზისა და ნისლის, ბნელისა და სინათლის მრავლისმთქმელი დაპირისპირებითაა განპირობებული!!

„ორი ათას წელზე მეტია ბიბლია ასაზრდოებს და ამაღლებს ადამიანის სულს. რა ძალა აქვს მას? არის თუ არა მასში იდუმალი ჭეშმარიტება?“ ამ და სხვა კითხვებზე დამაჯერებელ პასუხებს გაეცნობით ნანა ერემაძე-ქვანიას ნარკვევში „კაცი სრული და ღმერთი სრული“, რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით „გზები შემეცნებისა“.

„რამდენიმე ხნის წინათ, ქარელის რაიონის სოფელ დირბში ახლადჩასულმა მოძღვარმა მამა ივანემ ეკლესიისა და მისი შემოგარენის გასუფთავება ითავა. კედლების გაწმენდისას თაბაშირის ნალესების ქვეშ ძველი მხატვრობა აღმოჩნდა...“ ამ ფაქტს აღწერს ნატო გენგიურის წერილი და ზურაბ გენგიურის ფოტომასალა.

რუბრიკით „ბუნება მბრძანებელია“ კვლავაც არნოლდ გეგეჭკორის სტატიაა გამოქვეყნებული, ამჯერად „სავანის გროტესკულ სამყაროში“.

„რატომ მოხდა ანექსია?“ – ასეა დასათაურებული ვაჟა შუბითიძის წერილი, რომელშიც ავტორი საქართველოს ჯარების ყოფილი სარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის დასკვნების მიხედვით აანალიზებს 1921 წლის ანექსიის მიზეზებს.

ჟურნალ „ომეგას“ წინა ნომერში მკითხველი გაეცნო ნიმუშებს მირიან გუჯაბიძის ღია ბარათების კოლექციიდან. ახალ ნომერში „მთავრდება ბათუმის ციკლი და მართლაც სახიერად წარმოსდგება დროთა კავშირი, რადგან ხედები, რომლებიც ფოტოებზეა აღბეჭდილი, თვალნათლივ წარმოაჩენს რა ცვლილებები მოიტანა დრომ, იმ ასმა წელიწადმა, რომელიც ხიდივითაა გადებული. ყოველი ხედი გადაღებულია იმ წერტილიდან, რაც ასი წლის წინათ. „წინათ“ და „ახლას“ მონაცვლეობა, შინაგან კავშირში მთლიანობას ანიჭებს კოლექციის ამ ერთ მნიშვნელოვან ნაწილს“.

„იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ სამჯერ იმოგზაურა საქართველოში და აქედან ორჯერ მისი გულითადი მასპინძელი პოეტი-სარდალი გრიგოლ ორბელიანი გახლდათ“. ეს საინტერესო ამბებია აღწერილი გოჩა ბერიას სტატიაში „კავკასიური ქრონიკები“, რომელიც დასტამბულია რუბრიკით „წუთები და წლები“.

„ძალიან მიყვარს საქართველო“ – საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მირეი მიუსოს ეს სიტყვები გამოუტანია მისი ინტერვიუს სათაურად მაკა ჯიბლაძეს. ინტერვიუში მრავალფეროვანი კითხვა-პასუხი, გამოთქმული მოსაზრებები ბევრს დააინტერესებს.

საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის, ურთიერთშორის კეთილმეგობრული კავშირების გაღრმავების, კულტურათა დიალოგის საკითხებს, ფერეიდნელი, ქართველების ყოფას აანალიზებს და განიხილავს ნომადი ბართაია სტატიით „ოთხი საუკუნე – ოთხი წამი“, რომელსაც დართული აქვს მიხეილ როსტომაშვილის ფოტოები.

დავით გურამიშვილის ორი საინჟინრო-საირიგაციო პროექტის ბედზე მოუთხრობს მკითხველს პეტრე რომიძის „სარწყავისა და წისქვილის მოხაზულობა („დავითიანის“ თანდართვით).

„ომეგას“ კიდევ ერთი მშვენიერი პუბლიკაციაა თემურ აბულაშვილის „რუსთაველის პროსპექტი“ (ციკლიდან „სამშობლო და თავისუფლება“), რომელსაც მურმან ჩაჩუას ვიზუალურად ეფექტური ფოტოები მეტ გამომსახველობას სძენს.


რუსთაველის პროსპექტი ღამით. მურმან ჩაჩუას ფოტო.

მრავლისმთქმელია ვანო ჩხიკვაძის „ვარიანელი მეციხოვნე“, – საგულისხმო მსჯელობა იაკობ გოგებაშვილზე, მასთან მიმართებაზე, პრობლემებზე...

„ვინ არის ბოლო წლებში მსოფლიო ჩემპიონატებში თავგამოჩენილი საქართველოს სპორტსმენთაგან ყველაზე ძლიერი? ამის გასარკვევად ტელეკომპანია „იბერიამ“ მაყურებელს თავისებური საახალწლო შოუ შესთავაზა. მან სტუდიაში მიიწვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმით საუკეთესოდ აღიარებული სპორტსმენები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ-პრიზიორები, ოლიმპიური თამაშების მედალოსნები: ძალოსანი გიორგი ასანიძე, თავისუფალი სტილის ფალავანი ელდარ კურტანიძე, ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეები მუხრან ვახტანგაძე და ბადრი ხასია. მიიწვია და ისინი ნეიტრალურ სარბიელზე ნეიტრალურ სახეობაში – მკლავჭიდში შეერკინენ ერთმანეთს“. ამ იდეის ავტორი „იბერიას“ სპორტული მიმომხილველი გურანდა გურასაშვილი ყოფილა. ამ შოუს აღწერს ავთანდილ სულხანიშვილი სტატიით „ორთაბრძოლა საახალწლო ნაძვის ხესთან“.

ჟურნალ „ომეგას“ გალერეაში გამართულ „ჩვენი წიგნების“ გამოფენას, მის მნიშვნელობას ასახავს ბორენა ჯაჭველიანის სტატია „მკითხველის უჩინარი მღელვარება“. წერილის დასასრულს იმასაც შეიტყობთ, რომ დღე-დღეზე გამოიცემა „წიგნი ქალილასა და დიმნასი“ („ქილილა და დამანა“), რომელიც არაბულიდან გიორგი ლობჟანიძეს უთარგმნია. თარგმანის რედაქტორი როსტომ ჩხეიძეა.

რუბრიკით „დრამატურგია“ გაეცნობით მანანა დოიაშვილის პიესას „თამაში რემანკის გარეშე“, რომელსაც ერთვის ლორეტა შენგელია-აბაშიძის ილუსტრაციები. ჟურნალის ახალ ნომერში კვლავ გამოჩნდა რუბრიკა „პოეზიის მერიდიანებზე“, რომელშიც გამოქვეყნებულია ბერძენი პოეტის იანის რიცოსის (1909-1990) რამდენიმე ლექსი, რომლებიც ახალბერძნულიდან გიორგი წულაძემ თარგმნა.

„არავინ იცის, განგების ძალით რატომ დაჰყვებათ ხოლმე კეთილშობილ ალმასებს საბედისწერო თვისებები. ფრანგმა მეცნიერებმა უკვე კარგა ხანია დაამტკიცეს, რომ ქვები „ცოცხალი არსებებია“, რომ მათ, ადამიანთა მსგავსად, უხარიათ და სწყინთ. გარდასული საუკუნეები მოწმობენ, რომ ალმასებს, ბედნიერების გარდა, უბედურების მოტანაც შეუძლიათ – დიდებული ალმასები ხომ ხშირად გამხდარან თვით დიდ სახელმწიფოებს შორის შუღლისა და სისხლისმღვრელი ომების საბაბი. ამდენად, ცნობილი ქვების ისტორია მეტად დრამატულია, ათასგვარი რომანტიკული წვრილმანებით დატვირთული და საიდუმლოებათა ბურუსით მოსილი. მსოფლიოში უდიდესი ალმასების სამშობლოდ ინდოეთი ითვლება, ხანგრძლივი დროის მანძილზე მხოლოდ იქიდან შედიოდა ძვირფასი ქვები ცივილიზებულ ქვეყნებში“. სწორედ ინდური წარმოშობის ალმასთა საინტერესო ისტორიას გაგაცნობთ ნინო გომართელის ნარკვევი „ეს საბედისწერო ალმასები“.





კოტე კიკნაძე. მცხეთა.

26 სექტემბერს „ომეგას“ გალერეაში გაიმართა ჟურნალის ფურცლებზე ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ილუსტრაციების ორიგინალების გამოფენა. ამ გამოფენაზე გადაგანაცვლებთ მარინე რევიშვილის რეპორტაჟული ხასიათის სტატია „წვეთი, რომელიც ზღვას აირეკლავს“, რომელშიც ავტორის მოსაზრებებთან ერთად გაეცნობით დიმიტრი ერისთავის, ზურაბ ნიჟარაძის, იოსებ ჭუმბურიძის, როსტომ ჩხეიძის, ნინო ზაალიშვილის, გივი ალხაზიშვილის, იგორ ჩხეიძის, ვაჟა ორბელაძის, ელისო კალანდარიშვილის შთაბეჭდილებებს.

ცნობილი მხატვრის ოლეგ ტიმჩენკოს შემოქმედებას ეძღვნება მამუკა თოლორდავას სტატია „დედოფალი გარდაიცვალა ანუ „თამაში შექსპირის მსგავსად“.

„გულთბილი, ყურადღებიანი, უაღრესად სათნო და გულისხმიერი ადამიანის, ჭეშმარიტი შემოქმედის, დიდებული პედაგოგის და ღირსეული პიროვნების“ ცნობილი მხატვრის კოტე კიკნაძის პორტრეტს ხატავს ქეთევან ბარნაბიშვილის წერილი „კვალი ნათელი“.

„ომეგას“ ახალ ნომერში ორი წერილი ეძღვნება თეატრალურ ხელოვნებას – მერაბ ღაღანიძის „კავკასიური ცარცის წრე“ ძველი პრემიერა გვიანდელი გადასახედიდან“, რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით „მოგონებათა სკივრი“, „თეატრალურ სიახლეებში“ კი გაეცნობით ნათელა არველაძის პუბლიკაციას „მემკვიდრეობის ხიბლი და ძალა“ (ფოტოები ირაკლი ბლუაშვილისა).

მაკა კუკულავას და მის ფოტოხელოვნებას აცნობს მკითხველს ინგა მილორავა სტატიით „შუქჩრდილს მიღმა და აქეთ“.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საინტერესო მასალებს წაიკითხავთ ჟურნალის მუდმივ რუბრიკებში „მოზაიკა“ და ნაკვესები“.

„ომეგას“ ახალი ნომერი უკვე იყიდება, შეიძინეთ და ისიამოვნეთ.

ზურაბ ოიკაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# ბინდის სიბრმავე როგორც შიშის მიზეზი

**ბავშვებს, რომლებსაც სიბნელისა ეშინიათ, ყოველთვის როდი სურთ, ამ შიშით უბრალოდ მიიპყრონ ყურადღება, როგორც ბევრ მშობელს ჰგონია. სინამდვილეში ბევრ ბავშვს აწუხებს ე. წ. ქათმის, ანუ ბინდის სიბრმავე, და ცუდად ხედავს სიბნელეში.**

მეცნიერთა თქმით, ეს საკმაოდ იშვიათი დაავადებაა და ძალზე ჭირს მისი ზუსტი დიაგნოზის დასმა.

მეტწილ ადამიანთა თვალი შედარებით მალე ეჩვევა სიბნელეს. მაგრამ ზოგიერთ ბავშვს, რომლებიც კარგად ხედავენ ნორმალური განათების დროს, მხედველობა უქვეითდება სინათლის უკმარისობის პირობებში.

გლაზგოს ერთ-ერთი საავადმყოფოს მკვლევარები „ბრიტიშ მედიკელ ჯორნელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აღწერენ თანდაყოლილი ქრონიკული ბინდის სიბრმავის ორ შემთხვევას.

პირველში სამი წლის გოგონა მშობლებმა საავადმყოფოში მიიყვანეს იმის გამო, რომ ბავშვი ჩიოდა, სიბნელეში ვერაფერს ვერ ვხედავო. გოგონას დაძინება უჭირდა, და ოთახიდან გამოსვლა მხოლოდ მაშინ შეეძლო, როდესაც დერეფანი განათებული იყო.

ბავშვი ექიმს მიუყვანეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის სამი თვის დასაც აღმოაჩინა მხედველობის პრობლემები.

მეორე შემთხვევაში ორი წლის გოგონა ასევე ცუდად ხედავდა სიბნელეში, გამუდმებით ეჯახებოდა ოთახში მდგომ ავეჯს და ეცემოდა. შუაღამისას ეღვიძებოდა, მაგრამ, შეშინებული, მაინც არ გარბოდა მშობლებთან. გარდა ამისა, ბავშვს ჩრდილებისაც ეშინოდა.

საბოლოოდ, ექიმებმა დაადგინეს, რომ ოჯახის წევრებს ჰქონიათ პრობლემები მხედველობასთან დაკავშირებით, მათ შორის, ე. წ. ქათმის სიბრმავე. გოგონას წამლად გამოუწერეს ფარანი და სინათლე საძინებელ ოთახში. ამის შედეგად ბავშვს თანდათან გაუქრა სიბნელის შიში.

მკვლევარებმა, რომლებმაც ოფთალმოლოგ გორდონ დატონის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, განაცხადეს, რომ ძალზე საჭიროა ყურადღებით განვიხილოთ ხოლმე ის შემთხვევები, როდესაც ბავშვებს სიბნელისა ეშინიათ, მეტადრე, თუ ოჯახში შეიმჩნევა თვალის დაავადებები.



„ბავშვებში ბინდის სიბრმავემ შეიძლება გამოიწვიოს სიბნელის დაუძლეველი შიში, — აღნიშნავენ მედიკოსები. — სწორი დიაგნოზის დასმა და ბავშვის დახმარება — მისთვის განათების კონტროლის შესაძლებლობის მინიჭება, არსებითად გააუმჯობესებს ოჯახურ ცხოვრებას“.

# პუტინმა რუსეთს სამთო თხილამურები შეაყვარა

**ბორის ელცინის წყალობით ჩოგბურთი რუსეთში სპორტის მოდურ სახეობად იქცა. ახლა ვლადიმერ პუტინს სურს, პოპულარიზაცია გაუწიოს სამთო თხილამურებს.**

კადრებს, რომლებზეც მოჩანს რუსეთის პრეზიდენტის სპორტული ფიგურა, ციცაბო მთის კალთაზე რომ მოექანება, წარამარა აჩვენებენ ტელევიზორით, ფოტოსურათები ქვეყნდება გაზეთებსა და ჟურნალებში. რუსეთში ნამდვილი სამთოსათხილამურო ბუმი დაიწყო.

კაცი, რომელმაც პუტინს სამთო თხილამურები შეაყვარა, არის საბჭოთა ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩოვი. ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა თავისი გატაცებით აღანთო, აგრეთვე, პრემიერ-მინისტრი (რომელსაც, სხვათა შორის, პრეზიდენტმა დაბადების დღეზე სამთო თხილამურები აჩუქა), და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელენი.



პრეზიდენტის პირადი ინსტრუქტორის, ტიაგაჩოვის თქმით, პუტინი ახლა ქარივით დაქრის მთის ფერდობებზე. „ვლადიმერ პუტინს არ გაუვლია წვრთნის ჩვეულებრივი კურსი და თავდაპირველად ხშირად იმეორებდა ძველ შეცდომებს. მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ გამოვუსწორეთ ტექნიკა. ახლა იგი სტაბილურია, და მთიდან ძალზე მაღალი სიჩქარით ეშვება“.

რუსეთში ტრადიციულად პოპულარული ხდება ლიდერთა გატაცება. ახლა ყველა სამთო თხილამურებზე შეიშალა. ამ ზამთარს მოსკოვში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო გამოკრული ქუჩის პლაკატები, რომლებიც რუსებს მოუწოდებენ, თხილამურით ისეირნონ და სპეციალური ინვენტარი შეიძინონ.

პრეზიდენტის გატაცება მერეკლამეებისა და სპორტული მაღაზიების მფლობელებისათვის ნამდვილი ციური მანანაა. თაროებზე აწყვია თხილამურები, ჯოხები, კოსტიუმები, რომლებითაც პრეზიდენტს ხედავენ ეკრანებზე.

სანამ პრეზიდენტ პუტინს სამთოსათხიმლამურო „დაავადება“ შეეყრებოდა, რუსი სპორტის მოყვარულები ცხრა მთას იქით დადიოდნენ ზამთრის კურორტებზე. ახლა მინი-შვეიცარია საკუთარ ქვეყანაში უნდა შექმნან.

ლანდშაფტი დიდი ვერაფერი დაბრკოლებაა პოლიტიკური ნებისათვის. მოსკოვის ოლქის ვოლენის სპორტულ პარკში არ ჩერდება სამთო მოთხილამურეთა ამწე მანქანები. „პრეზიდენტი პუტინი თხილამურებით დასრიალებს და დანარჩენებსაც მოსწონთ ამის კეთება“, — ამბობს 12 წლის გოგონა სტასია. მისმა თანატოლმა ილიამ პრეზიდენტის მაგალითს მიბაძა და ახლა თვითონაც დადის სამთო თხილამურებით.

„პუტინის წყალობით სამთო თხილამურები სპორტის ეროვნული სახეობა გახდა, — ამბობს ილია. — ეს ძალიან კარგია, იმიტომ, რომ სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის“.

თხილამურით სრიალი მოდურია პოლიტიკური მოსაზრებებითაც. წინა კვირას კი გაიმართა გამოჩენილ ადამიანთა შეჯიბრება, რომელშიც მინისტრები, ბიზნესმენები და კოსმონავტები მონაწილეობდნენ.

ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც სამთო თხილამურები ჯერჯერობით ვერ გახდა რუსეთში სპორტის მასობრივი სახეობა, — ეს არის ფასი. მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ მოსკოველებს კიდევ სჭირდებათ სულ ცოტა ათამდე ასეთი სპორტული ცენტრი.

ვალერი ტიხომიროვი, რუსეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი აღიარებს, რომ სპორტის ეს სახეობა საკმაოდ ძვირია. „აღჭურვილობა და ბილეთები, რა თქმა უნდა, გვარიანი თანხა ჯდება. მაგრამ ეს ხომ ისეთი სიხარულია, რომ სიძვირე ვერ აჩერებს ადამიანებს! სამთო თხილამურები არ შეიძლება, არ შეგიყვარდეს. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალი პრეზიდენტის მმართველობისას სპორტის ეს სახეობა ძალზე პოპულარული გახდება“.

# ლეონარდო და ვინჩის დელტაპლანს ფრენა შესძლებია

**დელტაპლანს, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ ჩაიფიქრა 500 წელიწადზე მეტი ხნის წინათ, ფრენა შეუძლია. მასზე ვერ შეასრულებ უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს, მაგრამ იგი იოლად სწყდება დედამიწას და აღწევს 15 მეტრ სიმაღლეს.** შესაძლოა, „კონკორდისა“ და ზებგერითი ავიაციის ეპოქაში უფრო გრანდიოზული რეკორდებიც მყარდება, მაგრამ ცოტა თუ მოიძებნება ისეთი კაცი, ვისაც შეუძლია ხუთი საუკუნის წინათ დაპროექტებული მანქანა აიყვანოს ჰაერში.

ამ ექსპერიმენტების მოსაწყობად ბრიტანეთში შეიქმნა ორი დელტაპლანი. პირველი — აშენდა ბი-ბი-სის პროგრამისათვის ლეონარდოს ერთ-ერთი ნახაზის მიხედვით; იგი ყველაზე ზუსტად იმეორებს გამომგონებლის ჩანაფიქრს, და შეიქმნა მასალებისაგან, რომლებიც შეიძლებოდა, გენიალური მხატვრისა და გამომგონებლის განკარგულებაში ყოფილიყო. მეორე დელტაპლანის შექმნისას, რომელიც Shanel 4-სათვის აშენდა, გამოიყენეს დიდი ლეონარდოს რამდენიმე პროექტი: 1487 წლის ნახატს დაუმატეს მართვის საჭევარი და ტრაპეცია, რომლებიც ლეონარდომ მოგვიანებით გამოიგონა.

„ჩემი პირველი რეაქცია იყო გაოცება. მანქანის სილამაზემ, უბრალოდ, მომაჯადოვა“, — ამბობს ჯუდი ლიდენი. იგი მსოფლიო ჩემპიონია, სულ 52 კილოგრამს იწონის, და სწორედ ამიტომ აირჩიეს ლეონარდოს ორი საფრენი აპარატის პილოტად.

მამაცმა ქალმა რამდენჯერმე აიყვანა ჰაერში პირველი დელტაპლანი, მაგრამ — სულ რამდენიმე წამით, მეორემ 15 მეტრ სიმაღლეზე 30 მეტრი გაიფრინა.

„ლეონარდო ნამდვილი გენიოსი იყო: 500 წლის წინათ იგი უკვე ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ შეექმნა შვეულმფრენი და სხვა საფრენი აპარატები“, — ხაზი გაუსვა ენდრიუ ნახუმმა, ლონდონის მეცნიერებათა მუზეუმის აერონავტიკის განყოფილების დირექტორმა, რომელიც მონაწილეობდა ამ ორ პროექტზე მუშაობაში.

ბი-ბი-სის სამეცნიერო ციკლის პროდიუსერის მაიკლ მოსლის აზრით, იმის მიზეზი, რომ დელტაპლანი უზადოდ ვერ ფრინავს, არის თვით ლეონარდოს უნდობლობა, რომ მისი გამოგონება სამხედრო მიზნით გამოეყენებინათ. „როდესაც ვქმნიდით ლეონარდოს დაპროექტებულ მანქანებს და ვპოულობდით შეცდომებს, ჩვენ ვგრძნობდით: ისინი განზრახ არის დაშვებული. ჩვენი ჰიპოთეზაა ის, რომ ლეონარდო იყო პაციფისტი, რომელიც ემსახურებოდა იმდროინდელი ეპოქის მხედართმთავრებს, და სპეციალურად შეჰქონდათ თავის პროექტებში მცდარი ინფორმაცია“.

საბუთი გნებავთ? — ინებეთ; ეს არის წყალქვეშა ცურვის რესპირატორის ნახაზის მეორე მხარეს გაკეთებული ჩანაწერი: „როდესაც ეცოდინებათ, როგორ მუშაობს ადამიანის გული, მათ ეცოდინებათ ისიც, როგორ მოკლან ადამიანები წყალქვეშ“.



# აშშ: იყიდება გენეტიკურად მოდიფიცირებული სიგარეტი

**შეერთებული შტატების მაღაზიებში გაჩნდა გენეტიკურად შეცვლილი თამბაქოს სიგარეტი, რაც მწეველებს საშუალებას მისცემს, თავად აირჩიონ ნიკოტინის დონე.** ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მწარმოებელს განზრახული აქვს, ახალ მარკას Guest-ს გაუწიოს რეკლამა, როგორც წევისათვის თავის დანებების საუცხოო საშუალებას.



ასეთი სიგარეტის წევა, ირწმუნება მწარმოებელი, შეამცირებს ნიკოტინის დონეს სისხლში — არადა, სწორედ ნიკოტინი იწვევს თამბაქოს წევის მოთხოვნილებას. თუმცა, წარმოიდგინეთ სიგარეტი ისეთი საშუალების როლში, რომელიც წევას გადაგაჩვევს, არც ისე იოლია. საქმე ის არის, რომ ასეთმა მედიკამენტებმა უნდა გაიარონ ექსპერტიზა ჯანდაცვის ორგანოებში, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ სიგარეტს ეს არ სჭირდება. ამიტომ რეკლამის გამომგონებლებს დიდი ჯაფა დაადგებათ იმისათვის, რომ 15 მილიონ დოლარად მოამზადონ პლაკატები, რომელიც გზაკვალს არ აურევდა მომხმარებელს და არ შეაშფოთებდა მედიკოსებს.

იმისათვის, რომ პროდუქტი მხოლოდ „დამაინტრიგებელ კურიოზად“ არ გამოიყურებოდეს (ასე იხსენიებენ ახალ სიგარეტს მედიკოსები), კომპანია Vector Tobacco-ს განზრახული აქვს, შეუკვეთოს მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც დაადასტურებდა სიახლის სარგებლობას მწეველებისათვის. თუმცა, ასოშიეიტედ პრესი აღნიშნავს, რომ აქამდე მეთუთუნეები გამაჯანსაღებელი სენსაციის სახით რეკლამას უწევდნენ ნიკოტინის ნაკლები შემცველობის მქონე ნაირნაირ „მსუბუქ“ და „რბილ“ სიგარეტებს. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მწეველი, რომელსაც სურს, ორგანიზმისათვის საჭირო დოზის ნიკოტინი მიიღოს, მხოლოდ უფრო მეტს ეწევა. ამან დასაბამი მისცა სასამართლო სარჩელების ტალღას თამბაქოს კორპორაციების წინააღმდეგ, რომლებიც, მწეველთა ღრმა რწმენით, განზრახ აწვდიდნენ მას დეზინფორმაციას, როდესაც ასეთ სიგარეტს ნაკლებად მავნებელს უწოდებდნენ.

გარდა ამისა, როგორც მედიკოსები აღნიშნავენ, კომპანიის არც ერთ ცნობაში არ არის ნათქვამი, რომ ახალი სიგარეტი ნაკლებ ფისებსა და სხვა კანცეროგენებს შეიცავს.

# ონასისის შვილიშვილი მაგნატის მილიარდებს არიგებს

**როგორც ვიუწყებოდით, განსვენებული ბერძენი მაგნატის არისტოტელე ონასისის შვილიშვილმა და მისმა ერთადერთმა მემკვიდრემ ათენა ონასისმა თავისი სრულწლოვანების წინ პირველად განაცხადა, რომ სურს, ეწეოდეს ჩვეულებრივ ცხოვრებას თავის საქმროსთან, ბრაზილიელ მხედართან აფონსუ დი მირანდა მეტლსთან ერთად.**

იმ მემკვიდრეობის ლომის წილს, რომელიც ორიდან შვიდ მილიარდამდე ევროდ არის შეფასებული, იგი გადასცემს საქველმოქმედო მიზნებისათვის, „და თავისთვის სულ რამდენიმე მილიონს დაიტოვებს“.



ათენას თქმით, რომელსაც 29 იანვარს 18 წელი შეუსრულდა, მას ყელში ამოუვიდა ჯავშნოსანი ავტომობილები და მრავალრიცხოვანი ყორჩები. არადა, სწორედ ასეთ პირობები ცხოვრობს იგი ბავშვობიდან ქენევაში თავისი მამის — ფრანგი პიერ რუსელის ახალ ოჯახთან ერთად.

გოგონა თვლის, რომ ბაბუამისის უზარმაზარი სიმდიდრე დაწყევლილია, ვინაიდან დედამისი — ქრისტინა ონასისი — უბედური ქალი იყო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**არჩილ მანჯგალაძემ.**

№ 30, ორშაბათი, 3 თებერვალი, 2003 წელი.

ვერსია

# დედამიწას ანტარქტიდიდან უსაშინლესი ეპიდემია ემუქრება

1999 წელს ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელიც თავდაპირველად მეცნიერთა წრეს არ გასცილებია. მიუხედავად ამისა, იგი იმდენად ყურადსაღები იყო, რომ სპეციალისტებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს მთელ მსოფლიოში თავიანთ კოლეგებთან ერთად ემსჯელათ ამ საკითხზე. საქმე ეხებოდა ანტარქტიდაში ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ ვირუსს, რომლის მიმართ იმუნიტეტი არც ადამიანებს და არც ცხოველებს არ გააჩნიათ. შესაძლოა ვინმემ გაიფიქროს კიდეც, სად ანტარქტიდა და სად ცივილიზებული სამყარო, თანაც ეს საშინელი ვირუსი ხომ მუდმივ გამყინვარების ზონაშია და კაცობრიობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენსო, მაგრამ... თუ მეცნიერთა აზრით ჩვენს პლანეტაზე გლობალური დათბობაა ნავარაუდევი, მაშინ ეს ვირუსი მთელ პლანეტას საფრთხეს შეუქმნის — კაცობრიობა საშინელი კატასტროფის წინაშე დადგება.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ექსპერტმა ტომ სტარმერიუმ თავისი შეშფოთება ამ საკითხის ირგვლივ მსოფლიოს წამყვან მეცნიერებს გაუზიარა: „გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით ჩვენ ჯერ კიდევ არ წარმოგვიდგენია, თუ რა საფრთხეს გვიმზადებს სამხრეთ პოლუსი. გამორიცხული არ არის, რომ დედამიწაზე ეპიდემიამ იფეთქოს. თან ისეთი მასშტაბებით, რომელიც კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. პროტეინის გარსით დაცული მიკრობები, რომლებმაც მუდმივ გამყინვარებაში თავისი სასიცოცხლო თვისებები შეინარჩუნეს, დათბობისთანავე კატასტროფული სიჩქარით დაიწყებენ გამრავლებას“...

ამერიკელი სწავლულები იმდენად სერიოზულად მოეკიდნენ ანტარქტიდაში აღმოჩენილ ვირუსს, რომ სხვადასხვა სპეციალისტებისაგან სასწრაფოდ შექმნეს ექსპედიციები და სამხრეთ პოლუსზე კვლევები დაიწყეს. ისინი ცდილობენ გამონახონ ანტივირუსი, რომელიც გააუვნებელყოფს „ანტარქტიდულ საზიზღრობას“. როგორ აღმოჩნდა ყინულეთში, სადაც მხოლოდ პინგვინები ცხოვრობენ, ამგვარი ვირუსი? სპეციალისტები ჯერჯერობით მხოლოდ გაოცებისგან მხრებს იჩეჩავენ... თუმცა არსებობს ანტარქტიდაში ვირუსის გაჩენის რამდენიმე ვერსია. ზოგიერთი მათგანის განხილვა ვგონებთ ინტერესმოკლებული არ იქნება.

* * *

სწავლულთა უმეტესობა მხარს უჭერს იმ ვერსიას, რომ მუდმივ გამყინვარებაში შესაძლებელია ისტორიამდელი ცხოვრების ფორმების შენარჩუნება. ამგვარი მიკრობები და ვირუსები მრავალი მილიონი წლის წინათ არსებობდნენ და რასაკვირველია, დღევანდელობისათვის უცნობნი არიან. მაგრამ არსებობს სხვა თეორიებიც, სხვათა შორის, ძალზე საინტერესო და არცთუ ისე ფანტასტიკური. მეცნიერთა ნაწილი „ყველაფერში ბრალს“ დებს „მესამე რეიხს“. გერმანელებმა ანტარქტიდაში გადამალეს კაცობრიობისათვის ყველაზე საშიში ბაქტერიოლოგიური იარაღი. ეს თეორია ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1938 წელს ნაცისტები მოულოდნელად დაინტერესდნენ ანტარქტიდით და 1938-1939 წლებში ორი ექსპედიციაც კი მოაწყვეს სამხრეთ პოლუსზე. თავდაპირველად მესამე რეიხის თვითმფრინავებიდან დეტალურად გადაიღეს მანამდე სრულიად უცნობი ტერიტორიები, შემდეგ კი იმის დასამტკიცებლად, რომ ამ კონტინენტის გამოკვლევაში ისინი პიონერებად ითვლებოდნენ, „ყინულეთში“ სვასტიკაგამოსახული ლითონის ვიმპელები ჩაყარეს.

ანტარქტიდის მკვლევარმა ნაცისტებმა მთელ ამ ტერიტორიას ახალი შვაბია უწოდეს და რეიხის ნაწილად გამოაცხადეს. ექსპედიციის შემდეგ კაპიტანმა რიტშერმა ფელდმარშალ გერინგს მოახსენა: „ყოველ 25 კილომეტრში ჩვენმა მფრინავებმა ლითონის ვიმპელები ჩაყარეს. ჩვენ დავისაკუთრეთ დაახლოებით 8600 ათასი კვადრატული მეტრი. აქედან 350 ათასი კვადრატული მეტრი დეტალურად არის გადაღებული“.

1943 წელს გროსადმირალმა კარლ დენიცმა იმ დროისათვის მეტად სერიოზული განაცხადი გააკეთა. „გერმანიის წყალქვეშა ფლოტი ამაყობს იმით, რომ თავისი ფიურერისათვის მან დედამიწის მეორე ბოლოში მიუდგომელი ციხესიმაგრე ააგო?“

ეს იმას ამტკიცებდა, რომ 1938 წლიდან 1943 წლამდე ნაცისტებმა ანტარქტიდაში საიდუმლო ბაზა შექმნეს. ტვირთისა და მოწყობილობების გადასატანად იყენებდნენ წყალქვეშა ნავებს და „ფიურერის საიდუმლო ბადრაგს“. როგორც ისტორიკოსები წერენ ომის დასასრულს მესამე რეიხელმა სპეციალისტებმა პორტ კილში წყალქვეშა ნავებს ტორპედოები მოხსნეს და სავსე კონტეინერებით დატვირთეს. წყალქვეშა ნავებში ჩასხეს მგზავრებიც, რომლებსაც სახე ქირურგიული სახვევებით ჰქონდათ დაფარული.

ერთ-ერთი წყალქვეშა ნავის „U-530“-ის მეთაური გახლდათ ვილჰელმ ბერნხარდი. 1945 წლის 13 აპრილს ნავი კილიდან გავიდა. ანტარქტიდაში გასაიდუმლოებული გუნდის თექვსმეტმა წევრმა ყინულის მღვიმე გააკეთა, სადაც მათ უზარმაზარი ყუთები შეზიდეს. ზოგიერთის ვარაუდით ყუთებში მესამე რეიხის რელიკვიები, ჰიტლერის პირადი ნივთები და გერმანიის არქივი ინახებოდა. ეს ოპერაცია ატარებდა კოდურ სახელწოდებას „ვალკირია-2“. ოპერაციის დასრულების შემდეგ, 1945 წლის 10 ივლისს „U-530“ არგენტინის პორტ მარ-დელ-პლატაში შევიდა და ეკიპაჟის ყველა წევრი არგენტინის მთავრობას ჩაბარდა. არსებობს ის ვერსიაც, რომ მეორე სუბმარინმა „U-977“ ანტარქტიდაში გადაიტანა ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ფერფლი. იგი 1945 წლის 17 აგვისტოს შევიდა მარდელ-პლატას პორტში. წყალქვეშა ნავის მეთაური იყო ჰეინც შეფერი.

ორივე ნავის მეთაური ამერიკისა და ინგლისის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა დაკითხეს. მათ ანტარქტიდაში საიდუმლო ტვირთის გადატანა გულახდილად აღიარეს. სწორედ აქ იბადება ეჭვი — ნუთუ ამგვარი სერიოზული ოპერაცია მხოლოდ რეიხის რელიკვიების გადამალვის გამო მოეწყო? რამდენიმე წლის შემდეგ სპეცსამსახურის თანამშრომლებს ხელთ ჩაუვარდათ კაპიტან შეფერის კონფიდენციალური წერილი, რომელსაც იგი თავის მეგობარს, კაპიტან ვილჰელმ ბერნხარდს უგზავნიდა და აფრთხილებდა, რომ მემუარებში სიმართლე არ დაეწერა. იგი დათარიღებულია 1983 წლის 1 ივნისით. აქვე მოგვყავს ამონაწერი წერილიდან: „ძვირფასო ვილჰელმ, დიდი ხანია ვფიქრობ, ღირს თუ არა გამოაქვეყნო შენი ხელნაწერი, რომელიც „U-530“-ს ეხება. სამივე ნავი („U-977, U-530, U-465), რომლებიც იმ ოპერაციაში მონაწილეობდნენ ახლა მშვიდად განისვენებენ ატლანტიკის ოკეანის ფსკერზე. იქნებ ასეც იყო უპრიანი. იფიქრე ამაზე, ჩემო ძვილო მეგობარო! იმაზეც იფიქრე, როგორი გამოვა შენი წიგნი იქ თუ სიმართლეს აღწერ. (ჰეინც შეფერმა ომის შემდეგ გამოსცა წიგნი „U-977“ — რედ.) ჩვენ ხომ ერთმანეთს შევფიცეთ, რომ საიდუმლოს არასოდეს გავამხელდით, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი არაფერი ჩაგვიდენია. ჩვენ ბრძანებას ვასრულებდით, ვიბრძოდით ჩვენი საყვარელი გერმანიის მომავლისათვის. სწორედ ამიტომ გთხოვ, დაფიქრდე: იქნებ ყველაფერი ისე აღწერო, თითქოს მონაგონია? რას მიაღწევ იმით, როდესაც ჩვენს მისიაზე სიმართლეს იტყვით? ვინ დაზარალდება შენი გულახდილობით? იფიქრე ამაზე!...“

40 წლის შემდეგაც ჰეინცი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბერნხარდს სიმართლე არ ეთქვა. იქნებ სუბმარინებს მეექვსე კონტინენტზე ძალზე საშიში რამ მიჰქონდათ და არქივი და რელიკვიები მართლაც მონაგონი იყო? იქნებ სწორედ ბაქტერიოლოგიური იარაღი იყო ის ტვირთი, რომელიც ვირუსების სახით ამერიკულმა ექსპედიციამ მეოცე საუკუნის მიწურულს აღმოაჩინა ანტარქტიდაზე?

* * *

კიდევ ერთი თეორია, რომელიც დიდ ყურადღებას ითხოვს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ვირუსი დედამიწაზე რომელიმე ჩამოვარდნილ მეტეორიტს ჩამოჰყვა. 1997 წელს ავტომატურმა სადგურმა „გალილეომ“ დედამიწაზე გამოგზავნა მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტის იუპიტერის თექვსმეტი თანამგზავრიდან ერთ-ერთის — ევროპის ფოტოები. მაშინ მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ მზის სისტემის განაპირას მდებარე ამ თანამგზავრზე უნდა ყოფილიყო თხევადი წყლის უზარმაზარი ოკეანე. ახლახან ანტარქტიდაში აღმოაჩინეს ყინულქვეშა ტბა, რომელსაც ამ რეგიონში მდებარე რუსულ სადგურ „ვოსტოკის“ საპატივცემულოდ „ვოსტოკი“ შეარქვეს. იგი ყინულქვეშ 4 კილომეტრ სიღრმეზე მდებარეობს. ამერიკის ეროვნული სამეცნიერო ფონდის განცხადებით ანტარქტიდაში აღმოჩენილი ყინულქვეშა ტბა და იუპიტერის თანამგზავრზე აღმოჩენილი ოკეანე ერთმანეთის იდენტურია. უფრო მეტიც, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ოკეანოგრაფმა ჯონ დილეინმა განაცხადა, რომ თანამგზავრ ევროპაზე აღმოჩენილ ყინულქვეშა ოკეანეში სიცოცხლე არსებობს. ამ აზრს დაეთანხმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ანტარქტიდის სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო კომისიის წევრი იგორ ზოტიკოვი. მან დაამატა, რომ ორივე „მონათესავე“ ყინულქვეშა წყლებში გამორიცხული არ არის არსებობდეს კაცობრიობისათვის ჯერაც უცნობი მიკრობთა ფორმები.

შესაძლოა, რომ ანტარქტიდაში აღმოჩენილი ვირუსი ჩვენს პლანეტაზე კოსმოსიდან, კერძოდ, თანამგზავრ ევროპიდან მოხვედრილიყო. მეცნიერები ახლა დაკავებულნი არიან ანტივირუსული ვაქცინის შექმნით. ღმერთმა ნუ ქნას, ყინულის საფარი დადნეს და დედამიწას ეპიდემია მოედოს.




მოამზადა
მამუკა ვაშაკიძემ.

მსოფლიო შტრიხებში

## ჰარი პოტერი—გოგონა?



**მსოფლიოს ბავშვებში უკვე საკმაოდ პოპულარულმა ბიჭუნამ ჰარი პოტერმა ჩვენშიც კინოსა და წიგნის საშუალებით მალე მოიპოვა თაყვანისმცემლები.**

ლონდონელებივით, ალბათ, მათაც გააკვირვებდათ და თანაც აღაშფოთებდათ, ქალაქის ქუჩებში გოგონას ტანსაცმელში გამოწყობილი დენიელ რედკლიფი რომ ეხილათ, რომელიც ფილმში ჰარი პოტერის როლს თამაშობს.

მეორე დღესვე ლონდონის ერთ-ერთ ბულვარულ გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელიც მკითხველებს აუწყებდა, რომ ნორჩი მსახიობი ტრანსვესტიცია, ჰოლივუდში დიდი აურზაური გამოიწვია. ცნობილია, რომ მსოფლიოს უდიდეს კინოქალაქში, სადაც ზნეობის დიდი თავისუფლებაა, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს ეჭვით უყურებენ.

ჰარი პოტერზე ფილმის პროდიუსერებიც აფუსფუსდნენ და წიგნის ავტორს ჯოან როულინგ ფაკსს მიმართეს თხოვნით, ცალკე ანაზღაურებით გადაეკეთებინა სცენარი — ავი ძალების მეშვეობით მოეკლა ჰარი პოტერი და მთავარ გმირად სხვა პერსონაჟი გაეხადა. როულინგი საგონებელში ჩავარდა — მილიონებზე უარის თქმაც არ უნდოდა და თავისი საყვარელი გმირის გაწირვაც ენანებოდა.

საბედნიეროდ, რედკლიფის გარშემო შექმნილი სიტუაცია ძალზე მალე გაირკვა.

აღმოჩნდა, რომ ლონდონის ერთ-ერთმა თეატრმა მსახიობს შესთავაზა ახალ სპექტაკლში გოგონას როლის შესრულება. და რათა როლი გაეთავისებინა, იმიტომ დადიოდა მის ტანსაცმელში გამოწყობილი. ატეხილმა აურზაურმა ნორჩი მსახიობი დაარწმუნა, რომ, შეიძლება, დაეკარგა უზარმაზარი ჰონორარი, ახალ ფილმებში ჰარის როლის შესრულებისათვის, რომ ჰპირდებოდნენ. ამიტომაც სასწრაფოდ უარი თქვა თეატრზე.

ახლა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დენიელი მხოლოდ მამაკაცის კოსტიუმებს იცვამს და მხოლოდ იმაზე ნანობს, რომ წვერი ჯერ არ ამოსდის.

## ცეკვა-სიმღერით... ციხეში

**ცეკვის კურსები გაიხსნა პეკინის მამაკაცთა ერთ-ერთ ციხეში. პატიმრები პროფესიონალი ქორეოგრაფის ხელმძღვანელობით ეუფლებიან ცეკვის ილეთებს და ასრულებენ კომპოზიციებს რევოლუციურ თემებზე.** ხალხურ თუ კლასიკურ ცეკვებს გულმოდგინედ ეუფლებიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენნიც კი: ბანდიტები, მოძალადენი, რომელთაც ციხეში მრავალი წელი უნდა დაჰყონ, საცეკვაო კონკურსში გამარჯვებისათვის კი მათ პრიზი ელოდებათ — პატიმრობის ვადის ერთი წლით შემცირება. ახლა ციხეთა ხელმძღვანელები ფიქრობენ სიმღერის კლასების გახსნასაც, რადგან მიაჩნიათ, რომ ხელოვნება კეთილმყოფელურ გავლენას ახდენს პატიმართა ზნე-ჩვეულებებზე და რომ ამიერიდან დამნაშავენი ციხიდან გავლენ არა მარტო სუფთა სინდისით, სულიერად გაწმენდილნი, არამედ ცეკვა-სიმღერის უნარ-ჩვევებსაც დაუფლებულნი.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ლიტერატურული წიაღსვლები

# გაქცევა საქართველოში



არსებობს აღმოსავლური გამოთქმა: „მე შენ არ დამიწყებდი ძებნას, რომ უკვე ნაპოვნი არ გყავდე...“ ანუ ძებნა გაცნობიერებული აქტია, სადაც არასოდეს ეძებ სრულიად უცხოს და გაუგებარს და როცა რაღაცას პოულობ, აღმოჩნდება, რომ ამისთვის დიდი ხანია ემზადებოდი.

აქ უმნიშვნელო როლს თამაშობს მოულოდნელობა, შემთხვევითობა კი, ალბათ, გამორიცხულიც გახლავთ.

...უცხო გარემოს, ან პირობითად, უცხო ქვეყანას იმ ერთადერთი იმედით უახლოვდები, რომ ახალი სამყაროთი შენი ნამდვილი არსებობის გამოხატვა შესძლო.

ქართული და რუსული კულტურული სივრცეების გადაკვეთის მყარი ტრადიცია თანდათან უფრო ზედაპირული ხდება და ძველი ინერციით წამოსული მაღალი სურვილები აუხსნელ პოლიტიკურ ქაოსში იკარგება.

და მაინც, დიდი ხანია დადგა დრო, რომ რუსი პოეტების საქართველოსთან დამოკიდებულებას მოვხსნათ ცალმხრივი, ემპირიული აღტაცების ვუალი, რადგან მათი ნამდვილი ყოფნა საქართველოში საკმაოდ რთულ, ფსიქოლოგიურ, შეიძლება ითქვას, მაღალ კატეგორიებთანაა დაკავშირებული და ვიწრო ეთნოგრაფიის ფარგლებს სცილდება.

თუ რაოდენ არაფრისმთქმელია მხოლოდ მთა-გორები და მინდორველები (რომლებიც დღესაც არსებობს, მაგრამ აღარავინ უძღვნის ნატიფ მეტაფორებს), თუ რაოდენ უსუსურია ადამიანთა გარეშე ნაგულისხმევი ლანდშაფტი, პოეტ სერგეი ესენინის პირველივე შთაბეჭდილებიდან ჩანს: „აბსოლუტურად გაუგებარია რამ აღაფრთოვანა ისინი (გულისხმობს წინა თაობის რუს პოეტებს — პუშკინს და ლერმონტოვს. **ნ. ხ.**), ვინც თერგის, ყაზბეგის და დარიალის და სხვათა სახეები შექმნა... გამოგიტყდებით და რიაზანის გუბერნიაში უფრო მეტად ვიყავი კავკასიით აღვსილი, ვიდრე აქ“...

ესენინის ცნობილი სტრიქონები: “И больше всех, лишь ты, Кавказ, звенел загадочным туманом“, — შეიძლება აიხსნას, როგორც უცხო ქვეყანასთან და საკუთარ აუხსნელ საიდუმლოსთან ერთდროული მისვლის სურვილი.

უცხოს იღებს იმ მნიშვნელობით, რათა საკუთარი გამოხატოს. ეს არის მიღებისა და გაცემის ცნობილი ფორმულა, რომელიც გარკვეულ წინათმძღვრებს გულისხმობს. პოეტში, პიროვნებაში, წინასწარ მზადდება ნიადაგი (წინასწარი მზადყოფნა), რათა სასურველი ინტენსივობით განიცადოს ან მიიღოს ესა თუ ის სამყარო და სათანადო აღიარებით მნიშვნელოვანება მიანიჭოს.

არასოდეს დამავიწყდება ბატონი სერგო კლდიაშვილის საუბრები ე. წ. ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ. ის ამბობდა, რომ რუსი პოეტების ჩამოსვლა საქართველოში მხოლოდ ეგზოტიკური სცენების ძიება არ იყო, არც სამოქალაქო ომებიდან გადაღლილი ადამიანებისთვის მყუდრო და თბილი თავშესაფრის ძიება. ისინი გრძნობდნენ, რა ლიტერატურული ძალა არსებობდა საქართველოში, რაც შემდგომ მათი შემოქმედების იმპულსატორი ხდებოდა (ისევ მიღებისა და გაცემის ცნობილი ფორმულა). პოეტ ა. კრუჩიონიხის თქმით, ისინი, რუსი პოეტები, ჩამოდიოდნენ „в заграницу ума“.

1924-25 წლები ურთულესი პერიოდია სერგეი ესენინის ცხოვრებაში. აქედან ექვსი თვე საქართველოში გაატარა. პირადი წერილებიდან და საკუთრივ შემოქმედებიდან ჩანს, რომ ეს იყო მისი სულიერი კრიზისის, დაბნეულობის, წვალების, გაორების ხანა... ერთმანეთის გამომრიცხავი კატეგორიებით აზროვნება, ცვალებადი ესთეტიკური იდეალები, ლიტერატურული კომპრომისები, — ოფიციოზის მოთხოვნილების გათვალისწინებით, რასაც პარალელურად მტკივნეულად აცნობიერებს. ამავე პერიოდში დაიწერა ავტობიოგრაფიული ხასიათის მრავალი გაუგებარი ფრაზა. მაგალითად: „სიამოვნებით ვიტყოდი უარს რელიგიური ხასიათის ჩემს ლექსებსა და პოემებზე“...

იქამდე, 1922 წელს, ესენინი ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობს და მასში რატომღაც შემოქმედებითი სიცარიელე ისადგურებს. ვერ წერს ვერც ერთ სტრიქონს. გაოგნებულია იმ ცხოვრების წესით, სადაც ყველა ფასეულობაზე მაღლა ფულს, დოლარს აყენებენ, სადაც ღირებულებათა ათვლის წერტილი მატერიალურიდან იწყება.

რუსულ სინამდვილეში დაბრუნებული ესენინი, ცენზურასთან იდეოლოგიურ თამაშს იწყებს, რასაც ბოლომდე ვერ ახერხებს და კონფლიქტამდე მიდის. უახლოეს ადამიანებთან ურთიერთობაც ფიასკოთი მთავრდება. ყველაფრისგან დაღლილი გაქცევას ცდილობს. ეს არის მყუდრო თავშესაფრის ძიების სასოწარკვეთილი ხანა.

...არსებობს აზრი, რომ ესენინმა საქართველოში კათარზისი განიცადა, რასაც თავად პოეტი პირად წერილში „просветление“-ს უწოდებს. თუკი ცნობილ მოვლენათა განვითარებას მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით ავხსნით, სერგეი ესენინი ამ „просветление“-სა თუ კათარზისისთვის დიდხანს, მთელი სულიერი დაძაბულობით ემზადებოდა. საქართველო ამ აქტის განხორციელებისთვის მშვენიერი ნიადაგი აღმოჩნდა!

ზედმეტად ემოციურად არ უნდა ჟღერდეს ნ. ტიხონოვის აზრი ესენინის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით: საქართველოში რომ დარჩენილიყო, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა...

შეიძლება თუ არა ადამიანი გაექცეს საკუთარ წარსულს, მეხსიერებას, ან, ასე ვთქვათ, „ისტორიას“?..

თბილისში ჩამოსულ სერგეი ესენინს ხვდება ვლადიმერ მაიაკოვსკი; მათი დიალოგიდან:

— დედაქალაქიდან გამოიქეცით?

— საკუთარი თავიდან,— მოკლედ და მრავალმნიშვნელოვნად პასუხობს პოეტი.

ამ დიალოგის ჩამწერი თბილისელი ჟურნალისტი ნ. ვერჟბინსკი იგონებს: „თბილისში ყოფნის პერიოდში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ესენინი დიდი სიამოვნებით მისცემოდა წარსულის მოგონებებს“.

...ის თითქოს გამოქცეულივით იყო. არავის და არაფრის გახსენება სურდა.

ერთხელ, პაოლო იაშვილს უხუმრია: „სერიოჟა, უნდა გახარო, თბილისში აისედორა დუნკანი ჩამოვიდაო. რუსთაველზე შევხვდი, ჩვენი მისამართი მივეცი და საცაა, აქ მოვაო“...

ესენინი გაფითრებულა. სასწრაფოდ წამომხტარა. ჩემოდნისთვის ხელი დაუვლია: — „იძულებულს მხდიან აქედანაც გავიქცეო“...

პაოლო დიდხანს აწყნარებდა, იფიცებოდა: არავითარი აისედორა დუნკანი თვალითაც არ მინახავსო...

იმ პერიოდში ესენინისთვის ყოველივე არასასურველი წარსულთან არის გაიგივებული, მაგრამ შეუძლებელი ხდება არა მხოლოდ ადამიანების, არამედ იმ განწყობილებების დავიწყება, რისგანაც გათავისუფლებას ცდილობს.

„И я от тех же золи бед бежал... путь мой конечно, сейчас очень извилист, но это прорыв“ _ წერს ესენინი საქართველოდან.

თუკი დავიწყების ფაქტორები არა დროში, არამედ კონკრეტულ დროის შინაარსში უნდა ვეძიოთ, საქართველოში გატარებული ექვსი თვე ესენინისთვის საკუთარი მეხსიერებიდან გათავისუფლების მცდელობა იყო: ეს იყო გაქცევა საკუთარი თავიდან მეორე „მეში“ და ამას ხელს უწყობდა ახალ შინაარსში, განსხვავებულ ყოფაში ცხოვრება.

— „კავკასია იყო ადგილი, სადაც ყველაფერი იყო სრულიად სხვაგვარი, მაგრამ ამასთან ერთად სწორედ მისეული“ — განმარტავს ნ. ვერჟბინსკი.

— „მე გავიგე რა არის პოეზია“ — იტყვის ესენინი საქართველოში. პეტერბურგში, გალინა ბენისლავსკაიას კი მისწერს: „Да, я чувствую себя просветленным... Ведь я почти два года ничего не писал. Так много и легко пишется в жизни очень редко“.

„Чувствую себя просветленным“ — არის თუ არა ეს სიტყვები სათანადო არგუმენტი იმისა, რომ ესენინმა საქართველოში განიცადა კათარზისი!

საერთოდ, კათარზისის, ამ ურთულესი პროცესის შესახებ, არსობრივად ძალიან ცოტა რამ ვიცით. ვიცით ის, რომ კათარზისს მხოლოდ დადებითი ემოციები არ ბადებს. შეიძლება ტანჯვას, გაორებას, სწრაფვას ამაღლებულისადმი, რასაც იქნებ საკუთარი ცხოვრების წესითვე უარყოფდე, უკანასკნელი გამოსავალიც სასოწარკვეთილ ძიებაში ჰპოვო, სრულიად მოულოდნელი ესთეტიკური რეაქცია ახლდეს და კათარზისში გადაიზარდოს.

ფაქტია, რომ საქართველოში ჩამოსული სერგეი ესენინი განიმუხტა, განახლდა და შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო.

მოგვიანებით გიორგი ლეონიძე იტყვის, რომ საქართველოში ყოფნის პერიოდი ესენინისთვის იყო ყველაზე ნაყოფიერი ხანა, რომ მან აქ სრულიად ახალი ძალები მიიღო და სულიერი კრიზისი გადაიტანა.

სერგეი ესენინი აღმოჩნდა პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი ლეონიძის და სხვათა თბილისური ბოჰემის წრეში. საგულისხმოა, რომ ვენეციის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრებულში „L'avanguardia a Tiflis“, თბილისისთვის ტიპიურად არ აღიქმება ყარაჩოღელების, კინტოების, გოგირდის აბანოების ეგზოტიკური ბოჰემა. თვლიან, რომ ნამდვილი თბილისური ბოჰემა უფრო ევროპიზირებულია და შეიძლება ის „ცისფერყანწელთა“ ცხოვრების წესშიც ვეძიოთ. კრებულის ერთ-ერთი ავტორი „ყანწელთა“ — ლიტერატურული ორდენის არტისტულ ბოჰემას რადიკალურად ანსხვავებს რუსული „მუჟიკური“ და აღმოსავლეთის გარეგნული ეგზოტიკისგან.

თავად „ცისფერყანწელები“ მანიფესტებშიც კი უარყოფდნენ ზედაპირულ და ბრმა ევროპეიზმსაც და ინდივიდუალურ გზებს ეძებდნენ. სხვა ავანგარდისტული სკოლებისგან განსხვავებით არასოდეს უთქვამთ უარი საკუთარ წინაპრებსა და ტრადიციებზე.

შეიძლება მეგობარ „ცისფერყანწელთა“ გავლენაც იყო, როცა სერგეი ესენინი ე. წ. „იმაჟინიზმის“ დროებითი აპოლოგეტი, საქართველოში ყოფნის დროს იამბის და ოქტავას, ანუ პოეზიის კლასიკურ ფორმებს უბრუნდება.

შეიძლება ითქვას, ქართული ინდივიდუალობის გავლენა იყო, როცა სიმბოლისტების ჟან მორეასის, ანდრეი ბელის, ვიაჩესლავ ივანოვის, აკმეისტების, დადაისტების და იმაჟინისტების მიერ გაიდეალებული ევროპის ფონზე სერგეი ესენინი აზიატობას „დაიბრალებს“ და თავისი ცნობილი ლექსის „საქართველოს პოეტებს“ დემონსტრირებას იწყებს.

„Я вас люблю
Как шумную Куру;
Люблю в пирахи
в разговорах
Я северный Ваш друг и брат!
Поэты _ все единой крови
И сам я тоже азиат
В поступках, в помыслах
И в слове“...

მას მერე, რაც ესენინი მოსკოვს, თავის პირვანდელ გარემოს, დაუბრუნდა, გიორგი ლეონიძის დასკვნა, რომ რუსული კრიზისი უკვე გადაილახა, სამწუხაროდ, ნაადრევი გამოდგა.

პომერენცევის შესახვევიდან ისევ იგზავნება წერილები საქართველოზე: „Все на что я надеялся, о чем мечтал, идет прохом. Видно в Москве мне не остепениться... Семейнная жизнь не клеится, хочу бежать. Куда? На Кавказ!“..

...ისევ გაქცევა, ისევ დავიწყების სურვილი. დაბრუნება იქ, სადაც შეიძლება საკუთარ თავს გაექცე, რათა მერე მეტი ინტენსივობით დაბრუნდე.

დროის გადასახედიდან ესენინის „загадочный туман“ მიმართულია საქართველოსთან, როგორც სუბსტანციური შინაარსის მატარებელ სუბიექტთან, მაგრამ ამ გზითაც ის ტრაგედიას თავს ვერ აღწევს.

„ლამაზო ბიჭო, სერგეი ესენინ“ — ასეთი გასაოცრად უბრალო სტრიქონით მიმართავს შემდგომ მას ტიციან ტაბიძე:

**„გდიოდა ლექსი, შენ როგორც სისხლი, —**
**მოურჩენელი გულის იარა.**
**თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი**
**და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა“...**

ესენინის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ ტიციანი შემაძრწუნებელი წინასწარმეტყველებით იტყვის...

**„არ გამოცვლილა ხომ პოეზია —**
**მუზები ცისკენ კარებს აღებენ,**
**მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,**
**ჩვენც, ალბათ, სადმე ჩაგვაძაღლებენ“.**

ესენინის საქართველოში ყოფნა ბედისწერისგან დროებითი იზოლაცია იყო. მცირე ხნით დაივიწყა ის, რისი დავიწყებაც აუცილებლობად ექცა.

როგორც ჩანს, დავიწყება გარკვეული დროის ფუნქციას წარმოადგენს, დროებითი ფაქტორია და მერე იწყება მოგონება, ანუ წარსული განცდების აწმყოში განახლება. ესენინი ვერც საკუთარ თავს და ვერც საკუთარ წარსულს გაექცა. საქართველო მისი დროებითი თავშესაფარი აღმოჩნდა.

**ნინო ხოფერია.**

---

სერგეი ესენინი

## ლექსი — აღსარება

**არც მენანება, არც ვუხმობ, არც ვტირი, აღარ მოველი;**
**ვაშლის ყვავილის ფერფლივით წარმავალია ყოველი.**
**ფერისცვალობის ვარაყი თანდათან მიჭერს ყაწიმებს,**
**მე ვეღარ გავჭაბუკდები, მე რაღა გამაყმაწვილებს.**

**ვერც დავაბრუნებ იმ სწრაფვას და იმ მოლოდინს, ვიცი მე,**
**გულო, შენც დაცარიელდი, შემოგვეჩვია სიცივე,**
**და ამიტომაც ეს მხარე არყის ტევრებით მორთული,**
**მე ვეღარ გამომიტყუებს, რომ ფეხშიშველამ მოვთელო.**

**სულო, ხეტიალს ჩვეულო, რად გამიძვირე შვებაო,**
**ათასში ერთხელ წაჰკიდებ ცეცხლსა ბაგეთა ჩემსაო,**
**თაო, ბეჩავო, სინედლე შემოგეფლანგა ვნებული,**
**განელდა თვალთა სიშმაგე, გრძნობები მოზღვავებული!**

**უკვე იმდენად გავძუნწდი, თვით დავგმე ნატვრაც, მიზანიც,**
**სიცოცხლე? ვეღარ გავიგე, ცხადი იყო თუ სიზმარი,**
**გაზაფხულზევე, ადრიან რომ ახმაურდა აპრილი,**
**ვარდისფერ რაშით თითქოსდა გავიელვე და გავრინდი.**

**წუთისოფელში სუყველა სიკვდილის შვილი ყოფილა,**
**სპილენძის ფერი ედება ნეკერჩხლის ფოთლებს ფოფინას...**
**კურთხეულ იყოს, დღეგრძელი, იგი, რაც მარად იცვლება,**
**რაც მოდის ქვეყნად, ყვავილობს და ბოლოს გარდაიცვლება.**

თარგმანი
**ნანა ღვინეფაძისა.**
1975 წ. IX-X.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 30, ორშაბათი, 3 თებერვალი, 2003 წელი.

მოთხრობა

**დავით ასკურავა**

# საოჯახო ბიზნესი

თევდორე კაკაცია, მართლაც რომ, „მსუყე“ დაწესებულებაში მუშაობდა და კარგა სარფიან ადგილზეც — სამეურნეო ნაწილის უფროსი გახლდათ. დიახ, იყო ასეთი თანამდებობა საბჭოების ეპოქაში. მაგრამ ამ ათი წლის წინათ საბჭოებმა რომ ჭირი მოგვჭამა, თევდორეს თანამდებობაც წაიკლა ზედ.

რეტდასხმულივით დაბორიალებდა თევდორე, გააოგნა იმ დარდუბალამ, გაალეწჩა თითქოს. სხვები რომ დაწესებულების სართულებს შეესივნენ და რბილი ავეჯი და თუ ხალიჩები დაითრიეს, როგორ პარადოქსადაც არ უნდა გეჩვენოთ, პირველი დამტაცებელი და ვირიგლეჯია თევდორე იჯდა ვესტიბიულში დაღვრემილი და გაჰყურებდა ტორშერებით, ტელეფონებით, ფუთებითა და ყუთებით დამძიმებულ თანამშრომლებს, რომლებიც საღალაოდ გამოსული ფუტკრის მონდომებით შერბოდნენ და გამორბოდნენ ყოფილ სამსახურში.

— ნახეთ, ნახეთ! — ჩურჩულებდნენ.

— მაგას იმდენი აქვს მოპარული...

— თევდორეა და სახელს ამართლებს, პატრიოტია რაღა...

ესმოდა თევდორეს და უკვდებოდა გული. არადა, თავადაც არ იცოდა რა წამოეღო; კაბინეტში რომ ედგა, აკი დირექტორმა უკვე გაატანინა იმისი ტყუპისცალი და ბარე ორი სხვა რაღაცეებიც მიაყოლა, რომ არაფერი ვთქვათ დიდ ირანულ ხალიჩაზე.

„არ ექნება აწი ამისთანა ხურდას ფასი, დაასკვნა თევდორემ და გზისგადაღმა რესტორნის აბრას ჰკიდა თვალი. ახლა ერთი ხოშიანი დათრობა თუ მოიყვანდა ჭკუაზე. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად სათანადო თანამოინახეებს რომ ეძებდა გუმანის თვალით, ლიფტის კარებიდან დირექტორი გამოვიდა.

— ა, კაცო, აგერ არ ყოფილხარ! გადავაყოლე ხალხი შენს ძებნას, ჩვეულებრივ საყვედურიანი კილო ისაშველა დირექტორმა — ა, აგერ გასაღები, ბეჭედი და ლუქი, — ზურგს უკან მდივანი ქალი ედგა დირექტორს მინი ტელევიზორით ხელში, ტელევიზორზე მუყაოს ყუთი იდო, — მიეცი, ქეთინო, ესენი, — დირექტორი თავად გაისარჯა და ყუთი შეაჩეჩა თევდორეს. — დაკეტე ყველა ოთახი, დალუქე, ორ დღეში კომისია მოვა და გადააბარე ყველაფერი. — ვეებერთელა ვესტიბიულში, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ყველაფერი სანიმუშოდ დასუფთავებულ-დაკრიალებული იყო, თევდორემ რატომღაც ნანგრევებში წარმოიდგინა თავი, მტვრისა და დენთის სუნიც კი იგრძნო, აფეთქების შემდეგ რომ რჩება, ისეთი.

გახედა ისევ ქუჩის იქითა მხარეს მდებარე რესტორანს და თითქოს ჭერის ჩამოქცევისა შეეშინდა, დაფეთებულივით გავარდა გარეთ. ნაშუაღამევს უგონოდ მთვრალი მიიტანეს შინ. როგორც ცოლ-შვილმა აუხსნა, უცნობებს მოუსვენებიათ. ორი დღე არ წამომდგარა თევდორე საწოლიდან. მესამე დღეს უკვე ყოფილმა დირექტორმა დაურეკა: ერთ საათში სამსახურში მიდი, ჩამბარებელი კომისია მოვაო. დისციპლინას დაჩვეული თევდორე უცბად გამოფხიზლდა, მოწესრიგდა და ყოფილ სამსახურს მიადგა, რომელშიც ამ ოცდაათი წლის წინათ თითქმის პირტიტველა, თმახუჭუჭა ბიჭი მოვიდა უბრალო დამტარებლად და აგერ, იმოდენა თანამდებობებს მიაღწია.

შენობის წინ ბრეზენტით გადახურული სამი სატვირთო ავტო იდგა და კომუფლაჟიანი კაცები რაღაც ნივთებს ცლიდნენ ტროტუარზე, მელოტი დიდსათვალიანი კაცი ბრძანებებს იძლეოდა. თევდორემ სწორედ ამის გამო მიიღო იგი უფროსად და ხლების მიზანი ამცნო.

— კომისია იქ არის, ვგონებ, მეორე სართულზე, — ცალყბად მიუგო კაცმა.

ყველა დალუქული კარი გამოღებული დახვდა, რაც ძველი სამსახურის თანამშრომლებს დარჩათ, პირწმინდად გაეზიდათ ახლებს. შემოენთო თევდორეს ცეცხლი, „მის“ მაცივარსაც წაიღებდნენ, არადა, კარებთან სატვირთოები და ხალხი რომ დაინახა, იმის აზრი გამოეკვანძა, როგორ წაიღებდა მაცივარს, რა დასამალია და სამი დღის განმავლობაში ეს ერთადერთი საღი აზრი იყო, რაც მას ეწვია.

კომისია მაინც მოიკითხა და ყოფილი დირექტორის მიერ სამ ცალად შედგენილი აქტიც წარუდგინა. ოთახში სამნი ისხდნენ: ცალყურა, ღიპიანი და დედაბრისსახიანი. სამივე ფორმის ტანსაცმელში იყო. სუფთად წვერგაპარსულმა შუახნის კაცმა, დედაბრის სახე რომ ჰქონდა, ჰაი-ჰარად გახედა აქტს და დაჭმუჭნა. კუთხეში მოისროლა. მუშაობას სადღა აპირებთ ჰკითხა. თევდორემ გაურკვევლად გაიქნია თავი. ამის თაობაზე არც უფიქრია აქამდე.

— დარჩი ჩვენთან, ხელფასით იქნებ ვერ დაგაინტერესოთ...

— კაცი უნდა ეყოსო ხელფასს, — ისროლა ლოზუნგი თევდორემ. არადა, ნაღდ გაჭირვებაში იყო. ცალყურა პისტოლეტს ათამაშებდა ხელში და ლულა ერთთავად მისკენ ჰქონდა მიშვერილი.

— კარგი ტიპია არა? ცოცხალი კლასიკაც ჰყვარებია. ერთი სიტყვით, სხვა უკეთესი თუ არაფერი გაქვს გამოწყობილი, დარჩი. ქურდობას გვარიანად ისწავლიდი კომუნისტების ხელში. ჰოდა, ვიქურდოთ და ვაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, — დედაბრისსახიანმა სიცილით დააბოლოვა სიტყვა, რასაც თანამოაზრეთა ხარხარი მოჰყვა.

რა ჩარია იყო. დარჩა. შემოიარა ისევ ძველი სამწყსო. ლუქი სარდაფის სართულის ერთადერთ რკინის კარს შერჩენოდა მხოლოდ. ამ კარს მიღმა რაც ინახებოდა, სამმა კაცმა იცოდა: დირექტორმა, მომარაგების უფროსმა, სამი კვირის წინ რომ დაკრძალეს და თვითონ.

შინ ნასვამი ბრუნდებოდა მეტწილად. დალევდა, აბა რა ექნა, სამსახურში რომ საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ, საუკეთესო რესტორნებშიაც კი ვერ მოგართმევდნენ ისეთს.

ამასობაში ბევრი რამ შეიცვალა. ხანდახან დაწესებულებაში ორი გოგო, რაციას რომ უჯდა ისინი და ორიც მცველი რჩებოდა მხოლოდ. რაც მთავარია, ამდენ ფაცი-ფუცში და გაწამაწიაში კარგა მოზრდილი ტერიტორიები დავკარგეთ და ადვილი შესაძლო იყო, ქვეყანაც გადაჰყოლოდა ზედ. ქალაქი თოფიანების სიმრავლემ აიკლო. მთავრობას ოთხეული ედგა სათავეში. თევდორე კრილოვის ოთხეულს ადარებდა მათ. მისი აზრით, ბულდოზერებით ინგრეოდა თიხითა და ბარით აშენებული ქვეყანა და ამას დემოკრატიულ აღმშენებლობას ეძახდნენ. იქ რომ ომობდნენ, აქ ჩალის ფასად ყიდდნენ მილიონად ღირებულს.

თუ მართლაც ცოცხალი ვარ და ისევ ის თევდორე ვარ, რაღა ჯანაბა მჭირს, თავი რომ ვერ გამიქიცინებიაო, — წუხდა თევდორე და როგორც სასწაულს, ისე ელოდა თვალის ახელას, დაკარგული ხვითოს პოვნას...

ერთხელაც უფროსმა უხმო. რა გაქვთო სარდაფში, ჰკითხა. არაფერი ისეთი, ძველმანი ხარახურაო, ისე შესანიშნავად იცრუა, თავადაც გაუკვირდა „გარდაცვალების“, ე. ი. მას შემდეგ, რაც თავისი თავი დაკარგა, ასეთი მოხდენილი ტყუილი არ უთქვამს.

— გაათრიე, თუ კაცი ხარ, ის ბარგი-ბარხანა გარაჟებში. მანქანების დამბრუნებლები ეს ბიჭები აღარ არიან და რაში დაგვჭირდება. ჰოდა, მოასუფთავე სათავსო. იქ, — ხმას დაუწია დედაბრისსახიანმა უფროსმა, — იარაღი და ტყვია-წამალი უნდა შევინახოთ. ხვდები, ალბათ, რამხელა ამბავს განდობ.

— ვხვდები, ბატონო, — თავაზიანად ბრძანა თევდორემ, — საიდუმლოების მიზნით, თუ გნებავთ, სულაც გარაჟებიდან შემოვზიდოთ, თუ გნებავთ, იქედან გვირაბით გზა შემოდის სარდაფის უკანა კართან.

— შენ იცი, აბა. მოქმედების სრული თავისუფლება გეძლევა — სიტყვას ხალვათი ღიმილი დაურთო უფროსმა, — რომ დაგინახე, იმავ წუთს ვიგრძენი, რა მურთხიც იყავი, — ნათქვამი უფროსის ალღოიანობას უფრო უსვამდა ხაზს, ვინემ თევდორეს ვარგისიანობას, მაგრამ ქება „სიუზერენისაგან“ მაინც საამოდ ქლერდა.

შრომის ხალისის დაბრუნებას ზეიმობდა თევდორე. სამშაბათს უფროსს მოახსენა, ყველაფერი მზად გახლავთო და იმანაც საკუთრივ ისურვა სარდაფის დათვალიერება.

— ბიჭო, აქ საწყობი კი არა, რესტორანი გაიმართება, დასტურ მაგარი რესტორანი, — ბრძანა უფროსმა — ჩაუდგები ამ საქმეს სათავეში, არა?

კითხვა ისე იყო დასმული, თანხმობას რომ არ საჭიროებდა.

— ბატონი ბრძანდებით! — გაქექილად თქვა თევდორემ. სამიოდე თვის შემდეგ მიხვდა, რომ დენთი არ ჰყოფნიდა, ან რესტორანი არ იყო მისი სტიქია, ან... ერთი რამ კი მოაკვარახჭინა: რკინა-ბეტონით აშენებული, ჰაერ-გამწოვებით, გათბობის სისტემებით და შავი კაფელით მოპირკეთებული ექვსი გარაჟი, თითოეული ორმოცდაათი კვადრატული მეტრი ფართის მოცულობით, სამი კილოგრამი პურის ფასად შეიძინა. ნაყიდობის ამავე საბუთში, თითქოს გაკვრით იყო ნახსენები „სასტამბო აღჭურვილობის დეტალები და ქაღალდის ნაშთი“.

თევდორეს გაახსენდა, რომ ყმაწვილკაცობაში ხის დამუშავებით ირჩენდა თავს. რაღაც აზრიც გამოკვანძა. გამოხსნა გარაჟის ერთადერთი შეუღულებელი კარი. აი, ის ძველი ინვენტარით რომ იყო სავსე, შეიძინა ხერხი, შალაშინი, ჩაქუჩი, მარწუხი და ორი ქილა წებო. კარზე აბრაც გაჩნდა: „სარესტავრაციო სახელოსნო“ ჯერ თავად ჩალიჩობდა შიგ, საქმეს კარგი პირი გამოუჩნდა, ბევრ რამეს „საკუთარი მარაგიდან“ იყენებდა. მოასკდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ კლიენტურა საკმაოზე მეტი გაუჩნდა. მალე ორი დამხმარე აიყვანა. სანამ ამას გააკეთებდა, „სახელოსნო“ აგურის კედლით გამოყო დანარჩენი სამფლობელოდან და რკინის კარებიც ჩადგა საიმედო სამმხრივი გასაღებით.

არა, ნამდვილად არ იყო პატარა მასშტაბების კაცი ბატონი თევდორე და ვერც იგუა მცირე ასპარეზი. მალე სახელოსნო დაქირავებულთა ანაბარა მიაგდო, თავად მისი ფულით გახსნილ კაფე „როზაში“ გადმოვიდა, რომელსაც მისი გულის მურაზი, ასაკთან გულდაგულ შერკინებული ქალბატონი როზა განაგებდა. დიახ, იჯდა თევდორე ცალმხრივსამზერი შავი მინის კედლის იქეთ, წრუპავდა ყავას, კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს და ჩაშავებული მინის კედლიდან ხან ქუჩას გასცქეროდა, ხან კაფეში შემოსულ ჭრელ კლიენტურას. შეიძლება თევდორეს უმოქმედობა უსასრულოდ გაგრძელებულიყო, რომ ერთი გარემოება არა — ნავსი ბუცამ, იგივე ბაბუცამ, მისმა მეუღლემ გატეხა და დილას, ჩაის დროს ფულზე ჩამოუგდო სიტყვა.

— როგორ, გათავდა? — უხალისოდ იკითხა თევდორემ.

— სამი, ჰა და ჰა, ოთხი თვის სამყოფი დარჩა, — მოახსენა მეუღლემ.

ადგა და გავიდა თევდორე გარეთ. როზას კაფემდე თავი არ აუწევია. იჯდა მერე თავის შემინულ საფარში. მოჰგვარეს ჟურნალ-გაზეთები. არ წაუვიდა საქმე. ერთ ჟურნალს და ორ გაზეთს, ყველაზე დიდ პატივს რომ სცემდა, გახედა უბრალოდ.

— რას გრძნობს, როზა, ქალი მშობიარობის წინ? — ჰკითხა გულისსწორს.

ქალს უმოწყალოდ მოერღვა მოხატული ბაგე-ტუჩი. დაელამდა თითქოს. აცა-ბაცად გაექცა წარბები.

— რაო? — ძლივს იკითხა.

— მეწყება მგონი, — გაურკვევლად თქვა თევორემ, — მშობიარობა მეწყება.

— რა მეწყებაო? — პირი დააღო ქალმა.

— არ უნდა მეკითხა შენთვის, აკი ბერწი ხარ, როდის გამოცდიდი მშობიარობას — ადგა და გაუტია ქუჩაში.

— თევდორე არა ხარ, კაცო, შენ? — ზედ ყურთან ჩაულაპარაკეს თევდორეს.

აწია თავი თევდორემ. ასეც რომ არ მოქცეულიყო, მაინც იცოდა, ვინც ელაპარაკებოდა. ბენიამინი იყო ეს, ზარაფხანის ყოფილი ერთ-ერთი შეფი, მისი ძმაკაცი და კეთილისმყოფელი, სულაც მისი წყალობით იყო ნახევარი ზარაფხანა შინ, სკივრში რომ ჰქონდა თევდორეს გამოკეტილი. აი, ადამიანის უმადურობა, აი, სიკეთის დახსომების გამოვლინება. რამდენი ხანია არ უნახავს ბენიამინი. ერთ დროს კი... ეჰ...

გადაეხვივნენ ერთმანეთს ძველი ძმაკაცები, მოკითხვა-მიკითხვა, აზრთა გაზიარება, ბეჭებზე ხელების ტყაპუნი და... რესტორანი. იქ საფუძვლიანად დასხდნენ. თევდორეს, როგორც პურის მჭამელსა და ხელგაშლილ მოქეიფეს სად არ იცნობდნენ, რომელ რესტორანში, სამწვადეში, დუქნებშიც კი. ორი საათის შემდეგ თეფშში თავწარგული ბენიამინი ისე მიატოვა რესტორანში, ლამის იყო ანგარიშის გასწორება და ძმაკაცის სახლში წაღების ფულის გადახდა დაავიწყდა. ამან ისეთი რამე უთხრა, ისეთი რამე?!

უჩვეულოდ ადრე დაბრუნდა შინ, რამაც საშინელ ეჭვებში ჩააგდო ბუცა, დილითაც უგუნებოდ იყო, იქნებ...

— ცუდად ხომ არა ხარ? — ესღა იკითხა.

— ცუდად აქამდე ვიყავი, დედაკაცო, მთელი ოთხი წელი და ხუთი თვე ვიავადმყოფე, აღარ მეყო, თუ იცი?

— რა ვიცი, რა.

აღარაფერი უთქვამს თევდორეს, შევიდა თავის „კაბინეტში“. გადმოიღო საანგარიშო, ქაღალდები, მოიმარჯვა სათვალე. ჩაჯდა, გვიან ღამით კი ცოლს დაუძახა, მგონი, მეძინება და არ შემაწუხოთო.

— რა ნახე კაცო, ისეთი... — ჩვეულებრივ მოკრძალებით ჰკითხა ბუცამ უთენია წამომდგარ თევდორეს.

— რაო, რა ვნახე? — აქეთ შეეკითხა.

— ვნახე და ვნახეო, ყვიროდი ძილში, აკი ვიცოდი, რომ ვიპოვიდიო.

— მოგცლია ერთი შენაც.

— ჩაის არ დალევ?

— მცალია რო? — წაილაპარაკა და გავარდა გარეთ. კიბეებზე ჩასვლისას გულის ორივე ჯიბე მოსინჯა. ერთში ფული ედო, სხვა ფული, რომლის შეძენისთვისაც ციხეში სვამდნენ ადრე, მეორეში ყველაზე დიდთვლიანი ბრილიანტის ბეჭედი. გავარდა ბირჟაზე. დაიქირავა ათი კირითხურო. ამდენივე მათი დამხმარე. გავიდა მერე ბაზრობაზე, დატვირთა მანქანები ცემენტით, ხრეშით, აგურით. გაუძღვა კოლონას წინ. მიიყვანა გარაჟებთან.

გამოიცვალა თევდორე. უფრო სწორედ, თევდორე თევდორედ იქცა, ხალისიანი, დაუღლელი, ნემსის ყუნწში გამძრომი. ზუსტად სამი თვისა და ორი კვირის შემდეგ მილალა ცოლ-შვილი გარაჟებთან. თუმცა, სად იყო გარაჟები. კოხტად შეღებილ და ნარგავებით მორთულ, ასე ორი ათასამდე კვადრატულ მეტრზე გაშენებულ ეზოში კოხტა სამსართულიანი სახლი იდგა. გარაჟების ექვსი მეტრის სიმაღლის კედელი ორ სართულად გადააკეთა. პირველზე სტამბა გამართა, მეორეზე გრძელი დერეფანი ოთახებით. მესამეზე კი უმშვენიერესი ავეჯით გაწყობილი საცხოვრებელი ბინები, სულ სამი, ერთნაირი, ავეჯითაც მსგავსები.

— კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს, ვისია? — ჩვეულებრივ შიშით იკითხა ბუცამ.

— ჩვენი ძილ-ღვიძილის პერიოდში შევიძინე. მჯეროდა, თავს რომ ვიპოვიდი და...

— მამა, სტამბა რაღად გვინდოდა? — ეს თიკომ, ანუ თინათინმა, უფროსმა ქალიშვილმა იკითხა.

— გაზეთებს გამოვცემთ, — ბეჭედასმული იყო პასუხი. ადრინდელი თევდორესეული, შეუვალი და მტკიცე.

— ჩვენ? — თვალები დაჭყიტა ხათომ, იგივე ხათუნამ.

— დიახ, ჩვენ. ეს, ასე ვთქვათ, საოჯახო ბიზნესი იქნება.

— მერე, სად არის გაზეთი? — სერიოზული დაფიქრებით განაცხადა თაკომ, ანუ თამრიკომ, საერთოდ ენაძვირმა და მორჩილმა.

— შევქმნით, დედაშენი ერთ ჟურნალს და გაზეთს უხელმძღვანელებს. თითო-თითო გაზეთს ცალ-ცალკე თქვენ მიხედავთ, სამივე ერთად კი ერთ ჟურნალსაც მოვუვლით.

— მამიკო, ჩვენ რომ გაზეთის არაფერი გაგვეგება? — ისევ თამარმა იკითხა. თევდორეს ცოტა ზედმეტი კი ეჩვენა საშუალო ასულის პესიმიზმი, მაგრამ...

— ჩვენ ვუხელმძღვანელებთ, რაც შეეხება ამ საქმის სპეციალისტებს, ქუჩაში ასი ქვა რომ ისროლო, ორმოცდაათი ჟურნალისტს ან კალმოსნობადაბრალებულს მოხვდება. აზრსა და სიტყვებს ბენიამინს დაესესხა. დიახ, სწორედ ასე აუხსნა იმ დღეს რესტორანში ვითარება, როცა თევდორემ შენიშნა, შენ წერაკითხვა თუ იცოდი, ისიც არ მჯეროდა დანამდვილებით და გაზეთს როგორ უშვებო.

— გაამართლებს კი წამოწყება? — ბუცამ იკითხა ეს, რა თქმა უნდა, სიფრთხილის დიდი დოზითა და შიშით.

— ოქროს ძარღვია გაზეთი, ნატვრის თვალია. დღეს არაფერი ისეთ მოგებას არ იძლევა, — ეს სიტყვებიც ბენიამინისეული იყო. თუმცა თევდორეს სხვა უკეთესი არგუმენტი არ გააჩნდა და რა ჩარა იყო, ითვისებდა სხვისას.

— რატომ ექვსი გამოცემით ვიწყებთ, მამი? — თაკომ იკითხა, — ერთით დაგვეწყო.

— ხუთი გამოცემა აქვს უკვე ერთს, — ენაზე იკბინა თევდორემ. კინაღამ წამოსცდა ბენიამინის ანალოგიით რომ მოქმედებდა, — რაკი სხვას ხუთი აქვს, ჩვენ ექვსით დავიწყოთ.

— რის შესახებ უნდა ვწეროთ, მამი? — საკითხს ჩაუღრმავდა ხათო.

— ყველაფერზე, შვილო, ჭორზე, მართალზე, პოლიტიკაზე, — კვლავ ბენიამინს დაესესხა თევდორე, — გავაქიაქებთ ყველას, დიდს თუ მცირეს, არ შევეხებით მხოლოდ ერთს, სალოკი თითი სწორედ ისე აბზიკა თევდორემ, როგორც ბენიამინმა რესტორანში. ერთის გარდა ყველას ვუკბენთ, იმას კიდევ ქამიდან-ქამამდე შევუღიტინებთ, ვუპწკენთ, გავკენწლავთ ისე, სხვათა შორის.

— ქაღალდი ჯდება ძვირი, — თიკომ თქვა ეს, სამსახურში ჰქონდა შეხება ამ საკითხთან.

— ვიცი, შვილო, — არაჩვეულებრივად ნაზი იყო დღეს თევდორე, — ქაღალდი იმდენი მაქვს, ათ გამოცემას ეყოფა სულ მცირე სამი წელი. სხვები რომ ფიქრობდნენ, თევდორემ თავი დაკარგა და ვეღარც იპოვისო, — მეუღლისაკენ გააპარა ეშმაკური მზერა, — მაშინ მამათქვენი თქვენს მომავალს უყრიდა საფუძველს. ახლა თითომ ამ საქმისმცოდნე თითო კარგი ბიჭი გამოჩხრიკეთ და აგერ სამი ერთნაირი ბინა, იცხოვრეთ ბედნიერად.

გულაჩუყებულმა ბუცამ, ცრემლი რომ დაემალა, შვილებს ხელი მოხვია და მიიხუტა. ბუცას თევდორემაც მიბაძა და თავისი დიდი ხელები ცოლ-შვილს მოხვია.

— ჩემი პატარა ოჯახი, — თრთოლვით თქვა მან და სიამის ხრინწდართული ხმით დასძინა, — ბედნიერად გვევლოთ დიდი ბიზნესის გზაზე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მათი პოზიცია

(მეოთხე გვერდიდან)

რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, იგი ორად გაიყო: ერთნი თვლიდნენ, რომ ქალბატონმა სტოუნმა კეთილშობილური საქციელი ჩაიდინა, მეორენი მას ისტერიკიან და რასისტ დედაკაცად მიიჩნევდნენ. უეჭველი იყო მხოლოდ ერთადერთი ფაქტი – ყველასათვის უცნობმა მანდილოსანმა ერთ დღეში გაიგდო საქვეყნო სახელი. სწორედ მან მისცა დასაბამი ახალ ტრადიციას, რომლის არსიც ასეთია – დიდება ჯილდოდ დასმენისათვის. ხოლო დიდება ამერიკაში, ჩვეულებრივ, ფულს ნიშნავს. მონიკა ლევინსკისგან განსხვავებით, პროვინციელი ქალბატონი არც „პლეიბოის“ ყდაზე გამოუსახავთ და არც მილიონები შეუთავაზებიათ, მაგრამ იუნისმა თავის ლათაიებში გვარიანი თანხა მიიღო.

### დაასმინე ყველა, დაასმინე ყველგან

ამ ისტორიიდან რესპუბლიკურად განწყობილმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა თავიანთი დასკვნები გამოიტანეს, ხოლო შუახნის ამერიკელმა მანდილოსნებმა – თავიანთი. ქალბატონებმა ეს საყოველთაო დასმენის მოწოდებად აღიქვეს, ხოლო რესპუბლიკელი ჟურნალისტები დამსმენთა ქება-დიდებას მოჰყვნენ. ასე გაჩნდა სამი ოდიოზური „ბანოვანი“ ამერიკულ სატელევიზიო სარკმელში. თანაც, „ცვრიანი სამების“ ჟურნალისტურ გარნირს ბლომად მოასხეს პატრიოტული საწებელი. ქვეყანა ომისათვის ემზადებოდა და საჭირო იყო ადეკვატური ორიენტირება. საერთოდ, ხელისუფალთათვის, თუ ინსტრუმენტების სტანდარტულ აგიტპროპულ კომპლექტს გამოიყენებენ, სულ იოლია, გაამწკრივოს და წარმართოს ამერიკელები ნებისმიერი მიმართულებით. ამის შესახებ უაღრესად ზუსტად წერდა „იმპერიაში“ ა. ნაგაევი:

„გული აგიჩუყდება, როდესაც უყურებ მასობრივი ჩრდილოამერიკელის მკაცრ-ცრემლმორეულ სახეს ვარსკვლავიან-ზოლიანი დროშის აწევა-ჩამოწევის წინ... ამერიკული ღმერთის იდეა ახალ სამყაროში ჩაიტანეს კალვინისტმა სექტანტებმა, რომლებიც ევროპიდან გამოყარა კათოლიკურმა რეაქციამ... ორი საუკუნის მანძილზე დევნილი სექტანტების მარგინალური გაბოროტება მოედო ახალი მხარეების ბინადართ. შედარებით უსაფრთხოდ რომ იგრძნეს თავი, სექტანტ-პროტესტანტებმა ბიბლიური ტექსტები მოარგეს თავიათი ცხოვრების აპოლოგიას. ამასთან, ვარაუდობდნენ, რომ ძველი თარგმანები არ ვარგოდა და მხოლოდ მათ შეიტანეს ამ ტექ-

# ათადან – ბაბადან ათაშანგით შობილნი,

## ანუ ამერიკული ღვთისმოსაობის სათავეები

სტებში სიცხადე. თარგმანების გადასხვაფერებას თან სდევდა ქვეყნის გაღრმავებული განწმენდაც სულიერი სიბილწის მატერიალურ შემცველთაგან – ინდიელთაგან. განადგურდა 10 უნიკალური ინდიელთა კულტურული რეგიონი, რომლებიც, არსებითად, ცალკე ცივილიზაციებს წარმოადგენდნენ. ასე იწყებოდა „ამერიკული დემოკრატია“...

აი, სწორედ ამ თავიანთი სახელმწიფომდელი არსებობიდან გამოჰყვათ კალვინისტ იანკებსა და მათს შთამომავლებს აგრესიისა და ექსპანსიის ველური გრძნობა, რომელსაც ალვივებდა ყველა სექტანტისთვის ჩვეული გენეტიკური გრძნობა – ავადმყოფური მარტოობა. „დემოკრატიის“ პროგრესთან ერთად ეს პათოლოგიური ეგოისტური ინსტინქტები კონკურენციისა და წარმატების მიღწევის წყურვილის გრძნობად მოინათლა. მაგრამ იანკების ძირითად სულიერ მოწოდებათა ამორალობა აშკარაა... მაგალითად, უახლესი გამოკვლევები მოწმობენ, რომ ცნობიერების და, მაშასადამე, ადამიანის წარმოშობა უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ გაადამიანებული ცხოველის ალტრუისტულ გრძნობებს.

იანკების დემოკრატიის სასწაული ემყარება პირველმკვალავ სექტანტთა ავადმყოფური ნიშან-თვისებების მასობრივი მასშტაბით განვრცობას... ცამდე მართალი იყო ნორბერტ ვინერი, რომელმაც თქვა, რომ „ამერიკა გახდა „თავისუფლების ავტომატების“ ანუ „თავისუფლების რობოტების“ სამშობლო. ამერიკელი – ეს არის ვიწროსპეციალიზებული მუტანტი, და ამ „ნიჭის“ სიმრავლეს უზრუნველყოფს დემოკრატიად შერაცხული ამერიკის საზოგადოების სტაბილურობა“.

ნებისმიერი სახელმწიფო ისეა მოწყობილი, რომ ისწრაფვის, ყველა თავისი მოქალაქე იოლად სამართავ სუბიექტებად გადააქციოს. მაგრამ ამერიკა აქ „ხუთოსან მოსწავლედ“ გვევლინება. მისი წარმატება ამ დარგში ფენომენალურია: ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიამოვნებით ასრულებს პოლიციელის ფუნქციებს, რითაც უადვილებს საქმეს სპეცსამსახურებს. არც ერთი მასშტაბური დამნაშვე („ვაშინგტონელი ჩუბინის“ ტიპისა) არ დაუკავებიათ ოპერატიული საქმიანობის ან სპეცსამსახურების ვირტუოზულობის წყალობით: ეს ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო სიფხიზლისა და „დასმენის“ მზადყოფნის მეოხებით. რუსი მოქალაქისაგან განსხვავებით, ამერიკელს არ მოუვა თავში, გულგრილად ჩაიაროს გვერდით, თუ მეზობლის ბინას ძარცვავენ ან თუ ვინმე მანქანამ გაიტანა. „რა ჩემი საქმეაო“ – ამას იგი თავშიც არ გაივლებს. აშშ მოქალაქეს სრულად აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა ყოველივე იმისათვის, რაც მის გარშემო ხდება. ურთიერთდახმარების ინსტინქტი, რომელიც ბევრ თეთრკანიან ამერიკელს ახასიათებს, გულწრფელ აღტაცებას იწვევს, მაგრამ, ვაი რომ, ეს ორლესული მახვილია.

ბავშვებს პატარაობიდანვე ასწავლიან, დაასმინონ უფროსებთან ამხანაგი, თუ რაიმე ანცობა ჩაიდინა, და ასეთი საქციელი ითვლება სოციალურად მოსაწონად, ხოლოართქმა – სოციალურად ოდიოზურად. მაგრამ ეს ნიშან-თვისება ვერ ერგება Privacy-ს ანუ ინდივიდის „საშინაო საქმეებში ჩაურევლობის“ კულტს. სწორედ ამიტომ, თავიდან ვერავინ განჭვრეტდა, როგორ მოეკიდებოდა ქვეყანა იუნის სტოუნის ეპიზოდს. ეს იყო სრულფასოვანი ექსპერიმენტი.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ქალბატონს, რომელმაც სამუდამოდ გაუმწარა სიცოცხლე სამ ამერიკელ სტუდენტს (ჰოსპიტალმა მათ უარი უთხრა პრაქტიკასა და სამუშაოზე, ხოლო სახელების გახმაურებამ სამუდამოდ ჩაწერა ისინი პოტენციური ტერორისტების რიგებში), ოდნავადაც არ სცხვენოდა თავისი საქციელისა. პირიქით, იგი სიამოვნებით არიგებდა ინტერვიუებს და ამბობდა, რომ თუ კიდევ შეამჩნევს რაიმე საეჭვოს, ზუსტად ასევე მოიქცევა. ოჯახის დედა მხარდაჭერას გრძნობდა. თორემ, სხვაგვარად ასე არ მოიქცეოდა.

მეორე მხრივ, სანიმუშო მოქალაქეს გვარიანად აუშალა ძარღვები ეგრეთ წოდებულმა hate mail-მა (მას მუქარის წერილებს უგზავნიდნენ). მაგრამ ზუსტად ასევე დაზარალდა „სიძულვილის ბარათებისაგან“ ჰოსპიტალი, რომელშიც არაბ მედიკოსებს უნდა ემუშავათ.

ფსევდოიერიშის ისტორიამ გაალვივა ყურადღება ფლორიდის შტატის გუბერნატორის არჩევნებისადმი. ბუშის ძმამ კვლავ წამოაყენა თავისი კანდიდატურა, ხოლო მის დემოკრატ ოპონენტებს პირზე ეკერათ რამდენი ფული მიაფლანგა გუბერნატორმა „კონტრტერორისტული ოპერაციის“ ბრწყინვალე მარცხთან დაკავშირებით. თუ ვის მხარეს იყო სიმართლე, ბუნებრივია, ეს ამომრჩეველს უნდა გადაეწყვიტა. ამომრჩეველმა კი ყველას პანიკიორი ბუში ამჯობინა! ეტყობა, მეტისმეტი – რეტისრეტიო, უცხოა ამერიკელებისათვის.

სწორედ ამიტომ, სამი დამსმენი ქალბატონი მისაბაძ ნიმუშად შერაცხეს. საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივ, „წლის ადამიანად“ ერთ პიროვნებას ასახელებენ ხოლმე. როგორც ჩანს, წამახალისებელი ჯილდოების დამრიგებელთა თვალსაზრისით, ვერც ერთი მაბეზღარა ვერ „გაქაჩავდა“ სრულფასოვან პერსონალიას, რადგან, თავისთავად, ადამიანის მესამედ ფეშხოზე ოდნავ მეტად თუ ფასობდა...

ჟურნ. „ოგონიოკი“, №3.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ.**



**კომპანია** Enron-ის ვიცე-პრეზიდენტმა შერონ უოტკინსმა 2001 წლის აგვისტოში წერილი გაუგზავნა Enron-ის მეთაურს კენეტ ლეის. მან გააფრთხილა კომპანიის ხელმძღვანელობა მოახლოებული გაკოტრების შესახებ. უოტკინსი სწორედ იმ განყოფილებაში მუშაობდა, რომელიც ემსახურებოდა პარტნიორული ურთიერთობის სისტემას, სისტემას, რომლის წყალობითაც მალავდა Enron-ი ვალებს. წერილში ქალმა გარდაუვალი ფინანსური კრახის მიზეზად დაასახელა მასობრივი მაქინაციები. Enron-ი გაკოტრდა 2001 წლის დეკემბერში, ხოლო 2002 წლის ნოემბერში 43 წლის უოტკინსი კომპანიიდან წავიდა“, – წერს „ტაიმი“.



**2002 წლის** მაისში ფედერალური გამოძიების ბიუროს მინეაპოლისის განყოფილების 48 წლის თანამშრომელმა კოლინ როულიმ მიწასთან გაასწორა ბიუროს ხელმძღვანელობა: განაცხადა, რომ უწყების გამოისობით მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები. 13-გვერდიან ბეზღის მოხსენებაში, რომელიც კონგრესს გაუგზავნა, სიფხიზლის გუშაგმა, სოციალურად ორიენტირებულმა მანდილოსანმა ბრალად დასდო შზბ მეთაურს რობერტ მიულერს დეზინფორმაცია, ხოლო მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირებს – საბოტაჟი გამოძიებისა, „რომელიც ხელს შეუწყობდა 11 სექტემბრის მოვლენების ნეგატიური შედეგების შემცირებას“. საქმე ის არის, რომ თავის დროზე როულიმ მოსთხოვა ხელმძღვანელობას, მოეკიდა ხელი „მეოცე ტერორისტის“ ზაქარიას მუსაუის საქმისათვის, მაგრამ შზბ შტაბბინა „შეგნებულად აბრკოლებდა სრულმასშტაბოვან გამოძიებას“.

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

**მამის** ნათელ ხსოვნას უძღვნის პოეტი მარიამ წიკლაური თავის ახალ წიგნს „შემომძახიან ლექსები“, რომელიც გამოსცა „ბაკმა“ (ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა); რედაქტორია რუსუდან მოსიძე, მხატვარი – დალი მუხაძე.

წიგნში ლექსებთან ერთად დაბეჭდილია მინიატიურები და თარგმანები.

„ჩემი ფიქრი განუწყვეტლივ დასტრიალებს თავს სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის და თავად პოეზიის დიდ საიდუმლოს. სამყარო მაშინ გადაგიხსნის გულს და გაგენდობა, როცა შენც გულწრფელი და მართალი იქნები მის წინაშე“, – წერს ავტორი წიგნის ანოტაციაში და განაგრძობს: „ეს სიმართლე ქმნის პოეზიის იდუმალებას“...

და აი, ახლა ჩვენ წინაშეა მარიამ წიკლაურის იდუმალი სამყაროს ახალი ნიმუშები.

**ნანა ლვინეფაძე.**

# მარიამ წიკლაური-ძიძიგური

შემოესაყდრა ცისკარს მეფური
აღდგომის დილის თეთრი არილი,
ანგელოსების უხმო ებგურის
ფრთათა ნათელით მიმოქარული.
შესუდრულიყო ზეცა ბისონით,
მზე გვიგალობდა ნათლის ოსანას
და სიყვარული იმ გათენებას
პალეკარტივით მორცხვად მოსავდა.
შორს იყო თუმცა ამაღლებამდე,
მსუსხავდა ცეცხლის ზეგარდმო ვნება
და მამუნჯებდა კვლავდაბადების
მარადიული ძალა და ნება.
შენ ტერფზე გაჩნდა ის ერთი კოცნა,
როგორც ართქმული სიტყვა
მლოცველის
და არ მესმოდა, ასე სათუთად
ცა რად ნამავდა ბალახს, მოცელილს...

* * *

ხსოვნად დარჩენილ წამებს
როგორც თივას და ალიზს,
შევაკოწიწებ ბუდედ,
შიგ ჩავფენ სევდას მთვარის,
ნისლის ნაფლეთს და ბალახს,
მზის დანატოვარ სითბოს
და შიშს, რომელიც გულმა
სიცოცხლედ უნდა ზიდოს.
ცრემლის ბადაგის ნიჟით
შემოვაშენებ თალარს
ბუდეს, რომელშიც სული
შეენახება ქალაქს.

* * *

შემომძახიან ლექსები,
ვით ყვავილები მინდიას:
მე ამისა ვარ, – მე – იმის,
გულში მზე-ჯვარი მინთია.
ვის შეუძლია, ლექსის მეტს,
ბედისწერასთან გაგვყაროს,
ბწკარს გამომისკვნის ლაჟვარდი,
დამკიდებს ხსოვნის ავგაროზს.
სხვა თუ არაფრით, მზით მაინც
დაიდაფნება სამყარო.
ვიღაცა ეტყვის დედაჩემს,
პოეტის დედას გავხარო...

* * *

დღეს შენს თვალებში
ცა ჩაწვა თითქოს,
ცა დაღლილი და ძალიან ლურჯი
კალთიდან ეკლებს ვაცლი
ჩემს სტრიქონს
და ზედ ვახატავ მზეს ცეცხლის
ფუნჯით.
უკვირთ ამ ლექსებს შენი სიშორე,
მინდვრებს ამძიმებს ფართალი
მწვანე
და სხეულიდან ვეღარ ვიშორებ
შენს მონატრებას და
შენს ლურჯ თვალებს.
ნაზი ავდარი ბედივით მდევდა,
რას დაგიდევდნენ ბწკარები,
მკვირცხლი,
გაჰკიდებია სტრიქონი სევდას,
ვით ველურ რემას მზისფერი
კვიცი.
როგორ მინდოდა, რომ ყველა
ლექსში
ჩვენი ბავშვობის შროშნები გეცნო,
მერე მტკენოდა ზედმეტი ნეკნი
და ჩემი სული შენს მკერდში
გეგრძნო.

* * *

ჯერ გაზაფხული არც შემოსულა,–
ლარნაკში დამჭკნარ შარშანდელ იას,
დაუკოცნელი მარტის დღეების
სევდა ლაჟვარდში ფარფატით მიაქვს.
ჯერ გაზაფხული არ შემოსულა,
ნაადრევია ეს მონატრებაც...
ყოჩივარდების კრიალოსანი
ჩამოიმარცვლა ჯვრის მონასტერმა.
მზე ერთხელ კიდევ მოილოგინებს,
ია, გამხმარი ფოთლების ჩვრებში
უშვილო მდიდრის კარზე მიგდებულ
ჩვილივით მოგთხოვს აყვანას ხელში,
ქარი კი მიჰქრის... ჩადედებული
ნისლით ამოვსილ ხევ-ხუვებს
ლოკავს,
საით წაიღებს ამ გაზაფხულებს –
იით მოქარგულ პაწია ლოცვანს?
ცისკრის ვარსკვლავი
ნიავზე შეკრთა,
შეკრთა და ისევ მილულა თვალი
მე მომეჩვენა, სადღაც,
მთის ქიმზე
იზმორებოდა მძინარე დალი.
შორს მწვანიანში გაფანტულ
სიზმრებს
მოლაღურები კენკავდნენ
ფრთხილად
და ზეცის ლურჯად ჩამოშლილ
ზილფებს
ზედ ადნებოდა ნისლების ფთილა.
მინდვრებში ღამით დაპნეულ
წვიმებს
ვკრეფდი და მზის ფესვს
ვუსხამდი პეშვით,
ფეხმძიმესავით ველოდი წამებს,
რომელსაც უნდა სინათლედ ეშვი.
და ცის უმანკო უსაზღვროება
ჩემში ფეთქავდა როგორც ნაყოფი,
ბერდედო მიწას გული სტკიოდა
დღე-ღამეებით ორად გაყოფილს.
ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი
გრძნობას, რომელიც იყო სამყოფი
და ადამიანს, დარდს რომ იგრძნობდა
ამ სამყაროში ჩემი არყოფნით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 30, ორშაბათი, 3 თებერვალი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 3 თებერვალი

07.30 ალიონი 16.50 "საქართველო და გარესამყარო" 17.15 "რამპა" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.00 მოამბე 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 "ელ-ჯერო თბილისში" 22.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"ციმბირი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"შეხვედრის ადგილი უცვლელია"** მე-2 სერია

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 სერიალი **"ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"** 19.30 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"დაქირავებული მკვლელი"** მთ. როლში ჯეტ ლი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. **"ერთხელ ამერიკაში"** 1-ლი ნაწილი 10.20 მხ.ფ. **"ერთხელ ამერიკაში"** მე-2 ნაწილი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"ახალი კამელოტის ლედი"** 1-ლი ნაწილი 22.30 "ბურთი მოედანი" 22.50 მხ.ფ. **"ახალი კამელოტის ლედი"** მე-2 ნაწილი 00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი **"უძილობა"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"დიდიე"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"არმაგედონი"**

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ჯოჯოხეთის ცათამბჯენი"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 უცნობი 00.00 ფილმი ბრავო **"წყეულთა დედოფალი"** 01.45 ფილმი ღამურა **"მოწმე"** 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 13.10, 14.15, 17.20, 18.50, 21.45, 23.40 მუსიკა 09.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00 მხ. ფილმი **"წნეხის ქვეშ"** 11.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 12.00 ქართ. მხ. ფილმი **"ცოდვის შვილები"** 13.20 ქართ. დოკ. ფილმი "ღვინის გზები" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 მულტფილმი "სამი მუშკეტერი" 15.40 მხ. ფილმი **"სისხლიანი დანაშაული"** 17.00 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 17.45 მხ. სერიალი **"ზურგის ქარი"** 65-ე სერია 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 1-ლი სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 106-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 22.00 მხ.ფ. **"ინთრეფიდი"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 1-ლი სერია 00.45 მხ.ფ. **"ლაბირინთი"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 მუსიკა 10.00 კომედია **"საკალათბურთო ციებცხელება"** 12.15 თრილერი **"გამოსასყიდი"** 14.40 კომედია **"დიდი სექსის, პატარა გიგანტი"** 16.15 მულტფილმი 17.20 კომედია **"გამარჯობათ, მე თქვენი დედა ვარ"** 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 მხატვრული ფილმი **"გოტი"** 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 00.55 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 "ალტერნატივა" 01.00 მელოდრამა **"კრამერი, კრამერის წინააღმდეგ"** 03.30 მელოდრამა **"გაუცხოების ექვსი ხარისხი"**

VII არხი

09.10 "აჩიკუდა" 09.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 10.15 მელოდია 10.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.15 "ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით) 12.05 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.15 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 14.05 სპორტი 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.35 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.05 "ლა-ლა-ლა" 21.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 22.20 "კინოკლუბი " - **"ბენ-ჰური"** - 1 სერია. ა.შ.შ. 1965 წელი. ისტორიული. რეჟ. უილიამ უაილდერი. როლებში: ჩარლტონ ჰესტონი, ჯეკ ჰოკინსი. 00.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 00.50 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

## სამშაბათი
### 4 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 10.10 "ზოოპარკი" 10.30 მხ. ფილმი **"ციმბირი"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი **"არაფერი რობერის შესახებ"** მთ. როლებში ფაბრის ლიუკინი, მიშელ პიკოლი 17.05 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (ალგარვე) 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 22.15 "სათავეებთან" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"შეხვედრების ადგილი უცვლელია"** მე-3 სერია

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ამბები ჩვენზე 20.45 ოქტაგონი 21.30 ასპარეზი "ზურაბ საკანდელიძე" 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ტაში ცალი ხელით"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.45 სერიალი **"ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"** 19.05 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.30 პერეკრესტოკი 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ვის უნდა ოცი ათასი 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"უსაყვარლესი არსება"** მთ. როლებში კამერონ დიასი, ტომას ჯეინი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.50, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 "ბურთი და მოედანი" 09.50 მხ. ფილმი **"ახალი კამელოტის ლედი"** 1-ლი სერია 10.30 დოკ. ფილმი 11.00 მხ.ფ. **"ახალი კამელოტის ლედი"** მე-2 სერია 13.10 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 17.30 მულტფილმი 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 20.00 მხ.ფ. **"კაფე მამბო"** 22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი **"ბარი ლინდონი"** 00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"არმაგედონი"** 15.00 მხ. ფილმი **"სამი სურვილი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"რაზმი ზღვის კატები"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"შურისგების მუშტი"** 22.30 მხ. ფილმი **"განგსტერთა ბრძოლები"**

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ძერა"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"უკანასკნელი ციხესიმაგრე"** 01.45 ფილმი ღამურა **"დრაკულა 2000"** 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 11.50, 17.20, 18.50, 19.50, 21.45, 23.40 მუსიკა 10.10 მხ. სერიალი **"ზურგის ქარი"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის ნაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "ეს ცეკვაა" 1-ლი ნაწილი 15.40 მხ. ფილმი **"ლაბირინთი"** 17.45 მხ. სერიალი **"ყრმა სახელად იესო"** 1-ლი სერია 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-2 სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 107-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები - პოლ სეზანი 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 22.00 მხ. ფილმი **"ბილიარდომანები"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** მე-2 სერია 00.45 მხ. ფილმი **"კარიერა"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 მუსიკა 10.00 საბავშვო ფილმი **"პატჩიპუხი"** 12.15 მელოდრამა **"კრამერი, კრამერის წინააღმდეგ"** 14.20 კომედია **"ბედნიერი შემთხვევა"** 16.15 მულტფილმი "შუაღამის დარაჯი" 17.30 ფანტასტიკა **"ღრმა ჩაძირვა"** 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "Ïðî-ïàðàä" 19.30, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.40 მუსიკა 20.00 მელოდრამა **"ქუხილის დღეები"** 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.15 კომედია **"ლხინში სიცოცხლის გატარება"** 03.30 მელოდრამა **"ცისფერი უფსკრული"**

VII არხი

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 "ბედნიერი ერი" 09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 მელოდია 10.50 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 11.25 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 12.05 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი. 12.25 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.15 დისნეი და მისი მეგობრები 13.35 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 პორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.45 "ღამის კაპრიზი" - თემა: გაცნობა განცხადებით. 21.50 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.30 "კინოკლუბი" - **"ბენ-ჰური"** მე-2 სერია. 00.10 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 00.50 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

## ოთხშაბათი
### 5 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 10.15 მხ. ფილმი **"შეხვედრების ადგილი უცვლელია"** მე-3 სერია 11.30 დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნების დიდებულება" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.35 "ზღვარი" 15.15 მხ. ფილმი **"სიკვდილის მაცნე"** მთ. როლებში 17.00 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.45 "ჰოლივუდის ვარსკვლავები" (ჯინ ჰეკმანი) 22.10 ირმა ნიორაძე 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"მიზანი - დედამიწა"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"განყენების მომენტი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 სერიალი **"ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"** 19.30 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"სისხლის აღება"** მთ. როლებში სოფი ლორენი, მარჩელო მასტროიანი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი **"კაფე მამბო"** 10.20 მხ.ფ. **"ბარი ლინდონი"** 12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (განმეორებით) 13.10 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. **"სისი, მომხიბლავი პრინცესა"** 22.15 მხ.ფ. **"დამნაშავე"** 00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"შურისგების მუშტი"** 13.30 მხ. ფილმი **"განგსტერთა ბრძოლები"** 15.00 მხ. ფილმი **"უკეთესად არ არსებობს"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ლტოლვილი მატარებელი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"რეგენერატორი"** 22.30 მხ. ფილმი **"ფიორინა"**

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ერთი მშვენიერი დღე"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პასეანსი 23.00 ჩა□ირობანა 00.00 ფილმი ბრავო **"მომკალი მოგვიანებით"** 01.45 ფილმი ღამურა **"დაკარგული სამარხი"** 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 11.50, 14.20, 17.20, 19.50, 21.50, 23.40 მუსიკა 10.10 მხ. სერიალი **"ყრმა სახელად იესო"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.50 მხ. ფილმი **"ბილიარდომანები"** 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "ეს ცეკვაა" 15.40 მხ. ფილმი **"კარიერა"** 17.45 მხ. სერიალი **"ყრმა სახელად იესო"** მე-2 სერია 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-3 სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 108-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები - ანრი მატისი 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 22.00 მხ. ფილმი **"მეთვალყურე"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** მე-3 სერია 00.45 მხ. ფილმი **"სიღრმეში"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 მუსიკა 10.00 საბავშვო ფილმი **"მთის მეფე"** 12.15 ფანტასტიკა **"დევნილი"** 14.20 კომედია **"არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ"** 16.10 მულტფილმი 17.55 მხატვრული ფილმი **"ძაღლი თივაზე"** 1 სერია 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.35 მხატვრული ფილმი **"ძაღლი თივაზე"** 2 სერია 21.15 დოკუმენტური ფილმი "ეგვიპტე" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" 01.10 მხატვრული ფილმი **"ვეფხვების ქვეყანა"** 03.30 მელოდრამა **"სასიყვარულო გატაცება"**

VII არხი

09.25 "აჩიკუდა" 09.50 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით 11.05 "სახლიდან გაუსვლელად" -კომპიუტერული ტექნიკა 11.45 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი. 12.05 "სახლიდან გაუსვლელად" -მობილურები 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 13.45 სპორტი 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 "ლა-ლა-ლა" 21.55 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 22.35 "კინოკლუბი" - **"ღრუბლებში გასეირნება"**. ა.შ.შ. 1995 წელი. მელოდრამა. რეჟ. ალფონსო არაუ. როლებში: ქიანუ რივზი, ენტონი ქვინი. 00.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 00.45 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

## ხუთშაბათი
### 6 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 10.15 მხ. ფილმი **"მიზანი - დედამიწა"** 11.45 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნების დიდებულება" 15.15 მხ. ფილმი **"შუაღამის კატი"** მთ. როლებში 16.55 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ბაზრები" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (ანტიგუა და ბარბუდა) 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.55 "საქართველო არის ესე" 22.25 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"სასიკვდილო მტრობა"** 01.40 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"დანაშაულის გენეალოგია"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 სერიალი **"ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"** 19.30 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ვის უნდა ოცი ათასი 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"არჩევანი არადანი"** მთ. როლებში ფილიპ ნუარე, მიშელ სერო 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 21.55, 23.50, 01.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ.ფ. **"სისი, მომხიბლავი პრინცესა"** 10.20 მხ.ფ. **"დამნაშავე"** 13.10 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.30 მხ.ფ. **"სისი, ნორჩი დედოფალი"** 23.55 მხ.ფ. **"ტრასა 60"** 01.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"რეგენერატორი"** 13.30 მხ. ფილმი **"ფიორინა"** 15.00 მხ. ფილმი **"ჭკვიანი უილ ჰანტინგი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მაიკლი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"მუმია"** 23.00 მუსიკა

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ამერიკელი გმირი"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"მოძრაობაში"** 01.45 ფილმი ღამურა **"მორიელთა მეფე"** 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 11.50, 14.25, 17.20, 19.50, 21.50 მუსიკა 10.10 მხ. სერიალი **"ყრმა სახელად იესო"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.50 მხ. ფილმი **"მეთვალყურე"** 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "ეს ცეკვაა" მე-3 ნაწილი 15.40 მხ. ფილმი **"სიღრმეში"** 17.45 მხ. სერიალი **"ყრმა სახელად იესო"** მე-3 სერია 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-4 სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 109-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები - ვატო 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 22.00 მხ. ფილმი **"ბრიგალი"** 00.20 მხ. სერიალი **"ფოჯინების ველი"** მე-4 სერია 00.45 მხ. ფილმი **"კიდევ ერთი კარგი რამ"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 მუსიკა 10.00 კომედია **"პატივცემული ჯენტლმენი"** 12.10 სათავგადასავლო ფილმი **"რობინზონ კრუზო"** 13.35 დრამა **"მეექვსე გრძნობა"** 16.15 მულტფილმი "მზეთუნახვი და ურჩხული" 17.25 მხატვრული ფილმი **"მთელი ქალით"** 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.30 "პირისპირ" საავტორო პროგრამა 20.30 მხატვრული ფილმი **"შეთქმულება თეთრ სახლში"** 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.10 მელოდრამა **"მხოლოდ სიყვარული"** 1 სერია 03.30 ისტორიული ფილმი **"ბაუნტი"**

VII არხი

09.10 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 09.55 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 10.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.40 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი. 12.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 12.40 დისნეი და მისი მეგობრები 13.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 14.00 სპორტი 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 20.20 ღამის კაპრიზი" - თემა: მე მაღიზიანებს. 21.20 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.05 "კინოკლუბი " - **"უცნობებს ნუ დაელაპარაკები"**. ა.შ.შ. 1996 წელი. მელოდრამა. რეჟისორი: პიტერ ჰოლი. როლებში: ანტონიო ბანდერასი, რებეკა დე მორნეი. 23.35 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 00.15 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## პარასკევი
### 7 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 10.15 მხ. ფილმი "**სასიკვდილო მტრობა**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 14.45 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 15.15 მხ. ფილმი "**გზაჯვარედინები**" მთ. როლში ბრიტნი სპირსი 16.45 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 17.10 50-50 17.45 "ზუმი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ენა დედაა ერისა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.45 "ბენი ჰილი" 22.15 "მრავალსახეობა" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "**იდიოტების ალუში**"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**ტრამვაი მალვაროში**"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი□ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 სერიალი "**ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე**" 19.30 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**მოდი გავაკეთოთ სწრაფად**" მთ. როლებში ვლადიმერ მაშკოვი, ჯენიფერ ჯ. ლი 02.30 მხ. ფილმი "**ძუნწი**" მთ. როლებში ლუი დე ფიუნესი 04.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.45, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "**სისი, ნორჩი დედოფალი**" 10.20 მხ. ფილმი "**ტრასა 60**" 13.10 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 20.00 მხ.ფ. "**სისი, საყვარელი დედოფალი**" 22.30 მხ.ფ. "**კოდი უცნობია**" 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "**მუმია**" 14.00 მხ. ფილმი "**თავგადასავლების მეფე**" 15.30 მულტფილმი "პიტერ-პენი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**უკან მომავალში**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**მუმია 2**" 23.00 მუსიკა

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით მიქსი მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**აგენტი მეტსახელად სპოტი**" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პაპარაცი 22.45 პა-სეანსი 23.00 აბა გამოიცანი კინო 00.00 ფილმი ბრავო "**მოკვდი სხვა დროს**" 01.45 ფილმი ღამურა "**დეტოქსიკაცია**" 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 14.20, 17.25, 19.50, 21.50, 23.50 მუსიკა 10.05 მხ. სერიალი "**ურმა სახელად იესო**" 11.10 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი.**" 12.50 მხ. ფილმი "**გრიგალი**" 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 დოკ. სერიალი "ეს ცეკვაა" მე-4 ნაწილი 15.40 მხ. ფილმი "**კიდევ ერთი კარგი რამ**" 17.45 მხ. სერიალი "**ურმა სახელად იესო**" მე-4 სერია 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-5 სერია 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 110-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები - თან პოლ ენგრი 21.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი.**" 22.00 მხ. ფილმი "**შეხვედრის ადგილი ქალლების პარკი**" 00.20 მხ. სერიალი "**თოჯინების ველი**" მე-5 სერია 00.45 მხ. ფილმი "**მესამე სასწაული**"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 მუსიკა 10.00 სათავგადასავლო ფილმი "**ზევსი და როქსანა**" 14.15 კომედია "**ბატონი შეცდომა**" 16.15 მულტფილმი "ჯადოსნური ქვეყანა" 17.20 დეტექტივი "**ამერიკელები**" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.30 "Ïðåññ-ïàïüå" 19.40 მხატვრული ფილმი "**ლეონი**" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" საავტორო პროგრამა 01.10 მელოდრამა "**მხოლოდ სიყვარული**" 2 სერია 03.30 დრამა "**აღელვებული გული**"

VII არხი

09.15 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 10.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 10.40 "ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი. 11.00 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 11.40 დისნეი და მისი მეგობრები 12.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.25 "მელოდია" 13.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.45 სპორტი 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "ობიექტივი" -სტუმარი 20.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.10 მელოდია 21.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 22.05 "კინოკლუბი " - "**კომატოზები**". ა.შ.შ. 1992 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ. ჯოელ შუმახერი. როლებში: კიფერ საზერლენდი, ჯულია რობერტსი. 00.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 00.45 ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

## შაბათი
### 8 თებერვალი

08.00, 15.00, 20.00, 00.10 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "**იდიოტების ალუში**" 10.00 დილის პაემანი 11.00 "ლატარია ყველასათვის" 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 12.05 "ვიცი" 12.25 მეტრო 13.10 კვალი 13.40 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" მე-3 სერია 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი "**ეშმაკისეულნი**" 17.00 საწინდარი 17.35 "რეალური სამყარო" 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.35 "ფორტუნა" 21.05 სერიალი **ქალები ზღვისპირეთში**" 22.00 "ტაძარი" - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 85 წლისაა 22.40 მხ. ფილმი "**დაო სტივა**" 00.20 ღამის ჯაზი 00.50 მხ. ფილმი "**შეიძლება**"

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 "ახლო ხედი" 1) პრემიერა სპექტაკლისა "გიდოს მოლოდინში" თეატრალური სარდაფი 2) გამოფენა - თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, გუგა კოტეტიშვილი, მაკა ასათიანი (მუსიკა ნიკა მემანიშვილი) 3) უცხოური შოუ - ბიზნესისა და კინემატოგრაფის მიმოხილვა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 მხ. ფილმი "**პარფიუმი**"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "**ათასწლეული**" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ.ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "**კოლომბო**" 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი "**კოლომბო**" 18.45 სერიალი "**სახლი ძველ უბანში**" 19.15 ჯეოსელის ლატარია 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 **კურიერი** P.S. 22.00 **ფსიქო**. მხ.ფ. "**მფარველი ცა**" 00.15 მხ.ფ. "**მეექვსე დღე**" მთ. როლებში არნოლდ შვარცნეგერი, ტონი გოლდვინი 02.15 ღამის ჯაზი

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "**სისი, საყვარელი დედოფალი**" 10.20 მხ. ფილმი "**კოდი უცნობია**" 13.10 დოკ. სერიალი "**ექსპედიცია**" 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 22.30 მხ.ფ. "**მარიუსის უმანკო ჩასახვა**" 23.00 მხ.ფ. "**კუბი**" 00.40 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "**მუმია 2**" 14.10 მხ. ფილმი "**გენერალი**" 15.40 მულტფილმი "მულანი" 17.10 მხ. ფილმი "**უკან მომავალში 2**" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი "**მორიელთა მეფე**" 23.10 მუსიკა 00.20 მხ. ფილმი "**იდეალური მკვლელობა**"

09.00 განმეორებით რუსული მუსათეული 10.00 ტოროლა 13.00 განმეორებით უცნობი 14.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**ცეცხლის ქალა**" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "**სიყვარულის სახელით**" 01.45 ფილმი ღამურა "**კრაზანას ბუდე**" 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 14.15, 17.15, 17.45, 18.30, 19.45, 23.40 მუსიკა 10.05 მხ. სერიალი "**ურმა სახელად იესო**" 11.10 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 მხ. სერიალი "**ვი. აი. პი.**" 12.50 მხ. ფილმი "**შეხვედრის ადგილი ქალლების პარკი**" 14.45 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 15.10 მხ. ფილმი "**მესამე სასწაული**" 18.00 რუს. ვოდევილი "ნიღაბი" 18.40 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-6 სერია 19.00 დოკ. ფილმი "მაიკლ ჯორდანი" 20.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" ფრანგი მხატვრები - ნიკოლა პუსენი 21.00 დოკ. მუს. ფილმი "ანსამბლი "ქრენბერისი" 1-ლი ნაწილი 22.00 კლუბი ყაზბეგი: 1. მხ. ფილმი "**ოროპტრიალი**" 2. მხ. ფილმი "**ჩინეთში ქალლებს ჭამენ**" 3. მხ. ფილმი "**ბინძური ჭორები**" 00.20 მხ. ფილმი "**ადამიანი-ფარვანა**"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 მულტფილმი 10.00 ფილმი-ზღაპარი "**გალგამეტი**" 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 12.15 დრამა "**ბრწყინვალება**" 14.05 მხატვრული ფილმი "**ემა**" 16.15 მულტფილმი "კუზიანი კვიცი" 17.30 კომედია "**ურჩხული**" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.20 "პრესდაიჯესტი" 19.30, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.40 "ყველანი ვართ პატარები" საბავშვო პროგრამა 20.25 მელოდრამა "**მის დალოუეი**" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 «Ñëîâî» 01.00 კომედია "**შეცვალეთ ადგილები**" 03.30 სათავგადასავლო ფილმი "**მუშკეტერები 20 წლის შემდეგ**"

VII არხი

18.10 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.55 "ღამის კაპრიზი" - თემა: ტოტალიზატორი 20.55 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 21.35 "კინოკლუბი " - "**ხუთცოლიანი**" ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟ. სიდნი ფურიე. მთ. როლში: როდნი დანჯერფილდი, მოლი შენონი. 23.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 00.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.

## კვირა
### 9 თებერვალი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "**შეიძლება**" 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "დიდი დასვენება" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრესსტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.20 თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლი - "**მაკნატუნა**" 16.35 "საკვირაო გამოფენა" 16.45 მულტსერიალი "წითელქუდას ნამდვილი თავგადასავალი" 17.35 "ეძიე ქალი" 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "ჩემპიონი" 18.50 "ეკოდაიჯესტი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 მუსიკალური ოქტაგონი 22.10 ტელესერიალი "**ქალები ზღვისპირეთში**" მე-2 სერია 23.00 სატელევიზიო კინოდარბაზი მხ. ფილმი "**წერილი ნაქვებს**" 23.40 "ბენი ჰილი" 00.10 ტაიმ-აუტი 00.40 მხ. ფილმი "**მეორე ცხოვრება**"

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.30 ვიცი 21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ! 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული გადაცემა შეეხება ტრადიციულად ქართული შოუბიზნესის სიახლეებს, გვეყოლება რამდენიმე სტუმარი მათ შორის ლილიკო ნემსაძე, არჩილ მეფარიძე, რუსუდან ბახტაძე და ა.შ. შედგება ნამდენიმე კლიპის პრემიერა რეჟისორი - ბასა ფოცხიშვილი, ხათუნა გიორგობიანი და ა.შ. რუბრიკაში ღამის ქალაქი განვიხილავთ ღამის კლუბების საკონცერტო სურეთებს: სარაჯიშვილი, მემფისი, "ნოა-ნოა" და ა.შ. გადაცემაში გავა, თიკა ჯამბურიას, სტეფანეს, ნინის, ზუკას, რუსა მორჩილაძის კლიპები 23.00 მხ. ფილმი "**საბოტაჟი**"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "**ათასწლეული**" 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "**კოლომბო**" 18.00, 21.00, 23.40 კურიერი 18.20 სერიალი "**კოლომბო**" 18.45 სერიალი "**სახლი ძველ უბანში**" 19.15 ველური ბუნება 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.25 ჩვენი ეზო 21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "**მომავალი ზაფხული**" 8 77 45-79-25 ფილიპ ნუარე, კლაუდია კარდინალე, "**ტრასა 60**" 8 77 45-79-26, ჯეიმს მერსდენი, ჰარი ოლდმენი, "**გამოუსწორებელი თაღლითები**" 8 77 45-79-27 მაიკლ კეინი, სტივ სარტინი 23.50 მხ.ფ. "**მეცხრე კარიბჭე**" მთ. როლებში ჯონი დეპი, ემანუელ სინივ 02.00 კლასიკა.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი "**მარიუსის უმანკო ჩასახვა**" 10.20 მხ.ფ. "**კუბი**" 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "**ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი**" 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. "**ქრონოსი**" 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "**მორიელთა მეფე**" 14.00 მხ. ფილმი "**ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა**" 16.00 მხ. ფილმი "**უკან მომავალში 3**" 18.00 ჯაზ-პარნასი 19.00 ინდ. მხ. ფილმი "**უილბლო მოტაცება**" 22.00 მხ. ფილმი "**მის კონგენიალობა**" 00.10 მხ. ფილმი "**პატივმოყვარეობის კოცონი**"

10.00 ტოროლა 13.00 განმეორებით უცხოური მუსათეული 14.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**კლუბი**" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "**ომი**" 01.45 ფილმი ღამურა "**ბოროტების სავანე**" 03.45 პაუზის გარეშე

09.30 დღის ამბები 09.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 10.00, 10.40, 12.35, 13.35 15.50, 19.10, 23.40, 01.35 მუსიკა 10.10 რუს. ვოდევილი "ნიღაბი" 11.00 მხ. ფილმი "**ჩინეთში ქალლებს ჭამენ**" 12.50 დოკ. ფილმი "მაიკლ ჯორდანი" 13.50 მხ. ფილმი "**მთავარი ეჭვმიტანილი**" 15.25 მულტფილმი "ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 16.00 მხ. ფილმი "**ადამიანი-ფარვანა**" 18.00 ქართ. მხ. ფილმი "**ლომა - დავიწყებული მეგობარი**" 19.30 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი "**ლომა**" 21.15 დოკ. მუს. ფილმი "ანსამბლი "ქრენბერი" მე-2 ნაწილი 22.00 მხ. ფილმი "**დუბლიორი**" მთ. როლში ერიკ რობერტსი 00.00 მხ.ფილმი "**ცდუნება**" მთ. როლებში დენის ჰოპერი, შარლი შელტონი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 სათავგადასავლო ფილმი "**ჩვილის გასეირნება**" 11.05 დოკუმენტური ფილმი 12.10 ისტორიული ფილმი "**კანარის პრინცესა**" 14.00 ფილმი-კატასტროფა "**აპოკალიპსის საათები**" 16.10 მულტფილმი "მდიდარი ძაღლები" 17.45 კომედია "**გამოუსწორებელი მატყუარა**" 19.20 მელოდრამა "**გონება და გრძნობები**" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.30 "Íîâîñòè â âîñêðåñåíüå" 22.50 დოკუმენტური ფილმი 00.30 "Íîâîñòè â âîñêðåñåíüå" 00.50 მელოდრამა "**დღე და ღამე**" 03.30 მხატვრული ფილმი "**კლდე**"

VII არხი

17.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 17.30 "ლა-ლა-ლა" 18.00 ევროპული ფეხბუთი 19.00 "აჩიკუდა" 19.50 "ავტოტრეკინგი" 20.40 "კინოკლუბი " - "**მამაკაცი გამოძახებით**" ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟ. მაკლ მიტჩელი. მთ. როლში: რობ შნაიდერი. 22.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.45 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.05 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 23.50 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. 01.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა

## თეატრები



**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**
რუსთაველის 25. ტ.99-65-66

09.02 (12.00) juzepe verdi "**რიგოლეტო**". opera oTx moqmedebad. diriJori - zaza kalmaxeliZe.

*fasi 2-5 lari.*

**თავისუფალი თეატრი**
მეტრო "თავისუფლების მოედნის" უკან. ტელ: 93-11-06

08.02, 09.02 (14.00) sabavSvo zRapari "**ყველაზე დიდი სასწაული**".

08.02 (19.00) kinomsaxiobTa Teatris speqtakli rafiel erisTavi "**ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**". damdgmeli reJisori - girgi margvelaSvili.

09.02 (19.00) jozef ozborni "**კომედიანტები**". damdgmeli reJisori - avTo varsimaSvili.

05.02, 06.02 (19.00) daTo turaSvili "**ჯინსების თაობა**". damdgmeli reJisori - dao doiaSvili.

07.02 (19.00) kinomsaxiobTa Teatris speqtakli "**პეი ვეფხისტყაოსნებო**". lali kekeliZis poeziis mixedviT. damdgmeli reJisori - lali kekeliZe. *fasi 5 lari.*



**სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
ვეკუას ქ.8 ტ. 62-61-97

09.02 (18.00) fridrix diurenmati "**მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი**". damdgmeli reJisori - daviT andRulaZe.

08.02 (18.00) aka morCilaZe "**ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები**". damdgmeli reJisori - daviT andRulaZe.

*fasi 3 lari.*



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

09.02 (18.00) mixeil bulgakovi "**პილატე**". damdgmeli reJisori - Temur CxeiZe.

07.02 (18.00) polikarpe kakabaZe "**ყვარყვარე თუთაბერი**". damdgmeli reJisori - Temur CxeiZe.

08.02 (18.00) Teodor dostoevski "**მარადი ქმარი**". damdgmeli reJisori - Temur CxeiZe.

*fasi 2-5 lari.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

07.02 (20.00) Teodor dostoevski "**სასაცილო კაცის სიზმარი**" (rusul enaze). damdgmeli reJisori - Salva kikvaZe.

04.02, 05.02 (20.00) Jan-Jak brikeri, moris legasi "**ინსტიქტი**". damdgmeli reJisori - oTar egaZe.

06.02 (20.00) nino basilia "**თავვი**". damdgmeli reJisori - levan wulaZe.

08.02, 09.02 (20.00) ralf knigi "ETCETERA". damdgmeli reJisori - levan wulaZe.

*ფასი 5 ლარი.*

**რეზო გაბრიაძის „თეატრის სტუდია“**
ტელ. 98-65-94

08.02,09.02 (18.00) rezo gabriaZe "**ჩემი გაზაფხულის შემოდგომა**". damdgmeli reJisori - rezo gabriaZe.

*ფასი 2 ლარი.*

**ზღაპრის თეატრი**
აღმაშენებლის 136 ტ. 95-01-23

08.02,09.02(12.00) "**ნაცარქექია**", "**კონკია**", "**ფიფქია**", "**კომბლე**", "**პეპი გრძელწინდა**", "**ჩექმებიანი კატა**", "**რწყილი და ჭიანჭველა**", "**დიდების ზღაპარი, ზღაპრის თეატრი**".

*ფასი 2 ლარი.*

მუნიციპალური „მეტეხის თეატრი“ — **თეატრი "ძველი სახლი"** — თეატრი „ძველი სახლი“
**თბილისის მუნიციპალური "მეტეხის თეატრი"**
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

06.02 (18.00) aziz nesini "**მოგკალ, მოგკალ**". damdgmeli reJisori - lvan kuWaiZe.

07.02 (18.00) Teodor dostoevski "**იდიოტი**". damdgmeli reJisori - sandro mrevliSvili.

*fasi 2-5 lari.*



**ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრი**
აღმაშენებლის გამზ. 182. ტ. 34-27-73.

05.02 (12.00) "**ფიფქია და შვიდი ჯუჯა**". damdgmeli reJisori - n. Zigua.

06.02 (15.00) nodar dumbaZe "**მონატრება**". damdgmeli reJisori - Tengiz avaliSvili. *ფასი 2 ლარი.*

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## ადამიანის ბედი

**ჩვენი კოლეგის კობა ინასარიძის ეს ინტერვიუ ჟურნალ „სარბიელის“ 2000 წლის № 2 (აპრილის) ნომერში გამოქვეყნდა სათაურით „КГБ მიხეილ მესხის წინააღმდეგ“. აღნიშნული გამოცემის მცირე ტირაჟის გამო მას გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმია თითქმის ვერ გაეცნო. ითვალისწინებს რა მკითხველთა ფართო წრის (არა მარტო სპორტულის) დაინტერესებას ლეგენდარული საფეხბურთო ოჯახის სხვადასხვა თაობის თითოეული წევრის წარსულითა და აწმყოთი, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ავტორის თავაზიანი ნებართვით გთავაზობთ ხსენებული პუბლიკაციის საგაზეთო ვარიანტს.**

*ზუსტად აღარ მახსოვს, 1984 თუ 85 წელი იყო. გახურებული საბჭოთა კავშირის ჩემპიონატია. თბილისის „დინამო“ კრიზისშია და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. მაშინ, როგორც თითქმის ყველა ბიჭუნა, მეც ბურთს დავდევდი და „დინამოს“ იქით ვერაფერს ვხედავდი. მაისის თვე იდგა, წვიმდა. წინა დღეს ბიჭები გაგვაფრთხილეს, ხვალ „დინამო“ მოსკოვის „ტორპედოს“ ეთამაშება, ხუთ საათზე სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან შევიკრიბებით, „აუტჩიკები“ იქნებითო. „აუტჩიკები“? – წამოვიძახეთ, შევხტით, გაგვიხარდა. იწყება თამაში და ბავშვებს ისიც ვერ გაგვირკვევია, ვინ კარს უკან დადგება, ვინ შუაში, მოედნის კუთხეში... ერთ ამბავში ვართ. ყველას „ტორპედოს“ მეკარის უკან გვირჩევნია. როგორც იქნა, სტადიონის რომელიღაც თანამშრომელმა გაგვანაწილა. აღმოსავლეთ ტრიბუნისკენ გამიშვეს. პირველ ტაიმში „დინამოს“ მარჯვენა მცველს, უმეტესად კი „ტორპედოს“ ნახევარმცველს ვაწვდიდი ბურთს. ხალხით სავსე ტრიბუნასთან ახლოს ვიყავი და რამდენჯერმე ნალაპარაკევი ჩამესმა ყურში. ხედავ, კიდევ არ დააყენა, რას ერჩის, ათამაშოს, „კრაი“ არ გვყავს, ვერ მოვიგებთ ამ თამაშს – ქომაგები ერთმანეთს ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ და ვხვდებოდი, მიხეილ მესხზე, „დინამოს“ გარემარბზე ამბობდნენ.*

*ჩამთავრდა პირველი ტაიმი, გოლი არ გასულა. შესვენებაა, ჩვენ, ბიჭუნები, მინდორზე ვთამაშობთ და ამ დროს, ლამის დაინგრა თითქმის გადაჭედილი, მაშინდელი ლენინის სახელობის სტადიონი. გაკვირვებულებმა ბურთაობა შევწყვიტეთ. – ბიჭო, ბიჭო, გადმომიგდე ეგ ბურთი, – ჩემს თანაგუნდელს გასძახა ლურჯ მაისურში გამოწყობილმა. ერთიორი აკეწლა, გაიქცა, გამოიქცა. ჩვენ პირდაღებულნი შევცქეროთ, მესხია, მესხი, – ყურში ჩამჩურჩულებს ჩემი კბილა.*

*რამდენიმე წუთში მეორე ტაიმიც დაიწყო. აბა, „აუტჩიკის“ იმ ადგილს სხვას როგორ გავუცვლიდი? სულ ორიოდ მეტრიდან ვუყურებდი, როგორ აბითურებდა დინამოელთა 14 ნომერი რუს მცველს. წარმოიდგინეთ ჩემი ბავშვური სიხარული. მოვიდა, მიშა!*

*შეუძახებდნენ ტრიბუნიდან. ისიც მორიგ ფინტს გაუკეთებდა მცველს და მეტოქის კარისკენ გაქანდებოდა. მერე ის საბრალო გამოცვალეს, თუმცა მის შემცვლელსაც შავი დღე დაადგა. მომე, მომე, გენაცვალე, მალე მინდვრის განაპირას იდგა დინამოელი და მაჩქარებდა. მეც გავრბოდი და თვალებგაფართოებულ, გულაჩქარებულ, გალუმპულ მიხეილ მესხს გადავუგდებდი ბურთს. ერთიორჯერ ისიც მივაძახე, ხომ გატან გოლს-მეთქი, თვალს ჩამიკრავდა, გავიტანო.*

*იმ თამაშში ვერ გაიტანა, 0:0 დამთავრდა. მატჩის მერე თავზე ხელი გადამისვა, სხვა დროს გავიტანო, ღიმილით მითხრა. გაიტანა, თანაც არა ერთი და ორი. გაიტანა, მაგრამ... მთელი მატჩიც უთამაშია, მაგრამ... უნიჭიერესი იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მედალიც აქვს, თუმცა... მან დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა. ვერც მამას გაუტოლდა, დიდ მიხეილ მესხს.*

# მიხეილ მესხის აღსარება



### ავარდნილი ბავშვი

და შეხვედრა მეორე, პირისპირ, ის ბიჭი, 15 წლის წინ, წვიმიან საღამოს, თბილისის „დინამოს“ მე-14 ნომერს გოლის გატანას რომ სთხოვდა, აუტში გადავარდნილ ბურთს უბრუნებდა, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზეა, გაჭაღარავებულ, თმაშეთხელებულ 40 წელს მიტანებულ კაცთან ერთად ჩამოსაჯდომს ეძებს...

– აი, აქ დავსხდეთ.

**– როგორც იტყვით, დავსხდეთ.**

– ჩემს ბიჭს, პატარა მიშას წუთი-წუთზე ვარჯიში ეწყება. რა ვიცი, მგონი, ნიჭიერია, თუმცა მესხს როგორ შეიძლება ფეხბურთის ნიჭი არ ჰქონდეს. მეც ვთქვი რა... გისმენ, დავიწყოთ.

**– შვილის ყოველ ვარჯიშს ესწრებით?**

– ვცდილობ, მაქსიმალური ყურადღება მივაქციო, ჭკუა დავარიგო. საშუალება თუ მაქვს, მის ვარჯიშს არ ვაცდენ. ჩემი მეგობრები არიან მწვრთნელები და მათთან ვარჯიშობს.

**– „ავაზაში“ რატომ არ დაგყავთ?**

– რა ვიცი, აბა. თავიდანვე „დინამოს“ სპორტსკოლაში მოვიყვანე. ახლა იქით გადავიყვანო, რა აზრი აქვს?

**– თავად ხომ „ავაზაში“ ვარჯიშობდით? როგორც ვიცი, გვიან მისულხართ ფეხბურთზე.**

– ჰო, მეექვსე კლასში ვიყავი. მახსოვს, მამაჩემი მეუბნებოდა, რაღა დროს შენი ფეხბურთიაო. მანამდე ეზოს ბიჭებთან ქუჩაში ვთამაშობდი. მივედი „ავაზაში“ და ვარჯიში ერთი კვირის დაწყებული მქონდა, სპორტის სასახლეში რაღაც მინიტურნირი რომ ჩატარადა. მეც მათამაშეს და ბომბარდირი გავხდი. მწვრთნელებმა სერიოზულად შემომხედეს. მეორე წელსაც ვითამაშეთ სპორტის სასახლეში, ყველაზე ბევრი ბურთი ისევ მე გავიტანე. ამის მერე უკვე აღარც მახსოვს, იმდენი პრიზი დავიმსახურე. ტურნირი არ იქნებოდა, ხან საუკეთესო ფეხბურთელად, სხვებზე ტექნიკურად არ დავესახელებინე ორგანიზატორებს. მხოლოდ ის მიკვირდა, ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს გუნდში რატომ არ ავყავდი. მერეღა მივხვდი მიზეზს – მწვრთნელები თავს იზღვევდნენ. მათ ჩემზე ეუბნებოდნენ, როდის რას გააკეთებს, კაცმა არ იცისო. იმასაც კი ამბობდნენ, მამამისზე მაგარი გაიზრდებაო, მაგრამ...

ერთი სიტყვით, ჭაბუკობაში „ავაზაში“ ვთამაშობდი.

**– მერე, პირდაპირ თბილისის „დინამოში“?**

– არა, „ავაზადან“ რომ წამოვედი, ერთი წელი მთლად უსაქმოდ ვიყავი. ეზო და სახლი – ჩემთვის სხვა არაფერი იყო. შინ მაკითხავდნენ სხვადასხვა გუნდის მწვრთნელები, ყველას უკან ვაბრუნდებდი. მიხეილ მესხის შვილი „დინამოს“ გარდა სხვაგან არსად ვითამაშებდი. „ავაზადან“ ერთი წლის წამოსული ვიყავი, სახლში რომ დამირეკეს, ნოდარ ახალკაცმა თქვა, ხვალ 12 საათზე, დიღმის ბაზაზე მოვიდესო.

### მივედი...

– არც კედები მაქვს, არც სპორტული ტანსაცმელი, საერთოდ, არაფერი. ერთი წელი არაფერი გამიკეთებია და შინ ვერაფერი ვნახე. შემოვედი აქ და „ავაზაში“ ჩემი თანაგუნდელები იაგო ქორქიკაშვილი, ვაჟა ქვანია და ნუკრი კაკილაშვილი დამხვდნენ. ზოგმა რა მათხოვა, ზოგმა რა. წელსზემოთ, თუ გახსოვთ, სამმანეთიანი ფიზკულტურის ფორმა რომ იყო, ისეთი მაცვია. მოკლე მაქვს, ჭიპი მიჩანს. გავედით სავარჯიშოდ და რას ვხედავ – კედელს, ქუჩის მხრიდან ჩემი შეყვარებული მოსდგომია, თავი შევნიშნე. წინა დღით, ვიდრე „დინამოდან“ დამიკავშირდებოდნენ, იმ გოგონას, ახლა რომ ჩემი მეუღლეა, პაემანი კინო „თბილისთან“ დავუთქვი პირველ საათზე.

მას კი გაუგია „დინამოში“ ჩემი აყვანის ამბავი და ადრე მოსულა, მიყურებს. ნოდარ ახალკაცმა, კაი ხნის უვარჯიშებელი ხარ და მიდი, მოედანს 40-ჯერ შემოურბინეო, მითხრა, რა ვქნა, აღარ ვიცი, იმ კედლის გასწვრივ სირბილი არ გინდა? სხვები „ადიდასებში“ არიან გამოწყობილნი, მე ჭიპს ვერ ვმალავ, არადა, შეყვარებული მიყურებს.

ავდექი და ნახევარმთვარის ფორმით დავიწყე სირბილი, კედლისკენ არც ვიყურები. ცალი თვალი ახალკაცისკენ მაქვს, აშკარად ვატყობ, გიჟია ეს ბიჭიო, ფიქრობს. დამთავრდა პირველი ვარჯიში და მწვრთნელთან ოთახში შევედი – საქმე მაქვს-მეთქი, ვუთხარი. რა საქმეაო, მიპასუხა. სპორტული სამოსი მომეცით, მრცხვენია ამ ფორმაში ვარჯიში – ვეუბნები. „ფარსადანოვიჩმა“ გაკვირვებულმა შემომხედა. როგორი საქმეა, ნაკრების ფეხბურთელები ორ სიტყვას ზედიზედ ვერ უბედავდნენ, მე კი პირველსავე დღეს ჩასაცმელს ვთხოვ. ადგა, მომიახლოვდა, ხელი მომკიდა, შემაბრუნ-შემომაბრუნა, დამხედა და... ძალიან დიდი საჯდომი გაქვს, შენი ზომა სამოსი არ გვაქვსო, მითხრა და სკამისკენ წავიდა. ქუჩიდან მისულს მეუბნება ასეთ რამეს, მეც არც ვაციე, არც ვაცხელე, ვისაც ჩვენში უფრო დიდი საჯდომი აქვს, იმის... მაშინ რა ვიცოდი, რას ვამბობდი, როგორ ვცდებოდი. ეს მთელს კარიერას უდრიდა თბილისის „დინამოში“. დღეს ვფიქრობ, ეგებ გაჩუმება სჯობდა-მეთქი, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ტიპი ვიყავი და ასეთად დავრჩი.

**– ახალკაცმა რა გიპასუხათ?**

– არაფერი, ზურგი შემაქცია.. ამის პასუხი რამდენიმე წლის წინ გამცა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. თავის იუბილეზე დამპატიჟა. „დინამოდან“ რამდენიმე ფეხბურთელი ვიყავით. სწორედ მაშინ, 17-18 წლის შემდეგ გაიხსენა ეს ამბავი. რატომ მითხარი ეგრეო, მკითხა. რა მეპასუხა, არც ვიცოდი. მიიღებ შენ სპორტულ ფორმასო, დამშვიდობებისას მომაძახა. მეორე დღეს შინ ეროვნული ნაკრების ადმინისტრატორმა „ადიდასის“ სამოსის მთელი კომპლექტი მომიტანა. მიდი ახლა და გაიგე დიდი ადამიანებისა. ახალკაცი გენიალური პიროვნება იყო. მეცინებოდა, იგი რომ ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტობდა და საქმიანობას უწუნებდნენ. ფედერაციის პრეზიდენტობა „ფარსადანოვიჩისთვის“ ისეთივე იოლი საქმე გახლდათ, როგორიც, დავუშვათ, ილია ჭავჭავაძისთვის პირველი სკოლის დირექტორობა იქნებოდა. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად იმასაც გეტყვით, რომ, როგორც ფეხბურთელი, სწორედ მან დამღუპა.

**– მხოლოდ მან? თავისთვის არაფერი დაგიკლიათ?**

– ძალიან ცოტა. მინდოდა, დიდი ფეხბურთი მეთამაშა, მაგრამ საშუალება არ მომცეს. ჩემს არასტაბილურობაზე რომ ლაპარაკობენ, მითხარით ერთი, სტაბილურობა რას მოაქვს? თამაშს, პრაქტიკას, არა? მე კი არ მახსოვს, ოთხჯერ ზედიზედ ძირითადში დავეყენებინეთ. არა მარტო ახალკაცს, ყიფიანიც იგივეს მიკეთებდა.

### პირველად ბელგიაში და ისევ სკამზე

**– კეთილი, მაგის თაობაზე კიდევ გკითხავთ. ახალკაცს ასეთი სიტყვები რომ უთხარით, თქვენი ურთიერთობა როგორ გაგრძელდა?**

– წელიწადზე მეტი 16 კაცში მოხვედრა სანატრელი მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ახალკაცი თავისთან მიბარებს. მაშინ „დინამოში“ მე და მერაბ ჟორდანიას გვქონდა ყველაზე დაბალი ხელფასი – 60 მანეთი. მიბარებს და მეუბნება, თითქმის ყველაზე მაღალ ხელფასს გინიშნავ, მიდი ახლა ადმინისტრატორთან, სპორტული ფორმა, ფული გამოართვი და ორი ფოტოსურათი მიეციო. რა ხდება-მეთქი, ვკითხე. 1982 წელია. ბელგიაში შენც წამოხვალ, „სტანდარდის“ წინააღმდეგ უნდა გათამაშოო, მპასუხობს, გავამეორებინე, ყურებს არ დავუჯერე. არც მერე მჯეროდა, თვითმფრინავში რომ ჩავსხედით, წარმოიდგინეთ, 16 კაცში ვერ ვხვდები და მოულოდნელად „სტანდარდის“ წინააღმდეგ?.. ჩავედით ბელგიაში, ჭკუაზე არა ვარ, ვფიქრობ, ძირითადში დამაყენებს თუ რამდენ წუთს მათამაშებს-მეთქი. დაასახელა შემადგენლობა, ჩემი გვარი არ წაუკითხავს, თუმცა, განაცხადში ვარ. შესვენებაზე მითხრა, გაიხადეო. დაიწყო მეორე ტაიმი. შიშისგან, ნერვიულობისგან ვკანკალებ. ასეთი დონის თამაშები ტელევიზორში თუ მენახა, უცებ კი მონაწილე გავხდი. 15-20 წუთი დაბნეული ვიყავი, რას ვაკეთებდი, არ ვიცოდი. მერე ცოტა დავმშვიდდი და გერეტსი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მცველი, ორჯერ გავაცურე, ჩვენებური „მესხოვსკი“ გავუკეთე. ის კაცი მანამ მოტყუებული არ მენახა, სამწუხაროდ, ბელგიაშიც წავაგეთ. მგონი, ახალკახი შეცდა, თავიდანვე უნდა ვეთამაშებინე. მეორე ტაიმში ის მღელვარება გადამივლიდა, შევეგუებოდი იქაურობას.

დავბრუნდით თბილისში და ვფიქრობ, მორჩა, ძირითადის კაცი ვარ-მეთქი. ჩამოდის დონეცკის „შახტიორი“. ასახელებს შემადგენლობას ახალკაცი. სადაა მესხი? სათადარიგოებში.

ტაიმი 0:2 წავაგეთ. გასახდელში შემოდის და სვანაძეს კაკილაშვილით ცვლის, მე კი ჩემს ადგილას მაყენებს. ნუკრის ეუბნება, მიშა ფეხში მოგთხოვს პასს, ფეხში მიეცი, გაქცეული მოგთხოვს, გაქცეულს მიეცი, ტრიბუნიდან მოგთხოვს, ტრიბუნაზე დააწიე ბურთიო. მერე მე მომიტრიალდა, შენ კიდევ ახლა გახვალ მინდორზე და ამ თამაშს მოიგებო. მეტი სტიმული რა გინდა. გავედი მოედანზე. ერთი გოლი გავიტანე, ერთიც გრიშა ცაავას გავატანინე. საბოლოოდ 2:2 მორჩა ის თამაში. ჩამოდის კრასნოდარის „ყუბანი“. ძირითადში ისევ არ ვარ. პირველი ტაიმის მერე კი 4:1 ვიგებთ. ვუყურებ სახეში ახალკაცს, არაფერი მესმის, მათამაშოს, რა მოხდება? 4:1-ია ანგარიში. არა, ბოლომდე სკამზე დამტოვა. ასეთ მაგალითებს კიდევ ბევრს გეტყვით.

**(დასასრული იქნება).**

## მხოლოდ შედეგები



### ხელბურთი

**პორტუგალია.** მსოფლიოს ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი.

**გერმანია** – საფრანგეთი 23:22.

**ხორვატეთი** – ესპანეთი 39:37 (დამატებით დროში, 26:26).

### ფეხბურთი

**იტალია.** „რომა“ – „ბოლონია“ 3:1, „პიაჩენცა“ – „ბრეშია“ 1:4.

**ესპანეთი.** „ატლეტიკო“ – „ბარსელონა“ 3:0.

**ინგლისი.** „არსენალი“ – „ფულჰემი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ – „მანჩესტერი“ 0:2, „ბოლტონი“ – „ბირმინგემი“ 4:2, „ჩელსი“ – „ტოტენჰემი“ 1:1, „სიტი“ – „ვესტ ბრომვიჩი“ 1:2, „ევერტონი“ – „ლიდსი“ 2:0, „სანდერლენდი“ – „ჩარლტონი“ 1:3.

**გერმანია.** „ბილეფელდი“ – „ბაიერნი“ 0:0, „მიუნხენი“ – „ჰანოვერი“ 0:1, „კოტბუსი“ – „ბოხუმი“ 2:1, „ნიურნბერგი“ – „ჰანზა“ 0:1, „შალკე“ – „კაიზერსლაუტერნი“ 2:2, „შტუტგარტი“ – „ჰერტა“ 3:1.

**საფრანგეთი.** „ოსერი“ – სოშო“ 2:0, „აიაჩო“ – „ბასტია“ 1:1, „ნიცა“ – „გენგამი“ 1:0, „რენი“ – „ლანსი“ 1:1, „ლიონი“ – „ნანტი“ 0:0, „მონაკო“ – „სედანი“ 3:0, „სტრასბური“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:1, „ჰავრი“ – „ტრუა“ 1:0.

**პორტუგალია.** „ბოავიშტა“ – „აკადემიკა“ 4:1.

**ჰოლანდია.** „ალკმაარი“ – „ნაიმეგენი“ 0:0, „ბრედა“ – ჰერენვენი“ 1:1.

**შოტლანდია.** „რეინჯერსი“ – „აბერდინი“ 2:1, „ჰართსი“ – „დანფერმლაინი“ 3:0, „ლივინგსტონი“ – „კილმარნოკი“ 0:4, „დანდი იუნაიტედი“ – „მოზერუელი“ 2:1.

**საბერძნეთი.** „ოლიმპიაკოსი“ – ოფი 1:0, „აკრატიტოსი“ – „კალითეა“ 3:3, პაოკ – „ქსანთი“ 1:0.

**ამხანაგური მატჩი.** ჰონდურასი – არგენტინა 1:3.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თბილისი — XXX

# იუბილეს სადარი მონაგარი

**საქართველოში ძიუდო გავრცელების პირველი დღეებიდანვე იმდენად პოპულარული გახდა, რომ 1969 წელს თბილისში საერთაშორისო ტურნირიც კი გამართეს. იქიდან მოყოლებული ქართველ გულშემატკივრებს სპორტის სასახლის ტატამზე მსოფლიოს არაერთი სწორუპოვარი ფალავანი უხილავთ. ამ შეჯიბრებიდან გაიკაფა გზა მიუნხენის „ოქრომდე“ გორელმა შოთა ჩოჩიშვილმა, პირველმა საბჭოთა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძიუდოში.**

**დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, იყო აღმაფრენა და თავდაღმართიც...**


დავით მარგოშვილი.


დავით ბოდაველი.

გუშინ და გუშინწინ კვლავ გადაიჭედა გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნები. კვლავ ეწვია დიდი ზეიმი ჩვენს დედაქალაქს, ამჯერად უკვე საიუბილეო. ოცდამეათედ მასპინძლობს თბილისი ასპარეზობას, რომელსაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ პირველად მიანიჭა ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო სტატუსი. ცხადია, ორგანიზატორებიც სათანადოდ გაისარჯნენ. პირდაპირ შეიძლება ითქვას — ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა. რაც მთავარია, ჩვენმა ფალავნებმა შაბათს იუბილეს სადარი ჯილდოები მოიხვეჭეს. უკვე გაუწყეთ, რომ ევროპის ექს-ჩემპიონმა ნესტორ ხერგიანმა (60 კგ) ჩინებულად იჭიდავა მოსკოვის სუპერტურნირში და ოქროს მედალთან ერთად სალიცენზიო 50 ქულაც მიითვალა. ნესტორმა თბილისის ტურნირშიც იყოჩაღა — ოთხი მეტოქე დაამარცხა და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ამავე წონაში თავი გამოიჩინა ლაშა სარდანაშვილმაც (იგი მოსკოვში მეხუთე იყო), რომელმაც ზედიზედ დაამარცხა თურქი კეპენეკი, ფრანგი დეჰოუზი, იაპონელი ოგავა და ქართველი ხოსიტაშვილი. ფინალში მხოლოდ ხერგიანთან დათმო ორთაბრძოლა და ვერცხლის მედალთან ერთად 30 ქულაც მოიპოვა. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ ვახტანგ ხოსიტაშვილი და სომეხი არმენ ნაზარიანი.


მარცხნიდან: ლაშა სარდანაშვილი, ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი და არმენ ნაზარიანი.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფავორიტებად საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატები — გიორგი რევაზიშვილი და დავით მარგოშვილი ითვლებოდნენ. მოსკოვში ორივემ მესამე ადგილი დაიკავა. ამჯერად მარგოშვილი შეუდარებელი იყო. მან ყველა ორთაბრძოლა ვადამდე დაამთავრა და ოქროს მედალიც დამსახურებულად მოიპოვა. ფინალში მან თანაგუნდელ მინდია ხომიზურს სძლია. დამამშვიდებელი ტურნირიდან მესამე ადგილზე გავიდა რევაზიშვილი, რომელმაც ფინალში გადასასვლელი შეხვედრა წააგო ხომიზურთან. ასევე, მესამე იყო იეჰუდ ვაკსი (ისრაელი).

73 კილოგრამში ნაკრების ხელმძღვანელებს დავით ქევხიშვილი ეიმედებოდათ, მაგრამ მან პირველივე ორთაბრძოლა წააგო იაპონელ ოშიგავასთან. მეგობრის ჯავრი ფინალში დავით ბოდაველმა იყარა — „იპონით“ დაამარცხა იაპონელი. მესამე ადგილები ლევან სულხანიშვილს და ალან შმიდტს (საფრანგეთი) ხვდათ.

— მართლაც, საბენეფისო დღე გვქონდა, — მითხრა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დოლარ ხაბულიანმა**. — ცხადია, წარმატებას ველოდით, მაგრამ ასპარეზობის სტარტზევე ამგვარი მედალთცვენა თუ იქნებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ჩვენი მიზანი იყო გამარჯვებას მოწყურებული ქართველებისთვის სიხარული მიგვენიჭებია. ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა ოცნებას ფრთები შეასხეს...

გუშინ ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები.

ვაჟა დანელია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჭადრაკი

# ტაიმ-აუტის წინ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც მსოფლიო და ევროპის პირველობების შესარჩევი ტურნირიც არის.

ექვსი ტურის შემდეგ გოგონებში 5-5 ქულით ნანა ძაგნიძე, თამარ წერეთელი და ბელა ხოტენაშვილი ლიდერობენ. ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ სალომე მელიას და ნინო ბაციაშვილს. 4-4 ქულა მოაგროვეს თეონა ოდიშარიამ, ანა გავაშელმა, სოფიკო გურამიშვილმა და თეონა ღურჭუმალიძემ. ვაჟებში 5,5 ქულით გამოკვეთილი ლიდერია დავით ზარქუა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლევან აროშიძე და კოტე შანავა. 4,5-4,5 ქულით IV-VI ადგილებს იყოფენ მალხაზ სულაშვილი, გიგა ყუფარაძე და შოთა აზალაძე. 9 მოჭდრაკეს 4-4 ქულა აქვს. გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ, დღეს მე-7 ტურის პარტიები გაიმართება.



ლევან ცინცაძე.

სურათზე: მალხაზ სულაშვილი.

კალათბურთი

# ახალი სეზონის სტარტზე



**როგორც უკვე გაუწყეთ, დღეს რუსთავში იწყება კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული თასის პირველი გათამაშება, რომელიც გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს XII ეროვნული ჩემპიონატის III წრის წინ.**

**ბრძოლების განახლებამდე მთელ რიგ კლუბებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა, რის თაობაზეც ასევე ინფორმირებულია ჩვენი გაზეთის მკითხველი. ამჯერად მხოლოდ ერთს დავძენთ — ლიტვის „ათლეტასიდან“ გადმობირებული გამთამაშებლის ჯონსის, ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის გუნდის უკანახაზელი სნაიპერის ცინცაძისა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელებული თსუ-ს ლიდერის ქარაბაკის სახით ყველაზე სოლიდური შევსება ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა — ბათუმის „ბასკომ“ მიიღო, მისი მთავარი კონკურენტი — თბილისის „დინამო“ კი რუსთავის „აზოტში“ დაბრუნებული ჯაფარიძისა და ქლენტის გარეშე დარჩა...**

## კალათბურთში ვაჟთა 2003 წლის XII ჩემპიონატის კალენდარი

III წრე

16 თებერვალი — კვირა
73. აკადემია — დინამო — 11.00
74. სტუ-ჯეოსელი — ქუთაისი — 12.45
75. თსუ — ბასკო — 14.30
76. მაკაბი — აზოტი — 16.15

17 თებერვალი — ორშაბათი
77. სსუ — ქუთაისი — 13.00
78. აკადემია — მაკაბი — 14.45
79. სტუ — ჯეოსელი — ბასკო — 16.15

23 თებერვალი — კვირა
80. სსუ — აკადემია — 14.00
81. დინამო — აზოტი — 15.45
82. ბასკო — მაკაბი — 17.00

24 თებერვალი — ორშაბათი
83. აკადემია — სტუ-ჯეოსელი — 14.00
84. თსუ — დინამო — 15.45
85. ქუთაისი — მაკაბი — 17.00

25 თებერვალი — სამშაბათი
86. აზოტი — სსუ — 16.00

2 მარტი — კვირა
87. აკადემია — თსუ — 11.00
88. სსუ — ბასკო — 12.45
89. დინამო — ქუთაისი — 14.30
90. მაკაბი — სტუ-ჯეოსელი — 16.15

3 მარტი — ორშაბათი
91. სსუ — მაკაბი — 13.00
92. თსუ — ქუთაისი — 14.45
93. დინამო — ბასკო — 16.15

4 მარტი — სამშაბათი
94. აზოტი — აკადემია — 16.00

7 მარტი — პარასკევი
95. ბასკო — ქუთაისი — 17.00

8 მარტი — შაბათი
96. ქუთაისი — აზოტი — 17.00

9 მარტი — კვირა
97. ბასკო — აზოტი — 17.00

12 მარტი — ოთხშაბათი
98. თსუ — მაკაბი — 14.00
99. დინამო — სტუ-ჯეოსელი — 15.45

14 მარტი — პარასკევი
100. სსუ — დინამო — 14.00
101. სტუ-ჯეოსელი — თსუ — 15.45

18 მარტი — სამშაბათი
102. თსუ — სსუ — 13.00
103. მაკაბი — დინამო — 14.45
104. სტუ-ჯეოსელი — აზოტი — 16.45

22 მარტი — შაბათი
105. ქუთაისი — აკადემია — 17.00

23 მარტი — კვირა
106. ბასკო — აკადემია — 17.00

24 მარტი — ორშაბათი
107. სტუ-ჯეოსელი — სსუ — 12.00
108. აზოტი — თსუ — 16.00

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# იარეთ, იარეთ, იარეთ...

უძველესი გამაჯანსაღებელი საშუალება გახლავთ ფეხით სიარული. სიარულისას მუშაობას იწყებს ჩვენი ორგანიზმის კუნთების დიდი ჯგუფი, აქტიურდება გულსისხლძარღვთა, სუნთქვისა და სხვა სისტემები. სიარული მოძრაობის ბუნებრივი სახეობაა და არ სჭირდება დაძაბვა, ამიტომაც, სიარული მშვენიერი აღდგენითი საშუალება გახლავთ. სამუშაო დღის ბოლოს, ნაცვლად იმისა, რომ გადატვირთული ტრანსპორტით მიხვიდეთ შინ, გაცილებით უკეთესია 20-30-წუთიანი სიარული, რაც აამაღლებს თქვენს გუნება-განწყობას და შრომისუნარიანობას.

სიარული შეიძლება ჩაითვალოს ფიზკულტურული ვარჯიშის ერთ-ერთ შესანიშნავ საშუალებად, განსაკუთრებით საშუალო ასაკისა და ხნიერი ადამიანებისთვის, აგრეთვე, მათთვის, ვინც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გადაწყვეტს ფიზკულტურული ვარჯიშების განახლებას.

სავარჯიშო სიარული ყველაზე უპრიანია დილით ან საღამოს, კვირაში 5-ჯერ მაინც, მაგრამ დაძინებამდე არა უგვიანეს 2 საათისა, ვარჯიშების ხანგრძლივობა კი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

იარეთ იმდენ ხანს, რა დროც გაგაჩნიათ — ნახევარი თუ მთელი საათი, ორიც, თუმცა, ნაკლები ხანგრძლივობის შემთხვევაში შესაბამისად უნდა გაზარდოთ ვარჯიშის ინტენსივობა. მისი ეფექტიანობა განისაზღვრება თქვენი გულის ცემის ოპტიმალობით: ასაკის მიხედვით იგი უნდა შეესატყვისებოდეს გულის კუმშვის სიხშირის გარკვეულ დიაპაზონს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი თვალნათლივ დაგვანახებს ვარჯიშის ხანგრძლივობის, ასაკის და პულსის სიხშირის ოპტიმალურ შეთავსებას.

| ვარჯიშის ხანგრძლივობა (წუთებში) | პულსის (გულისცემის) სიხშირე მამაკაცთათვის | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 20-29 წ. | 30-39 წ. | 40-49 წ. | 50-59 წ. | 60-69 წ. |
| 30 | 145-155 | 135-145 | 125-135 | 115-125 | 105-115 |
| 60 | 140-150 | 130-140 | 120-130 | 110-120 | 100-110 |
| 90 | 135-145 | 125-135 | 115-125 | 105-115 | 95-105 |
| 120 | 130-140 | 120-130 | 110-120 | 100-110 | 90-100 |



**ქალებისთვის ეს მონაცემები იზრდება 5-7 დარტყმით.**

ვარჯიში დაიწყეთ მოთელვით. ხელ-ფეხის წინ და უკან მოძრაობებით, დახრით, ჩაჯდომით, ასეთი და სხვა ტანვარჯიშული ელემენტები დაგეხმარებათ, რომ თქვენი პულსი საჭირო დონემდე ავიდეს.

სიარულის ბოლოს, 10-15 წუთს თანდათან მოუკელით ტემპს, რათა პულსი საწყის დონეს მიუახლოვდეს.

ასეთ რეჟიმში რეგულარული ვარჯიში უკვე 2-3 თვეში საგრძნობ შედეგებს მოგვცემს: შეამჩნევთ, რომ დროის იმავე მონაკვეთში მეტ მანძილს გაივლით, რაც ნიშნავს სიარულის სისწრაფის, გამძლეობის ზრდას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



იმერეთის გუბერნატორის პირადი მწერალი შორაპნის მაზრაში ვარდენ სადუნიშვილი, მისი დედა სოფიო ჩინჩალაძე და ქალიშვილი ცაცია სადუნიშვილი. გადაღებულია 1910 წელს.

სურათი მოგვაწოდა მერი ცუცქირიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა



— იცი, რომ ერთი სვიტერის მოსაქსოვად სამი ცხვარია საჭირო?

— წარმოიდგინე, არ ვიცოდი, რომ ცხვრებს სვიტერის ქსოვა შეუძლიათ...

* * *

— ეროტიკულ ფილმში გადამიღეს!

— მთავარ როლში?

— არა, მთავარ როლში ქალი იყო, მე „მასოვკაში“ ვიყავი.

* * *

პარკის ხეივანში ახალგაზრდა მამას ჩვილი გულში ჰყავს ჩახუტებული და ნერვიულად დააბიჯებს, რადგან ბავშვი ისე ტირის, ცა ჩამოაქვს:

— მშვიდად, ფედია! მშვიდად, ფედია! — შელოცვასავით განუწყვეტლივ იმეორებს მამა.

ხანდაზმული ქალბატონი — ერთ-ერთი იმათაგანი, ვინც ყველა საქმეში ცხვირსა ჰყოფს, მიუახლოვდა და ეუბნება:

— ბავშვს თქვენი არ ესმის, ამიტომ ტყუილად ირჯებით.

— იცით რა, ქალბატონო, ფედია ბავშვს კი არ ჰქვია, ჩემი სახელია...

* * *

— მას შემდეგ, რაც გავსინჯე ახალი „Dove“, კანი გამიახალგაზრდავდა, გამიხდა ნაზი და სასიამოვნოდ კრიალა, გამეხსნა ფორები. ვიგრძენი ძალის ახალი მოზღვავება. მე თვითონ მიკვირს, რა მოხდა, რადგან გემო ჩვეულებრივი საპნის აქვს.

## სახიერი ფოლკლორი



ქალებს უშაირებივარ,
ლელასა და ხოშიასა,
სადედოფლოდ იმზადებენ
ფაფანაგებს ორშიანსა.

თუ თავი არ დამანებეს,
თოფში ჩავდებ ორ ტყვიასა:
მიგრიაულს ლეგას მოვკლავ,
წოწკოლაურს მოკლიასა...

ხალხური.

## ცოდნის სკივრი

აზია კონტინენტი. ასირიულიდან ასუ ანუ ასიუ, ე. ი. — აღმოსავლეთის სინათლის მხარე (იგულისხმება მზის ამოსვლა).

* * *

ეთიოპია (ძველად აბისინია) — სახელმწიფო აფრიკაში. ბერძნულიდან — გაშავებული, შავგვრემანი სახე.

* * *

ელბა — მდინარე დასავლეთ ევროპაში. ლათინური ალბ-ადაე, ე. ი. თეთრი.

* * *

ენისეი — მდინარე აზიაში. ტუნგუსები უწოდებდნენ ენნესის, ე. ი. დიდი მდინარე. რუსებმა გადააკეთეს და უწოდეს ენისეი.

* * *

ერაყი (ძველად მესოპოტამია) — სახელმწიფო წინა აზიაში. არაბულად ირაქი-დაბლობი, ვაკე.

* * *

ესენტუკი — ქალაქი სტავროპოლის მხარეში. ჩერქეზულად იესენმიჩვევა, ტუკ-კუთხე.

* * *

ვალენსია — ქალაქი ესპანეთში. ესპანურად ვალენსია — ძალა, ე. ი. ძლიერი ქალაქი.

* * *

ვეძათხევი — სოფლები თიანეთის, დუშეთისა და ახმეტის რაიონებში. მჟავე (მლაშე) ხევი. „მომჟაო წყარო ბუნებით“ (საბა).

* * *

თავრიზი — ქალაქი ირანში. სპარსულად — ციებ-ცხელების გამდევნი ადგილი.

## მოდა

# შარვალი კაბას გამოდევნის...

დღეისთვის ყველაზე პრაქტიკულ, მოხერხებულ, კომფორტულ ტანსაცმლად ქალები შარვალს მიიჩნევენ, რადგან ათამამებს მათ. ამიტომაც, ბევრი მათგანი სწორედ მას ანიჭებს უპირატესობას. შესაბამისად, შარვალზე მოთხოვნილებაც თანდათან იზრდება, და, ბუნებრივია, აინტერესებთ მოდის მიმდევართ.

მაინც, როგორი შარვლებია აქტუალური ახალ, 2003 წელს?

აი, რას გვკარნახობენ მსოფლიო მოდის წამყვანი დიზაინერები:

პაკო რაბანის მოდელები დღეისათვის, ძირითადად, ასეთია: მამაკაცური, კლასიკური შარვლის ფორმის, აუცილებლად მუქი, ქვემოთ დამძიმებული და მაქსიმალურად გრძელი. დიზაინერი მასალის შერჩევისას უპირატესობას ზოლიან ქსოვილს ანიჭებს, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავს, ირიბად აჭრილი ზოლები, ვიზუალურად ათხელებს და ამასთანავე, აგრძელებს სხეულის სილუეტს.



გუჩის შემოქმედებაში კი, გასულ წელთან შედარებით, ქალის შარვლები უფრო ვიწროა და მისი სიგრძე კოჭთან მთავრდება. იგი (გუჩი) აქაც კლასიკური სტილის ჯიუტი დამცველია და ამიტომ შარვლებზე ჯიბეების რაოდენობას მაქსიმალურად ამცირებს, ქსოვილად კი, უმეტესად შალი და ტვიდი აქვს გამოყენებული.

ჯორჯო არმანი ფართო და განიერ შარვლებს მიიჩნევს აქტუალურად, ოღონდ, სინაზის დაცვას აქაც არ ივიწყებს, რადგან მკაცრი და აგრესიული სტილი ქალურობას გამორიცხავსო, აღნიშნავს მოდელიერი.

ჯინსი კი, ის ერთადერთი მასალაა, რომელიც მოდის ცვალებადობას არ ემორჩილება და მისი მუდმივი თანამგზავრია. ის ყოველთვის პრაქტიკულია, კომფორტული და ამასთანავე, ეფექტიანი. დღეისათვის მოდურია შავი, როგორც თხელი, ასევე ქსელი ტილოს ქსოვილის მსგავსი ჯინსები, ზემოდანვე განიერი, ხშირ შემთხვევაში მუხლთან გადაჭრილი და გადაკერებული. ერთი სიტყვით, „ფართხუნა“, რაც თავისუფლების სიმბოლოდაც შეიძლება აღვიქვათ.



ერთ-ერთი უძლიერესი მოდური ფირმა პიერ კარდენი, რომელიც ფრანგული შიკისა და ელეგანტურობის სიმბოლოა, თავის კოლექციებში, კლასიკური ტანსაცმლის გარდა, უდიდეს მნიშვნელობას თავისუფალ და ყოველდღიურ სტილსაც ანიჭებს, სწორედ ამიტომ მისი მოდელების ერთ-ერთ მიმართულებას, ამ წლისათვისაც, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის, ჯინსის შარვლები წარმოადგენს.

ამრიგად, მოდური შარვლები სადღეისოდ მეტად მრავალფეროვანია, შესაბამისად, დიდია არჩევანიც, რაც თქვენთვის მოგვინდვია, რადგან გემოვნებაზე არ დავობენ...

ლელა დონაძე.

სურათებზე: შარვლის მოდელები ახალი, 2003 წლისათვის.



მეუღლე რუსუდან კვანტალიანი, შვილები დავით, მანანა, ირმა, შვილიშვილები გივი, ნათია ჩხაიძეები, თამარ ჯიჯიეშვილი, ანი ჯანელიძე, სიძეები რევაზ ჯიჯიეშვილი, გაგა ჯანელიძე, რძალი ლალი იოსავა, ბიძაშვილები ზაურ, გულიკო ჩხაიძეები, დეიდაშვილი ეთერ გოგუა, მძახალი ნათელა დვალიშვილი, ციური მარიამიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი მაკარის ძე ჩხაიძე

პანაშვიდი 4, 5 II, 4 სთ, დაკრძალვა 6 II, 2 სთ. მისამართი: ი. აბაშიძის 18 ა. (ყოფილი ბარნოვის 120ა).

---

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლის, ღირსეული მამულიშვილისა და ჭეშმარიტი რაინდის, განსაკუთრებულად გულისხმიერი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების

რამაზ შიშნიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge